

კორნელი დანელია

იოსებ ყიფშიძე
ცხოვრება და მეცნიერული
მემკვიდრეობა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1985

ნაშრომში გაშუქებულია გამოჩენილი ენათმეცნიერის, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის პროფესორ იოსებ ყიფშიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მეცნიერული მემკვიდრეობა. წარმოჩენილია მისი მეცნიერული თუ პუბლიცისტური შრომების არა მარტო ისტორიული, არამედ სადღეისო მნიშვნელობაც.

შრომა გამოდის ი. ყიფშიძის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით და განკუთვნილია სახელოვანი მამულიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი ა. შანიძე

რეცენზენტები: ზ. ჭუმბურიძე

ზ. სარჯველაძე

ცხოვრების გზა

მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცი-
რედნი რჩეულ (მ. 20, 16).

საზოგადოებაში სხვათაგან გარკვეული ღირსებებით გამორჩეული პიროვნების ნაღვაწის მასშტაბურობას ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად დრო აპირობებს. თვალშისაცემი ნამუშავევი ზოგისა შედეგია ფხიზელი ჭკუისა და მიზანსწრაფული ძალისხმევისა და ხანგრძლივი დროის საზღვრებშია მოპოვებული. ასეთ მოღვაწეზე „ბედნიერიაო“ ამბობენ, რადგან საწუთროში მას დასცალდა შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენა. ასეთი პიროვნება, თუნდაც მას დიდების მოპოვების ჭარბი სურვილი ამოძრავებდეს, თავისი სასარგებლო შედეგიანობით სამართლიანად იმსახურებს საზოგადოების პატივისცემას. მაგრამ თვალსაჩინო ნაღვაწი ზოგისა კი ნაყოფია ელვარე ნიჭისა, უდრტვინველი რუდუნებისა, საქვეყნო სამსახურის საკურთხეველზე უყოყმანოდ პირადულის მსხვერპლად შეწირვისა და მეტად მძიმე და მცირე დროის საზღვრებში ძევს. ასეთ მოღვაწეზე ჩვეულებრივ „ტრაგიკულიაო“ ამბობენ, რადგან წუთისოფელმა მას არ დააცალა შესაძლებლობის სრულად გამოვლენა და ვერც საზოგადოებამ მიაგო კუთვნილი პატივი ცოცხალს. ასეთი პიროვნება

ერის ხსოვნაში იწვევს მოწიწებით თაყვანებასა და ტკივილგარეულ სინანულს ნაადრევად ჩამქრალი ტალანტის გამო. იოსებ ყიფშიძე სწორედ ასეთი მოღვაწე იყო. უცნაურმა განგებამ მუნწად უწილად მას სამოღვაწეოდ დრო, მხოლოდ ათიოდე წელი დაუსაზღვრა, მაგრამ თითქო ხანმოკლეობის სანაცვლოდ დიდი ნიჭის ხვედრი პირველობა უხვად არგუნა ბევრ საქვეყნო საქმეში: იოსებ ყიფშიძე იყო დიდი ივანე ჯავახიშვილის უახლოესი და უსაიმედოესი თანამდგომი პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში, ამ უნივერსიტეტის ერთი უთავდადებულესი მესამირკველეთაგანი, რომელმაც შეგნებულად #4#

დათმო მომხიბლავი სამეცნიერო კარიერა პეტერბურგის სახელმწიფო („საიმპერატორო“) უნივერსიტეტში და იმხანად გაურკვეველი მომავლის ქართული კერძო უნივერსიტეტის შექმნასა და განმტკიცებას მთლიანად დაუკავშირა თავისი ცხოვრება. ის იყო თბილისის უნივერსიტეტის ერთადერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის (ივ. ჯავახიშვილის) მოადგილე, ქართული ენის კათედრის პირველი გამგე და ქართული ენის პირველი საუნივერსიტეტო კურსის წამყვანი. მას, როგორც პროფესორთა საბჭოს პირველ სწავლულ მდივანს, წილად ხვდა დიდი პატივი, რომ უნივერსიტეტის დაარსების დღეს, 1918 წლის 18 იანვარს, საზეიმო გახსნაზე წაეკითხა მოხსენება „ქართული უნივერსიტეტის დაარსების მოკლე ისტორიული მიმოხილვა“.¹ თუ ვინმეს ჰქონდა უფლება ქართული უმაღლესი ეროვნული განათლების აღორძინების მესვეურობით კანონიერი სიამაყით თავაწეული ევლო, უთუოდ, – იოსებ ყიფშიძესაც. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ის თავისი წრფელი კრძალულებით, დიდბუნებოვნებითა და ნებისმიერი საუნივერსიტეტო საქმისადმი ფანატიკური ერთგულებით ზნეობრივი გამირობის იშვიათ მაგალითს იძლეოდა: ჩუმად, უხმაუროდ, გულის კარნახით ასრულებდა ისეთ თითქო უბრალო ფიზიკურ სამუშაოსაც კი, რომელიც შესაძლოა სხვას, მასზე ნაკლებ ტიტულოვანსაც კი, სათაკილოდ მოსჩვენებოდა. თვითმხილველნი ირწმუნებიან: იოსებ ყიფშიძე, როცა ამას საქმე მოითხოვდა, „მთელი დღე განუწყვეტლივ დარბოდა დაწესებულებიდან დაწესებულებაში, როგორც უბრალო კანცელარიის გზირი ან წერილის დამტარებელი“, ან კიდევ: როცა ის უნივერსიტეტის საქმეებზე მუშაობდა, „მისთვის არავითარი დადლილობა, უძილობა, სიცივე და შიმშილი აღარ არსებობდა. ამასთან ერთად არავითარ „შავ“ სამუშაოს არ ერიდებოდა, ხშირად, ძალიან ხშირად, რომ საქმე არ გაჭიანურებულიყო, საბარგო ეტლებსა და ავტომობილებზეც კი იჯდა ხოლმე და შოფერ-მეეტლებთან ერთად მოაქანებდა უნივერსიტეტის შენობისაკენ, წყნეთის ქუჩაზე, საჭირო ავეჯსა და მოწყობილობას მთავრობის მიერ გაუქმებულ სხვადასხვა დაწესებულებიდან“.

რა თქმა უნდა, ასეთი არაპრესტიჟული საქმეების კეთებას სჭირდებოდა არა მარტო ბუნებრივი თავმდაბლობა და უბრალოება, არამედ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებაც იოსებ #5#

¹ პროფ. ს. ჯორბენაძის რედაქციით გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 1968 წლის 4 ოქტომბრის ნომერში.

ყიფშიძეს ბუნებისგან ერთიჯ ჰქონდა მომადლებული და მეორეჯ ორივე. ეს თვისება, შერწყმული ხალას ნიჭიერებასა და დაუდგრომელ რუდუნებასთან, მას სამაგალითო

ეროვნულ მოღვაწედ წარმოაჩენს. არ გავაზვიადებთ, თუ ვიტყვით, რომ იოსებ ყიფშიძის ხანმოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი ცხოვრებისა და ღვაწლის თუნდაც ზოგად შტრიხებში წარმოდგენა და გაცნობიერება უნდა მივიჩნიოთ არა მარტო მაღლიერი შთამომავლების ზნეობრივ ვალად – ღირსეული პატივი მიეგოს მას, არამედ ერთ-ერთ ისეთ ცხოველმყოფელ მაგალითადაც, რომელმაც უნდა შეძლოს საქართველოს მომავალი თაობების სამოქმედო ძალების აქტივიზაცია, რომ დღენიდაც შეახსენებდეს, თუ როგორ უნდა ერისადმი ქეშმარიტი სამსახური შესაძლებლობის მაქსიმუმის გაღებით.

იოსებ ალექსის ძე ყიფშიძე დაიბადა ზემოიმერეთში, ჭიათურის ახლო სოფელ რგანში, მეტრიკული საბუთისა და „ავტობიოგრაფიის“ მიხედვით, 1885 წლის 25 აგვისტოს. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით მაინც არ არის დადგენილი იოსებ ყიფშიძის დაბადების წელი, რასაც თავადაც აღიარებდა, როცა „ავტობიოგრაფიაში“ წერდა: „დავიბადე 1885 წელს 25 აგვისტოს, როგორც ჰმოწმობს მეტრიკული წიგნები; მაგრამ სავსებით შეეფერება თუ არა სინამდვილეს მეტრიკული წიგნების ჩვენება, არ შემიძლია ამისი თავდები ვიყო. ამბობენ, რომ მე დავბადებულვარ თითქმის ორი წლით ადრე, ვიდრე ზემოხსენებულ საბუთებშია ნაჩვენეი, მაინცდამაინც აქ ჩვენ ვერ გამოვუდგებით მღვდელმსახურთა მიერ მეტრიკული წიგნების შედგენის საიდუმლოების გამორკვევას“....

ასეთი გაურკვეველობა იძლეოდა იმის საფუძველს, რომ იოსებ ყიფშიძის დაბადების დროდ ზოგ ბიოგრაფს 1881 წელი მიეჩნია, ზოგს კიდეც – 1882. ოფიციალური საბუთის კანონიკურობა დაეჭვების დროსაც კი გვაიძულებს, არ უარვყოთ მოწოდებული ცნობა, მით უმეტეს თუ ასეთი ცნობის ობიექტურ სინამდვილესთან დამოკიდებულების შემოწმება შესაძლებელია. მაგრამ თუ ეჭვსაც რეალური საფუძველი აქვს, მაშინ იოსებ ყიფშიძე 1883 წელს უნდა იყოს დაბადებული, ამას გვაფიქრებინებს მისი ქვისლის, ცნობილი მეცნიერის #6#

სერგო გორგაძის ვრცელი ბიოგრაფიული შრომა,² რომელშიც აღნიშნულია: 7 წლის იოსებს წერა-კითხვა შინ შეასწავლეს. 8 წლისა სოფლის სკოლაში დადიოდა, 9 წლისა კი მამამისმა, სოფლის ეკლესიის მღვდელმა ალექსიმ, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა 1892 წელს. ამ ფაქტების გათვალისწინებით გამოდის, რომ იოსები 1883 წელს დაბადებულა (1892 – 9=1883), რასაც მისივე ავტობიოგრაფიული ცნობაც ეთანხმება (დავიბადე 1885 წელს, მაგრამ ამბობენ, მე დავბადებულვარ თითქმის ორი წლით ადრე“).

² ს. გორგაძე, პროფესორი იოსებ ყიფშიძე: „მომოხილველი“, საქართველოს საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებისა, ტფ., 1926, გვ. 234-354.

იოსებ ყიფშიძემ ქუთაისის შვიდწლიანი სასულიერო სასწავლებელი 1898 წელს დაასრულა წარჩინებით, „პირველ მოწაფედ“. მას ამ სასწავლებლის მოსწავლეთა სახარისხო სიაში პირველი ხარისხის მოწაფეთა შორის პირველი ადგილი უჭირავს.³ ამ სასწავლებელში მას ქართულ ენას ასწავლიდა ცნობილი მოღვაწე პოლიეექტოს კვიციანი, რომელსაც სიყვარულით იგონებდა შემდეგ თავის „ავტობიოგრაფიაში“. მადლიერი მოწაფის სიტყვებით, პ. კვიციანი იყო „კარგად განვითარებული და ქართული ენის ღრმა მცოდნე, რაც ქართული გრამატიკის შედგენით დაამტკიცა. ის არ სჯერდებოდა მარტო იმას, რომ მოწაფეები კარგად ამზადდებდნენ გაკვეთილებს, – კითხვისადმი სიყვარულსაც გვიღვიძებდა: გაკვეთილების მეოთხედი, ზოგჯერ მეტიც, გადადებული ჰქონდა კითხვისათვის, მოწაფეები, მანამდე უყურადღებონი და მოდუნებულნი, როგორც კი კითხვა დაიწყებოდა, სრულიად გამოიცვლებოდნენ ხოლმე: გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს, და გაკვეთილის გათავების ზარი, ესოდენ სასიამოვნო და სასურველი სხვა გაკვეთილების ბოლოში, იქ ჩვენში უსიამოვნებას გამოიწვევდა ხოლმე, რადგან სასიამოვნო კითხვა უნდა შეგვეწყვიტა. ამ სასწავლებლის შესახებ დღემდე ფრიად ნათელი წარმოდგენა ჩამრჩა მეხსიერებაში“.

იოსებ ყიფშიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად 1898 წელსვე გადაიგზავნა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ის გულმოდგინედ სწავლობდა არა მარტო სასემინარიო საგნებს, არამედ კითხულობდა სხვადასხვა სახის ლიტერატურას ქართული და უცხოური მწერლებისა, ასტრონომიის,

#7#
სოციოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის საკითხების შესახებ, ხარბად ითვისებდა რაციონალურს და საჭირო ადგილებს აკონსპექტებდა რვეულებში. ამიტომაც იგი სასულიერო სემინარიაშიც პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით პირველ მოსწავლედ ითვლებოდა, მეექვსე კლასში გადასვლის შემდეგ 1904 წელს რევოლუციური მოძრაობის გამო სემინარია დაიხურა და პროგრესული იდეებით გატაცებული ახალგაზრდა იოსები აქტიურად ჩაება რევოლუციურ-პოლიტიკური პარტიის მუშაობაში. ერთი შეხედვით, თითქო ძნელად შესაგუებელ თვისებებს აერთიანებდა სემინარიელი იოსები: ერთი მხრივ, მშვიდი, უწყინარი, ბეჯითი, მეორე მხრივ, რევოლუციური მგზნებარების მემბოხე, ადამიანის ღირსების დამცველი, სოციალური და პოლიტიკური თანასწორობისათვის შეუდრეკელი მებრძოლი. მაგრამ თუ მის ახლობელთა მოგონებებს გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ იოსების პიროვნებაში ეს თვისებები, როგორც ურთიერთგანმაპირობებელნი, ჰარმონიულად იყო შერწყმული. ერთი სემინარიელი მეგობარი იოსებზე წერს: „არ მახსოვს სემინარიაში ერთი ვინმე იოსების უკმაყოფილო, ყველასათვის კარგი, გულ-კეთილი, უწყინარი, უჩინარი, არამყვირალა, მშვიდი, უმწიკვლო, სინდისიერი და მეტისმეტად შრომისმოყვარე – აი ჩემს მეხსიერებაში იოსები სემინარიელი“.⁴ მაგრამ მეცნიერების დაუფლებით გატაცებულმა იოსებმა კარგად იცოდა, რომ მეცნიერული აზრის თავისუფლად განვითარებისათვის საჭირო იყო ბიუროკრატიული სისტემის, პოლიტიკური და ეკონომიური ბორკილების დამსხვრევა

³ საქართველოს საეგზარხოზოს სასულიერო მოამბე, 1898, მკათათვე, № 13-14.

⁴ კ. გაგუა, პროფესორ იოსებ ყიფშიძის ხსოვნას: „სახალხო საქმე“, თბ., 1919, 28 თებ.

და ამიტომაც მიაჩნდა მას თავის სისხლხორცეულ საქმედ რევოლუციური მუშაობა. ახალგაზრდა იოსების პარტიული მუშაობით გატაცებაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისი უმცროსი და – კატო (ეკატერინე) ყიფშიძე-თოიძისა: „ჯერ კიდევ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა იოსები, როდესაც დაიწყო მუშაობა რუსეთის სოც.-რევოლუციონერთა პარტიის ქუთაისის კომიტეტმა. იმ დროს, 1903-4 წ., ეს მიმართულება ახლად შემოსული იყო და მიმდევართა რიცხვიც მცირე ჰყავდა. 1905 წელს, როდესაც განსაკუთრებით გაცხოველებული მუშაობა უხდებოდა პარტიებს, იოსებიც მთლად პარტიული მუშაობით იყო გატაცებული და დაუღალავად ეწეოდა ყველა დავალების შესრულებას, რომელიც კი წილად ხვდებოდა პარტიაში – სოფლად აგიტაციისათვის #8#

სიარული, ქალაქში რაიმე კრებების და ჯგუფების შეკრება და მეცადინეობა, თუ კიდევ პარტიის ხაზინადრობა და მდივნობა სრულიად ჰყლაპავდნენ მის თავისუფალ დროს“.⁵

იოსებ ყიფშიძე ბედად გადაურჩა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქციის მძვინვარებას, ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელ რაზმებს, ჯერ თავს აფარებდა ლეჩხუმის სოფელ ლაილაშში, შემდეგ – სვანეთში – ახლო ნათესავ მასწავლებელ კორნელი ჯუღელის ოჯახში. როცა მდგომარეობა გართულდა, იოსებ ყიფშიძე იძულებული შეიქნა, რომ ქუთაისს დაბრუნებულიყო, მაგრამ გზაზე, ცაგერში, სტრაჟნიკებმა დააკავეს. მართალია, იოსები სვანი მუშის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, მაგრამ, რადგან პასპორტი არ აღმოაჩნდა, საეჭვო პირად მიიჩნიეს და ცაგერის ციხეში დაამწყვდიეს, სადაც უმძიმეს პირობებში დაყო კვირაზე მეტი. როგორც გადმოგვცემენ, იმ დროს ტყვეებს ქუთაისში გზავნიდნენ „პლასტუნების“ თანხლებით, რომლებსაც ეზარებოდათ გრძელ გზაზე მოგზაურობა და ხშირად პატიმრებს ხოცავდნენ იმ მიზეზით, რომ თითქოს ისინი გზაზე გაქცევას აპირებდნენ. შესაძლოა ი. ყიფშიძესაც არ ასცდენოდა ასეთი ვერაგული და უსახელო სიკვდილი, რომ მას დამხსნელად არ მოვლენოდა სიძე (დის ქმარი) პლატონ გოგობე. ამ ენერგიულმა და კეთილშობილმა კაცმა დიდი თანხის გაღებითა და ნაცნობების დახმარებით შეძლო, იოსები ცაგერიდან ქუთაისში უვნებლად ჩამოეყვანა, თავად გვერდიდან არ მოსცილებია მას გზაზე და ქუთაისში კი პოლიციას გაათავისუფლებინა.

1906 წლის ზაფხულს იოსებ ყიფშიძე პეტერბურგს გაემგზავრა და ჩაერიცხა უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების საგეოგრაფიო დარგზე. აქ სწავლისას ის პარალელურად ესწრებოდა ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ლექციებს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. სტუდენტ იოსებს, როგორც საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის ენერგიულ მებრძოლს, აქაც არ შეუწყვეტია პოლიტიკური მუშაობა, როგორც რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრს. 1906 წლის შემოდგომაზე ის შეიპყრეს რევოლუციონერთა ფარულ კრებაზე პეტერბურგის ახლო სოფელში, გამოაძევეს რუსეთის დედაქალაქიდან და იძულებული შეიქნა, ქუთაისს #9#

⁵ ს. გორგაძე, პროფესორ იოსებ ყიფშიძე: „მიმოხილველი“, გვ. 341.

დაბრუნებულიყო. მაგრამ გავლენიანი პირების დახმარებით მალე მიიღო ნებართვა პეტერბურგში ჩასვლისა და 1907 წელს ნ. მარის დახმარებით გადავიდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე. ამის შემდეგ ი. ყიფშიძემ თავი დაანება აქტიურ პარტიულ მუშაობას და მთელი ძალების მობილიზაციით და გატაცებით შეუდგა მეცნიერების შესწავლას. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე მას ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი ენათმეცნიერები და ორიენტალისტები: ნ. მარი, ლ. შჩერბა, ნ. ადონცი, ვ. ბართოლდი, ვ. ჟუკოვსკი, პ. კოკოვცევი, ი. ჯავახიშვილი და სხვები.

ი. ყიფშიძე პირველი კურსიდანვე ჩაება ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობაში, გულმოდგინედ სწავლობდა ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას, მეგრულსა და სვანურს, სომხურ ენასა და ლიტერატურას, გერმანულ ენას, ლურსმული წარწერების ენას და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში მაღალ დონეზე იდგა ახალგაზრდა მკვლევართა სპეციალიზაციის საქმე. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ორჯერ მიავლინა III და IV კურსის სტუდენტი იოსებ ყიფშიძე სამეგრელოში მეგრულის შესასწავლად 1909 და 1910 წლებში. 1910 წლის აგვისტომდე პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ მივლინებულ იქნა რუსეთის ლაზისტანში ჭანურის შესასწავლად და მასალების მოსაგროვებლად. სტუდენტმა ყიფშიძემ მაქსიმალურად გამოიყენა მივლინების დრო, შეაგროვა ძვირფასი ტექსტები და ლექსიკური ერთეულები მეგრულ-ჭანური ენისა და 1911 წელს დაბეჭდა ბრწყინვალე ლინგვისტური შრომა „Дополнительные сведения о чнском языке“, რომელშიც საკმაო სისრულით აღწერა ხოფური კილოკავის ჩხალური თქმა, ახალი მასალების საფუძველზე ბევრი რამ დააზუსტა ნ. მარის „ჭანური ენის გრამატიკაში“ განხილული საკითხებიდან და ასევე პირველმა მოგვცა ჭანური ზღაპრების ტექსტი და ბევრი ლექსიკური ერთეულის ზუსტი განმარტება; გამოაქვეყნა ლაზური ლექსი „ბიჭი დო ბოზო“ („ვაჟი და ქალი“), აგრეთვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილი „ჭანები და ჭანეთი“ („ნაკადული“, მოზრდილთათვის, 1911 წ., N2 8-10)

თუ რა რუდუნებითა და გატაცებით მუშაობდა ახალგაზრდა იოსები, როგორ „დაუზოგავად“ ქანცავდა ინფორმატორებს, ამაზე ზუსტ ცნობებს გვაწვდის ერთი მისი მეგობარი“ „იოსებ ყიფშიძე პეტროგრადიდან ს. მარტვილში მესტუმრა მეგრულის #10#

შესასწავლად. ხუთ კაცს ღლიდა და იმავე დღეს ხუთი კაცის მონათხრობს გადაწერდა თეთრად. ამან ისე გააოცა ჩემი მეზობლები, რომ, როცა იოსებს მოიგონებდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ ხოლმე, „სასწაულის“ კაცს ეძახდნენ“.⁶

სწავლის პერიოდში ი. ყიფშიძე აქტიურად მონაწილეობდა 1907 წლის ბოლოს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, იყო ამ წრის ხუთი წევრისგან შემდგარი გამგეობის პირველი თავმჯდომარე 1911 წლამდე (მერმე ამ გამგეობას თავმჯდომარეობდნენ ა. შანიძე 1911-1913 წლებში, შემდგომ კი – გიორგი ჩიტაია).

⁶ ლ. გეგეჭკორი, სამაგალითო ადამიანი: „სახალხო საქმე“, 1919 წ., 26 თებ.

ქუთაისის გაზეთ „იმერეთის“ 1912 წლის 14 დეკემბრის ნომრის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, რომ 1911 წლიდან ქართული სამეცნიერო წრე არსებულა პეტერბურგის ფსიქო-ნერვოლოგიურ ინსტიტუტში, რომელშიც 40 სტუდენტი ყოფილა გაერთიანებული და მას უსასყიდლოდ ხელმძღვანელობდა იოსებ ყიფშიძე: აქ ყოველ კვირა დღეს ტარდებოდა სხდომები, სტუდენტები კითხულობდნენ რეფერატებს, ხოლო ი. ყიფშიძე უკითხავდა ლექციებს „ვეფხისტყაოსნისა“ და საერთოდ ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე.⁷

იოსებ ყიფშიძემ 1911 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი პირველი ხარისხის დიპლომით და დატოვებულ იქნა ასპირანტად სამეცნიერო მუშაობის გასაგრძობად პროფ. ნ. მარის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის პერიოდში კიდევ ორჯერ იქნა მივლინებული სამეგრელოში მეგრულის შესასწავლად – 1911 წელს სამეცნიერო აკადემიის, ხოლო 1912 წელს რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების მიერ. 1913 წლის ზაფხულში გაიგზავნა გერმანიაში გერმანული ენის დასაუფლებლად, შემოდგომაზე კი ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები.

1911 წლიდან მიწვეული იყო ქართული ენის მასწავლებლად კავკასიური ენების პრაქტიკული შესწავლის კურსებზე პეტროგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოებასთან. ამ კურსებზე მუშაობამ მისცა მას შესაძლებლობა ლითოგრაფიული წესით გამოეცა რუსულ ენაზე „ქართული ენის გრამატიკა“ 1911 წელს.

#11#

1914 წლის 17 მარტს არჩეულ იქნა რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების წევრ-თანამშრომლად, ამავე წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა სოლიდური (600-გვერდიანი) მონოგრაფია „მეგრული ენის გრამატიკა“ ტექსტებითა და ლექსიკონით, რომლის დაცვით მოიპოვა ქართული ფილოლოგიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. ამ დისერტაციის დაცვა შედგა 1914 წლის 23 ნოემბერს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი. ნ. მარმა ძალიან მაღალი შეფასება მისცა ნაშრომს არა მარტო ზეპირ გამოსვლაში, არამედ დაბეჭდილ რეცენზიაშიც. თუმცა სპეციალისტებისათვის ცნობილია, მაინც მოვიყვანთ მცირე ნაწყვეტს ამ რეცენზიიდან: „Я не откажусь печатно повторить мое мнение о научных достоинствах книги. Факультет восточных языков автора ее удостоил степени магистра грузинской словестности. Однако если бы она была представлена в качестве диссертации на степень доктора грузинской филологии, автор ее также со спокойной совестью мог бы быть удостоен высшей степени, как сейчас я нахожу его вполне заслуживающим степень магистра грузинской филологии“ (Записки Восточного отделения императорского русского археологического общества, Т. XIII, гв. 216).

მაგისტრის ხარისხის დაცვიდან სამიოდე თვის შემდეგ, 1915 წლის 2 მარტიდან, იოსებ ყიფშიძეს პრивატ-დოცენტის წოდებით ნება მიეცა, პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციების კურსი წაეკითხა: „ძველ სალიტერატურო ქართულსა“ (ორი ლექცია კვირაში) და „მეგრულ ენაში“ (ერთი ლექცია კვირაში).

⁷ ი. ერემეიშვილი, ქართული სამეცნიერო წრეები პეტერბურგში: „განთიადი“ (ვანის რაიონული გაზეთი), 1983 წლის 13 სექტ., გვ 3-4.

აღსანიშნავია, რომ პეტერბურგში მოღვაწე ი. ყიფშიძეს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საქართველოში მომუშავე ქართველოლოგებთან; 1914 წლიდან იგი არჩეული იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად, აქტიურად მონაწილეობდა ამ საზოგადოების მუშაობაში მოხსენებების კითხვითა და სამეცნიერო მივლინებათა აღსრულებით: 1914 წელს ამ საზოგადოების სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“. 1917 წელს (13 ივლ.-27 აგვისტოს) ამავე საზოგადოებისა და კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის მივლინებით იმოგზაურა ლაზისტანში და ჩაწერა ლაზურის სამივე კილოვანის ტექსტები.

#12#

პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტად მუშაობის დროს (1915-1917) მან შეადგინა და გამოსაცემად გადასცა „ძველი ქართული ქრესტომათია“, რომელიც გამოქვეყნდა 1918 წელს, როცა ი. ყიფშიძე უკვე პეტერბურგში აღარ მუშაობდა, რადგან მთლიანად იყო ჩაბმული თბილისის უნივერსიტეტის შექმნისა და ორგანიზაციის საქმეში.

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა თავის უახლოეს მოწაფეებზე – იოსებ ყიფშიძესა და ა. შანიძეზე – და ცდილობდა გარკვეული მიმართულებით წარემართა მათი მუშაობა. 1915 წლის აპრილში ის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო რედაქციას ატყობინებდა, რომ საჭირო იყო ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი პოპულარული „საქართველოს ისტორიის“ შედგენა და დასმენა: „ჩემს მოწაფეებსაც მოველაპარაკე და სასურველია დაიწეროს ორი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებისა: ერთი უნდა შეეხებოდეს საზოგადო ენათმეცნიერებას, მეორე – ქართულ ენათმეცნიერებას. ამ ორი წიგნის დაწერა იკისრეს იოსებ ყიფშიძემ და აკაკი შანიძემ. თუ თქვენც მოიწონებთ ამ განზრახვას, მაშინ ისინი შეუდგებიან მუშაობას“. მართალია, ამ წამოწყებას შედეგი არ მოჰყოლია საგამომცემლო საქმის ჩამორჩენილობის გამო, მაგრამ ი. ჯავახიშვილის წერილიდან ის მაინც ცნაურდება, თუ რა მასშტაბური სამეცნიერო ძალები ჰყავდა ქართველთმეტყველებას უკვე იმხანად იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის სახით.

1916 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტ იოსებ ყიფშიძის რედაქტორობით გამოიცა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრის მიერ შედგენილი ქართული ბიბლიოგრაფიის მასალათა პირველი წიგნი. აღსანიშნავია, რომ ამ წრის მიერ წლობით ნაგროვები და სისტემაში მოყვანილი ბიბლიოგრაფიული მასალები ნ. მარის შუამდგომლობით შეიძინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ და გამოცემული პირველი წიგნი ამ მასალების ნაწილს მოიცავდა.⁸

#13#

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ პირველ მარტს ივ. ჯავახიშვილმა თავის ბინაზე შეკრიბა ქართველ მოღვაწეთა მცირე ჯგუფი (ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ს.

⁸ Грузинская библиография, I. Указатель статьям и материалам в грузинской периодической печати (1852-1910). Языкознание, Этнография, География, Археология, История, Народная словесность и древняя литература, Петроград, 1916.

ლომია და სხვ.) თბილისში ქართული უნივერსიტეტის ორგანიზაციის თაობაზე. ამ კრების ისტორიულ მნიშვნელობაზე მოხდენილად შენიშნავს პროფ. ს. ჯორბენაძე: „იმ დროს, როცა პლანეტის ყველაზე დიდი იმპერია ინგრეოდა, თითქოს შეუმჩნეველ მოვლენად უნდა ჩაგვეთვალა პატრიოტ-მეცნიერთა შეკრება კერძო ბინაზე, მაგრამ ამ შეკრებისგან იღებს სათავეს კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსების ისტორიული საქმე, რომელსაც შემდგომ მოჰყვა კავკასიის სხვადასხვა ხალხის უნივერსიტეტების დაარსებაც“.⁹

მალე ი. ყიფშიძემ უყოყმანოდ დატოვა პეტერბურგის უნივერსიტეტი, თბილისის მოაშურა და მხნედ ამოუდგა გვერდში თავის ყოფილ მასწავლებელს, ქართული ეროვნული უნივერსიტეტის შექმნის ინიციატორსა და მოთავეს დიდ ივანე ჯავახიშვილს. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საქმე, ყველა საუნივერსიტეტო საქმეს ი. ყიფშიძე დაუზარელად და ფანატიკური ერთგულებით ასრულებდა. სწორადაა აღნიშნული, რომ „განსაკუთრებით რთული და მრავალმხრივი იყო ი. ყიფშიძის მოღვაწეობა უნივერსიტეტის ორგანიზაციის პირველ ხანებში. მან ფართო ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღა და მოკლე პერიოდში უსაზღვროდ ბევრი გააკეთა ახალფეხადგმული უნივერსიტეტის დაწინაურებისათვის“ (ს. ჯორბენაძე).

ა. შანიძის სიტყვებით, ი. ყიფშიძე თავიდანვე მხნედ შეუდგა სხვებთან ერთად ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს და თავგამეტებულად მუშაობდა“.¹⁰ ი. ყიფშიძის საუნივერსიტეტო კურსების ერთ-ერთი პირველი მსმენელი და მისი ღვაწლის ჯეროვნად დამფასებელი არნ. ჩიქობავას სიტყვებით, „იგი ივანე ჯავახიშვილის მარჯვენა ხელი იყო უნივერსიტეტის ორგანიზაციის რთულ პროცესში, მტკიცე საყრდენი იყო ახლადფეხადგმული უნივერსიტეტისა“.¹¹ სხვა თანამოღვაწის სიტყვებით, ი. ყიფშიძე „იშვიათი ქართველი იყო, შრომისა და მეცადინეობის განხორციელება საკუთარ ტანჯვას #14#

არვის გაუმხელდა, სხვის ტანჯვას კი მუდამ ინაწილებდა; ჩუმი მუშაკი იყო, წყნარი, დევიზად დაესახა: მეტი საქმე და ნაკლები სიტყვა, შრომა..., დღელამეს ასწორებდა უნივერსიტეტის საქმეზე, ისე გაიტაცებდა, რომ ავიწყდებოდა ოჯახი..., ხშირად ღამის 11 საათამდე მჯდარა უნივერსიტეტის ცივსა და გაყინულ ოთახში...; მთელი დღე დარბოდა დაწესებულებიდან დაწესებულებაში... და ანარქიის გამო რომ ვერაფერს გახდებოდა, უკმაყოფილების გრძნობას გულში იკლავდა, ვერ ათქმევინებდი დაწესებულების მოთავეზე საყვედურს..., მისგან ამალღებული სიტყვა არავის ახსოვს, მუდამ პირიდან შაქარი სცვიოდა კურთხეულს და ჩვენ ამის გამო მას ვემახდით „ტკბილს იოსებს“.¹²

1917 წლის შემოდგომაზე (9 ოქტომბერს) უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებულმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება პროფესორთა კოლეგიის შედგენის თაობაზე. ამ კოლეგიაზე იყო დამოკიდებული 1918 წლის 26 იანვარს გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობა მომავალში. იოსებ ყიფშიძე

⁹ ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა, თბ., 1981, გვ. 185

¹⁰ ა. შანიძე, პროფესორი იოსებ ყიფშიძე: გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 23 თებ.

¹¹ არნ. ჩიქობავა, პროფ. ი. ყიფშიძე და თბილისის უნივერსიტეტი „მნათობი“, № 7, 1984, გვ. 133.

¹² ლ. გეგეჭკორი, სამაგალითო ადამიანი: გაზ. :სახალხო საქმე“, 1919, 26 თებ.

სწორედ ამ კოლეგიის პროფესორთა შვიდკაციანი ბირთვის ერთ-ერთი პირველი წევრთაგანი იყო. თუ ვინმეს ჰქონდა მორალური უფლება თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით კანონიერად ეამაყა და გახარებულიყო, დიდი ივანეს შემდეგ უპირველესად – იოსებ ყიფშიძესაც ამიტომ ვერ ფარავდა ზნეობრივ კმაყოფილებას მცირერიცხოვან თავგანწირულ მამულიშვილთა ცდის გამარჯვებით დამთავრების გამო და უნივერსიტეტის გახსნის დღეს წაკითხულ მოხსენებაში („ქართული უნივერსიტეტის დაარსების მოკლე ისტორიული მიმოხილვა“) კმაყოფილებით აცხადებდა: „ვერავინ ჩვენგანი, თვით უკიდურესი ოპტიმისტიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ტფილისი ასე მალე ეღირსებოდა უნივერსიტეტს და ისიც ქართულ უნივერსიტეტს“¹³. მართალია, მუხთალმა ბედმა მას თავის უნივერსიტეტში მოღვაწეობა ერთ წელზე მეტს არ დააცალა, მაგრამ ბევრის გაკეთება მოასწრო: 1918 წლის 13 იანვრიდან იყო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი სწავლული მდივანი, 26 იანვრიდან – ძველი ქართული ენის კათედრის პირველი გამგე, სიკვდილამდე მუშაობდა #15#

ერთადერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, კითხულობდა ძველი ქართული ენისა და ძველი ქართული ლიტერატურის კურსებს. უძღვებოდა სემინარს ქართველ მეხოტბეთა ტექსტზე, ივ. ჯავახიშვილის წინადადებით 1918 წლის სამ იანვარს პროფესორთა კოლეგიის წინასწარმა სხდომამ ი. ყიფშიძესა და ა. შანიძეს დაავალა, მომავალი სტუდენტებისა და თავისუფალი მსმენელებისათვის სალექციო წიგნაკების შედგენა.¹⁴ სამწუხაროდ, ი. ყიფშიძეს არ დასცალდა არა თუ სახელმძღვანელოების შექმნა, არამედ მის მიერ წაკითხული კურსის ბოლომდე მიყვანაც. ის მზად იყო, მკერდით გადაფარებოდა ყრმა უნივერსიტეტს, როცა 1918 წლის გაზაფხულზე ოსმალთა ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა თბილისს. მან მხურვალედ დაუჭირა მხარი სამეცნიერო საბჭოს, როგორც მისმა წევრმა და სწავლულმა მდივანმა, მიეღო „ჭეშმარიტად რაინდული გადაწყვეტილება“¹⁵ უნივერსიტეტის გადასარჩენად: „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს..., ეთხოვოს, ვისაც ჯერ არს – დაყენებულ იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“.

უნივერსიტეტის საორგანიზაციო და სამეცნიერო საქმეებით დატვირთულმა ი. ყიფშიძემ ერთი თვით ადრე უყოყმანოდ შეასრულა პოლიტიკური მისიაც, როცა ეს ქვეყნის ვითარებამ მოითხოვა, მან მონაწილეობა მიიღო ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებაში (1918 წლის 9-22 მარტს), როგორც ამიერკავკასიის სეიმის მრჩეველმა. ასე რომ, განსაცდელის ჟამს ი. ყიფშიძის პოლიტიკური აქტიურობა და მეცნიერული განსწავლულობა (ლაზისტანის

¹³ ს. ჯორბენაძე, პროფ. იოსებ ყიფშიძის მოხსენება, წაკითხული ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს; გაზ „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 4 ოქტომბერი.

¹⁴ ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება: თბილისის უნივერსიტეტი, 1918-1968 (კრებული), თბ., 1968, გვ. 32.

¹⁵ იქვე, გვ. 35

ისტორიისა და ლაზურის ცოდნა) ერთობლივ ჩადგა აღორძინების გზაზე დამდგარი საქართველოს სამსახურში. მეტად გულდასაწყვეტი იყო, რომ საქვეყნო გასაჭირს ასე #16#

თავაურიდებელი მამულიშვილი განგებამ საბედისწერო ჭირს გადაჰყარა: 1919 წლის თებერვლის დასაწყისს წინწკლებიანი სახადით დაავადდა და ორი კვირის ავადმყოფობის შემდეგ 1919 წლის 21 თებერვალს საკუთარ ბინაში¹⁶ გარდაიცვალა. მოულოდნელად გაუბედურდნენ დედა და მამა – მარიამი და ალექსი, ნაადრევად დაქვრივდა მოსიყვარულე მეუღლე – ევგენია ეგაძე, დაობლდნენ წვრილი შვილები – პატარა გოგი და თინა, რომლის დაბადებას მამა ვერ მოესწრო, მაგრამ მისი უდროო სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო არა მარტო ახლობელთათვის, არამედ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის, ამიტომ გულწრფელად დაიტირა მთელმა საქართველომ „35 წლის რაინდი მეცნიერებისა“. განსაკუთრებული პატივი მიაგო ახალგაზრდა უნივერსიტეტმა თავის ერთ-ერთ აქტიურ დამაარსებელთაგანს, 23 თებერვალს გადაწყვეტილება მიიღო, რომ დაკრძალვის დღეს (25 თებერვალს) არ ყოფილიყო მეცადინეობა, გამოცემულიყო განსვენებულის სურათი მოკლე ბიოგრაფიითურთ და უფასოდ დაჰრიგებოდა ხალხს...

25 თებერვალს 12 საათზე ქვაშეთის წმინდა გიორგის ეკლესიიდან ზღვა ხალხი მიაცილებდა ი. ყიფშიძის ცხედარს დიდუბის პანთეონისაკენ, ცრემლიანი გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს მას ექ. თაყაიშვილმა (უნივერსიტეტი ს პროფესორთა საბჭოს სახელით) და აკაკი შანიძემ (სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სახელით). პრესაში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან განცხადებასა და წერილში გამოხატული იყო არა ღრმა მწუხარება, არამედ წარმოჩენილი იყო საქვეყნო ღვაწლი და პიროვნული ამაღლებულობა განსვენებულისა. საზოგადოების სხვადასხვა წრის სათქმელს გამოხატავდა როცა მისი უახლოესი თანამებრძოლი ა. შანიძე წერდა: იოსებ ყიფშიძის სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა საუკეთესო შვილი. ქართულმა უნივერსიტეტმა – ნიჭიერი პროფესორი. ქართულმა ენათმეცნიერებამ - დიდი იმედი, მშობლებმა და ცოლ-შვილმა – ოჯახის ბურჯი და ამხანაგებმა – ტკბილი მეგობარი.¹⁷

#17#

ახალგაზრდობის მწარე გულისტკივილს გადმოსცემდა სტუდენტი ვარლამ მიძიგურის წერილი“ „სიკვდილი უგულო ქურდია... გუშინ მან ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის კედლებშიც შემოიხედა და იქიდან მოგვპარა ლამაზი სული ახალგაზრდა მეცნიერისა. სიკვდილის ღმერთს რომ სცოდნოდა, ეგ რა დანაშაული ჩაიდინა, როგორ დაგვაობლა, რარიგ არედ და გვითუთქა გული, -- ჩვენს საყვარელს,

¹⁶ არაგვის ქუჩის № 8 სახლზე გაკეთებული მემორიალური დაფა გვაუწყებს: „ამ სახლში 1917-1919 წლებში ცხოვრობდა გამოჩენილი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი იოსებ ყიფშიძე“.

¹⁷ ა. შანიძე, პროფ. ი. ყიფშიძე; გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 23 თებ.

წყნარს, მშვიდს, მომზადებულს მასწავლებელს არ წაგვართმევდა, რა გაუკეთდა იმისი ფასი, რაც ჩვენ დაგვაკლო?!... მშვიდობით, მასწავლებლო, სიტყვებს არ გეტყვით, ცრემლების დღეა!“¹⁸

ასე გულმტკივნეულად დაიტირა მთელმა საქართველომ დიდი სამეცნიერო საქმეების გასაკეთებლად შემართული მძლავრი ტალანტის მეყსეული დაცემა.

მეცნიერული მემკვიდრეობა

იოსებ ყიფშიძემ საბედისწერო შემთხვევითობის გამო სამეცნიერო ასპარეზზე მხოლოდ ათიოდე წელი იღვაწა და ამიტომ, ცხადია, მას არ შეეძლო დაეტოვებინა მრავალრიცხოვანი და მრავალპროფილიანი დიდტანიანი შრომები, მაგრამ რაც მან მოასწრო ერთ ათწლეულში, უთუოდ უხვ ნაყოფიერებიდ წარმოგვიდგება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივადაც. მის ფილოლოგიურ და ლინგვისტურ შრომებს მნიშვნელობა ჰქონდათ არა მარტო ისტორიულად – XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ენათმეცნიერული სკოლის საფუძვლების ჩასაყრელად, არამედ ბევრ მათგანს დღესაც შენარჩუნებული აქვს ცხოველმყოფელი ძალა და ბიძგს იძლევა ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის სიღრმისეულ შრეებში შეღწევისა და მათი გააზრებისათვის.

რადგან ი. ყიფშიძის შრომები დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და მათი უმეტესობა სათანადოდ შეფასებულაც არ არის, საჭიროდ ვთვლით, მოკლედ შევეხოთ მის ასე თუ ისე მეცნიერულად ღირებულ ყველა შრომას უპირატესად პოზიტიური შედეგების წარმოჩენის მიზნით. ეს იმიტომ რომ ენათმეცნიერული კვლევა-ძიების 20-იანი #18#

წლების საერთო დონით განპირობებულ შეცდომებზე ლაპარაკი 80-იან წლებში არა მარტო გარკვეული უხერხულობა, არამედ, რაც მთავარია, ზედმეტიც იქნება, რადგან იმჟამინდელი შეცდომების გამეორების საფრთხე უკვე სამუდამოდ განვლილია.

I. ქართული ენა

1. „ქართული ენის გრამატიკა“.¹⁹ ი. ყიფშიძის ეს ქართული ენის პრაქტიკული კურსი ლიტოგრაფიული წესით გამოსცა აღმოსავლეთმცოდნეობის საიმპერატორო საზოგადოებამ სერიაში, რომელსაც ერქვა „Курсы кавказских туземных языков для кандидатов на судебные должности Министерства юстиции“. მართალია, წიგნის დასასრულს (გვ. 95) ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული ენის კურსის გამოცემისას არსებითად ემყარებოდა ნ. მარის მიერ სანკტ-პეტერბურგში 1908 წელს გამოცემულ „ძირითად ტაბულებს ძველი ქართული ენის გრამატიკისათვის“, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დიდი მასწავლებლის იაფეტური თეორიის

¹⁸ ვარ. ძიძიგური, უღვთო არის შენი სიკვდილი: გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 26 თებ.

¹⁹ Грамматика грузинского языка, составил И. А. Кипшидзе, С.-Пб., 1911 (94 стр.)

გავლენა ნაკლებად ეტყობა ნიჭიერი მოწაფის ამ ნაშრომს. ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ ეს წიგნი წარმოადგენდა სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულების აღწერით გრამატიკას, რომელსაც არ მოეთხოვებოდა საკითხების ისტორიულ ასპექტში განხილვა. შრომის პრაქტიკულმა მიზანმა განსაზღვრა ისიც, რომ ქართული ენის ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის რაობა-არსი ხშირად წარმოჩენილია რუსული ენის სათანადო მოვლენებთან შეპირისპირების ფონზე და გრამატიკული საკითხების საილუსტრაციოდ მოხმობილ სავარჯიშო მასალებში მეტწილად პროფესიული (იურიდიული) ლექსიკაა წინ წამოწეული.

შრომა იწყება ქართული ანბანისა და ბგერების ზოგადი დახასიათებით, მოყვანილია ბგერათა კლასიფიკაციის ტაბულა-ცხრილი, სადაც ბგერათა სადიფერენციაციო ნიშნებად მიღებულია წარმოების ადგილი (ვერტიკალური რიგი) და რაგვარობა (ჰორიზონტალური რიგი), ამ უკანასკნელთან აღნიშნულია არა მარტო სიყრუე-სიმჟღერე, არამედ სონორობა-არასონორობა, ხშულობა-ნაპრალოვნობა. ხმოვნები დაჯგუფებულია ორი ნიშნის მიხედვით: #19#

წარმოების ადგილისა (ბაგისმიერნი **ო, უ**, შუაენისმიერნი **ი, ე**, უკანაენისმიერი **ა**) და ღიაობის მიხედვით (ვიწრო **ი, უ**, საშუალო **ო, ე**, და ფართო ღიაობის **ა**).

შრომაში აღნიშნულია, რომ ქართული ყრუ ფშვინვიერი **ფ, თ, ქ** და ყრუ მკვეთრი **ჰ, ტ, კ** რუსულად ერთნაირად გადადის **п, т, к**-თი, სპირანტი **ღ** ისე გამოითქმის როგორც რუსული **т** სიტყვებში **ног, ногатый**, ხოლო რთული **ძ** და **ჯ** რუსულში ჩვეულებრივ ორბგეროვანი **дж** და **дж** ერთეულებით გადმოიცემა, რაც არასწორი გამოთქმაა. ავტორის აზრით, ქართული წერისა და კითხვის ძირითადი წესი ასეთია: „წერენ ისე, როგორც წარმოთქვამენ, და წარმოთქვამენ ისე, როგორც წერენ“ (გვ. 4).

მორფოლოგიის უბანში განხილულია ყველა მეტყველების ნაწილი. გრამატიკული მოვლენების სწორი კვალიფიკაციის შემთხვევებიდან მოვიყვანთ ზოგიერთს. სახელთა ბრუნებიდან აღსანიშნავია, რომ ფუძის სამ ბრუნვაში (ნათ., მოქ., ვით.) კუმშვის პირობად მიჩნეულია არა მარტო **ე** და **ა** ხმოვნების არსებობა ბოლო მარცვალში, არამედ ბოლოკიდურ თანხმოვნად სონორი **ლ, მ, ნ, რ**-ს ქონა, ე. ი. კუმშვადი ფუძე უნდა ბოლოვდებოდეს **ალ, ამ, ან, არ, ელ, ენ, ერ** მარცვლებზე (გვ. 30).

ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელები ნათესაობითა და მოქმედებითში **-ის** და **-ით** დაბოლოების ნაცვლად მიიღებენ **-ს(ი), თი**-ს, თანაც, თუ ასეთი სახელი მართული მსაზღვრელია და წინა რიგისაა, **ი**-ს კარგავს (ეზო-ს ადგილი), მომდევნო რიგის შემთხვევაში ის ინარჩუნებს: ადგილი ეზო-სი (გვ. 20).

თანხმოვანფუძიანი სახელი მიც. ბრუნვის ს ნიშანს კარგავს, როცა მას ერწყმის შეკვეცილი **ზე, ში, თან** თანდებულები: კარზე, სახლში, კაცთან (გვ. 26-27).

მოთხრობითი ბრუნვის (ნაცვალსახელური მიცემითის) მაწარმოებელია **-მან**, რომელიც თანხმოვანფუძიანებთან **-მა**-ს, ხმოვანფუძიანებთან **-მ**-ს სახითაა წარმოდგენილი ამ ბრუნვაში დასმული სახელი ზმნის გარკვეულ დროსთან მხოლოდ ქვემდებარეს გამოხატავს და შეესატყვისება რუსულ სახელობითს (გვ. 28)

მიმართულებითი (= ვითარებითი) ბრუნვის ფორმა გამოხატავს როგორც მიმართულებას (მივდივარ ქალაქად иду в город), ასევე ვითარებას (ვინაა მოსამართლედ? кто в судею?) და ზედსართავ სახელებს აქცევს ზმნიზედებად: ლამაზი > ლამაზად (გვ. 29).

#20#

მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელის ბრუნებას განსაზღვრავს ფუძის დაბოლოება და ადგილი საზღვრულთან მიმართებით: ა) ხმოვანფუძიანი წინა რიგის მსაზღვრელი უბრუნველია (პატარა ბავშვის), მომდევნო რიგისა კი იბრუნვის (ბავშვის პატარასი); ბ) თანხმოვანფუძიანი წინა რიგის მსაზღვრელი სახელობითსა, მოთხოვითსა და წოდებითში სრულ დაბოლოებას მიიღებს (დიდი სახლი, დიდმა სახლმა, დიდო სახლო), ნათესაობითსა და მოქმედებითში კი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნით ელემენტს (ს, თ-ს) კარგავს და ფორმალურად სახელობითს ემთხვევა (დიდი სახლის, დიდი სახლით), ხოლო მიცემითსა და მიმართულებითში სულ კარგავს ბრუნვის ნიშანს: დიდ სახლს, დიდ სახლად/თ (გვ. 34-35).

საყურადღებოა ვნებითი გვარის ზმნათა ოთხი ტიპის („poroda“-ს) გამოყოფა: 1. უნიშნოსი (ვწერები), 2. ი პრეფიქსიანისა (ვიწერები), 3. ე პრეფიქსიანისა (ვეცხადები), 4. დ სუფიქსიანისა (ვჭერდები) (გვ. 46).

ასევე ოთხი ტიპის წარმოებაა გამოყოფილი მოქმედებითი გვარის ზმნებშიც. 1. უნიშნო (ვწერ), 2. ი პრეფიქსიანი (ვიწერ), 3. ა პრეფიქსიანი (ვაცხადებ), 4. ა-ინებ კონფიქსიანი (ვაჩერებინებ) (გვ. 45-46). ცხადია, ი. ყიფშიძის ამ შრომაში „poroda“ (გვარ-სახეობა) გრამატიკული კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი კი არ არის, არამედ ტექნიკური, რადგან ის გულისხმობს ზმნათა ფორმალურ დაჯგუფებას ძირეულ მორფემაზე დართული პრეფიქს-სუფიქსების კვალობაზე და არა კონკრეტული გრამატიკული კატეგორიის საპირისპირო ფორმათა გამოყოფას. ამიტომ, რომ, ვთქვათ, მოქ. გვარის სათავისო ქცევისა და ი პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები (ვიწერ, ვიწერები) ორივე მეორე „poroda“-შია გაერთიანებული. მაგრამ ზმნათა ასეთ ფორმალურ დაჯგუფებას ენათმეცნიერული კვლევის იმდროინდელი დონე განსაზღვრავდა და მხოლოდ ყიფშიძისეული კვლევის ნაკლი არ იყო.

გამოყოფილი და დახასიათებულია ზმნათა უღლებადი ფორმების სამი ჯგუფი: პირველი (I სერია): 1. აწმყო, 2. ნამყო უსრული (უწყვეტელი) და 3. I კავშირებითი; მეორე (II სერია): 1. აორისტი (წყვეტილი), 2. მომავლის კავშირებითი (II კავშირებითი); მესამე: 1. ნამყო

#21#

სრული (I თურმეობითი) 2. წინარეწარსული (II თურმეობითი), 3. ნამყო კავშირებითი (III კავშირებითი). შენიშნულია, რომ მოქ. გვარის ზმნები დროთა (= მწკრივთა) მესამე ჯგუფის ფორმებს ობიექტური წყობით აწარმოებენ (მიკლავს, მეკლა, მეკლას), ხოლო ვნებითები -ულ, -ილ სუფიქსიანი მიმღებობითა და ყოფნა მეშველი ზმნით: მოკლულ ვარ, მოკლულ ვიყავ, მოკლულ ვიყო (გვ. 86-88).

ი. ყიფშიძე საგანგებოდ განიხილავს მყავს, მაქვს, მწყურია, მშია, მიხარია ზმნებს და მათ ობიექტურ წყობაში ინვერსიას ხედავს, ის წერს: არის ზმნები, რომლებშიც სუბიექტური და ობიექტური ნაწილაკები (= პირის ნიშნები) ასრულებენ თავის პირდაპირ დანიშნულებას, ე. ი. პირველი მათგანი ზმნაში მიანიშნებს სუბიექტზე, მეორე – ობიექტზე, „მაგრამ არის

ზმნები, რომლებშიც ნაცვალსახელურ ნაწილაკებს სწორედ ზემოაღნიშნულის საპირისპირო მნიშვნელობა აქვთ, ე. ი. სუბიექტური ნაწილაკები გამოხატავენ ობიექტს, ხოლო ობიექტური ნაწილაკები – სუბიექტს (გვ. 76). ასეთი ინვერსიული ზმნების მორფოლოგიური სტრუქტურა რომ გასაგები გახადოს, ი. ყიფშიძე იძლევა მათ შინაარსობლივ და ფორმალურ თარგმანს ერთობლივ: **მიყვარს** люблю его (собст. Мне любим он), მაქვს я имею его (собст. У мнѣ он есть) და სხვ. (გვ. 83).

შრომაში განხილულია ე. წ. დეფექტური ზმნები (გვ. 91-92), რომლებიც ფუძეთა შენაცვლებით ივსებენ დროის (= მწკრივის) ან რიცხვის ნაკლულ ფორმებს: 1. ვარ, ვიქნები, ვიყავი; 2. ვმ(ვ)რები, ვიქმ/ვიზამ, ვქენი; 3. ვლაპარაკობ, ვიტყვი, ვთქვი; 4. გდია (ქვა), ყრია (ქვები); 5 ძევს (ქვა), აწყვია (ქვები).

დასასრულ, შრომაში, ცხადია, არის უზუსტობანი და შეცდომებიც, მაგრამ თავისი პოზიტიური შედეგებით ი. ყიფშიძის „ქართული ენის გრამატიკის“ სასწავლო კურსი მაინც იმსახურებს გარკვეულ ყურადღებას. სხვა რომ არა, ის ქართული გრამატიკული აზრის განვითარების ისტორიის ორგანული ფურცელია და აქამდე მისი სრული იგნორირება, სამწუხაროდ, წარსული მემკვიდრეობისადმი მიუტევებელ გულგრილობად მოჩანს.

2. „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“. ეს შრომა ი. ყიფშიძემ რუსულ ენაზე შესავალ ლექციად წაიკითხა 1915 წლის 9 ოქტომბერს, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პრივატ-დოცენტმა (მისი #22#

ქართული თარგმანი გამოაქვეყნა ს. გორგაძემ²⁰). ავტორი შრომის დასაწყისშივე მიუთითებს ფონეტიკური მოვლენების შესწავლის მნიშვნელობას გრამატიკული სტრუქტურის შესაცნობად და აღნიშნავს: თუ არ იქნა გათვალისწინებული კანონები, რომლებიც განაგებენ ფონეტიკურ მოვლენებს (კერძოდ, ასიმილაციისა და დისიმილაციისას) გამოუცნობი და აუხსნელი დარჩება ბევრი ფაქტი მორფოლოგიურ-სინტაქსური და ეტიმოლოგიური ხასიათისა. აქვეა სწორი ზოგადი განსაზღვრა, რომ სამწერლო ენა ერთგვარად ზღუდავს ფონეტიკური მოვლენების რეალიზაციას, რათა შეინარჩუნოს მორფოლოგიური და ეტიმოლოგიური სტრუქტურის გამჭვირვალება, თუმცა ბოლომდე ვერ ახერხებს ამას: „ძველს ქართულ ენაში, რომელიც მწერლობითი და, მაშასადამე, რამდენადმე ხელოვნური ენაა, მოჩანს ასიმილატორული ტენდენციების წინააღმდეგი მიდრეკილება, – დაცულ იქნას მწყობრი და ბროლივით წმინდა მორფოლოგიური და ეტიმოლოგიური სტრუქტურა ენისა; მეგრულში კი, რომელიც სალიტერატურო ენა არ არის, პირიქით, უპირატესობა ეძლევა ფონეტიკურ დასაბამს, რომელიც არ არის შემოზღუდული არავითარი პირობითი მწიგნობრული საგრამატიკო კანონებით. მაგრამ ძველს ქართულ ენაშიც (ახალ ქართულზე რომ აღარა ვსთქვათ რა) ამოსჩქეფს ხოლმე აქა-იქ ეს მძლავრი ასიმილატორული ნაკადული“ (გვ. 2).

ი. ყიფშიძემ ამ შრომაში ძირითადად დაადგინა ასიმილაციისა და დისიმილაციის ბუნება ქართულსა და მეგრულში, მათი სახეობანი ადგილისა და შედეგის მიხედვით:

²⁰ ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, 1919, გვ. 1-8

ასიმილაცია ადგილის მიხედვით უშუალოდ მეზობელ თანხმომცემებს შორის მეტწილად რეგრესული ხასიათისაა, ხოლო შედეგის მიხედვით – ნაწილობრივი (მსგავსი – მზგავსი, მიღწევა – მიხწევა, ქვითკირი – ქვიტკირი, სახლითგან – სახლიდგან, ვთასუნქ – ფთასუნქ „ვთესავ“, ვკათანქ – პკათანქ „ვკრებ“...), ხოლო როცა ასიმილირებული და მასიმილირებული თანხმომცემები დაშორებულია ერთმანეთისგან ერთი ან რამდენიმე ბგერით, ასიმილაცია ხშირად სრულია (სიში > შიში, სიმშილი > შიმშილი, სიმთული > შიმთული, ხათეცი > ხაცეცი „პატარძალი“, შქასერი > სქასერი „შუადამე“). აქ საყურადღებოა არა იმდენად ის, რომ დასახელებული მაგალითები დღესაც ასიმილაციის საქრესტომათიო ნიმუშებად მიიჩნევა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, არამედ იმის ახსნის ცდა, თუ რატომ გაურბის #23#

ქართული და მეგრული უშუალოდ მეზობელ თანხმომცემებს შორის სრულ ასიმილაციას. მკვლევრის აზრით, ქართულისა და მეგრულის ბუნებაა, თავი აარიდონ ერთი და იმავე თანხმომცემის გამეორებას, რადგან მათთვის უცხოა ეს გაორმაგებული (გემინირებული) თანხმომცემები, ასეთი რამ მხოლოდ მორფოლოგიური სტრუქტურის დაცვის აუცილებლობითაა ასატანი (მმალავს, ქუთაისს...), ხოლო ძირეულ მორფემაში გამოვლენილი გაორკეცებული თანხმომცემის ორად-ორი მაგალითი (თთუე, ჩჩული) ძველი ქართულიდან ამ წესს არ ეწინააღმდეგება, რადგან ისინი ისტორიულად ნარედუქციევი ფორმებით შდრ. **თთუე**, მეგრ. **თუთა**; **ჩჩული**, მეგრ. **ჩქიქუ** [და არა თოთო (ჩოჩო) ჩოჩორი, როგორც ვარაუდობდა ავტორი].

ი. ყიფშიძემ ისიც სწორად შენიშნა, რომ თანხმომცემთა სრული ასიმილაციისთვის აუცილებელი არ არის დასამსგავსებელი და დამსგავსებელი ხმომცემების ისეთი განშორებობა, როგორც თანხმომცემების შემთხვევაში: „იგი წარმოებს ერთიმეორის გვერდით მდგომ ხმოვანთა შორისაც ქართული ენის იმ თვისების თანახმად, რომლის ძალითაც ერთი და იგივე ხმოვანი შეიძლება გაორკეცებულ და გასამკეცებულ იქნეს“ (აახლებს გააახლებს) (გვ. 6). ჩვეულებრივ ქცევის ან გვარის მაწარმოებელი პრეფიქსული ხმოვნები რეგრესულად იმსგავსებენ ზმნისწინისეულ ან ნაწილაკისეულ ხმოვნებს (დუუმახუ < დოუმახუ „დაუმახა“, ქითხუ < ქოითხუ „ითხოვა“, ვეენგარა < ვა ინგარა „არ იტირო“...).

რაც შეეხება დისიმილაციას, ის ქართულსა და მეგრულში მეტწილად ნარწარა თანხმომცემებს მოსდის და ადგილის მიხედვით პროგრესულია (ჭურჭერი > ჭურჭელი, ირიფერი > ირიფელი „ყველაფერი“...). ასევე სადაურობის -ურ სუფიქსი -ულ-ად გადაიქცევა რ-ს შემცველ ფუძეებში (კახ-ურ-ი, მაგრამ: რუს-ულ-ი, ქართ-ულ-ი).

ცხადია, ი. ყიფშიძის შრომა არ იძლევა ასიმილაციისა და დისიმილაციის რეალიზაციის ყველა ტიპური შემთხვევის დახასიათებას (მაგალითად, არაფერია ნათქვამი თანხმომცემთა დისიმილაციურ გამჟღერება ან გამკვეთრება – აბრუპტივიზაციაზე...), მაგრამ რაც შენიშნული და კვალიფიცირებულია, უთუოდ ღირებულია; ფასეულია სწორი ზოგადი დასკვნა: „ქართულსა და მეგრულში თუმცა ყველა სახის ასიმილაცია და დისიმილაცია #24#

გვხვდება, მაგრამ უპირატესნი და დამახასიათებელნი არიან: რეგრესული ასიმილაცია და პროგრესული დისიმილაცია“ (გვ. 8).

3. „ცხოვრება და წამებაჲ წმიდისა ანტონი-რავახისი“.21 ეს არის ი. ყიფშიძის მნიშვნელოვანი ფილოლოგიური შრომა, რომელშიც ძველი ქართულის ერთი წერილობითი ძეგლი შესწავლილია ისეთი აკრიბითა და ერუდიციით, როგორც ახასიათებდა საერთოდ მისი მასწავლებლის – ნ. მარის კლასიკურ პუბლიკაციებს.

ქართული ტექსტი გამოცემულია X საუკუნის ორი ხელნაწერის მიხედვით (ათონისა № 57, სინისა № 62, ცაგარლით № 52) და ახლავს ზუსტი რუსული თარგმანი, რომელიც საყურადღებოა ძველი ქართული სიტყვების არა მარტო ლექსიკური, არამედ გრამატიკული შინაარსის გასაცნობიერებლადაც.

ანტონი-რავახის ცხოვრების ტექსტი შექმნილი უნდა იყოს მე-9 საუკუნის დასაწყისში (805 წელს). ქრისტიანულ სამყაროში უფრო ცნობილი იყო მისი არაბული და ეთიოპური ვერსიები, რომელთაგან საგრძნობლად განსხვავებული აღმოჩნდა ქართული თარგმანი, რაც ცხადყო ი. ყიფშიძემ. მან ქართული თარგმანი შეუდარა არაბულ და ეთიოპური ვერსიების პაულ პეტერსისეულ გამოცემას და აღნუსხა მათ შორის არსებული რამდენიმე მკვეთრი თავისებურება (ქართულ ტექსტში თხრობა პირველი პირითაა, უცხოენოვან ვერსიებში კი – მესამეთი, ქართულში ანტონი-რავახს სიკვდილით სჯის ამირა მუმნი, უცხოენოვან ვერსიებში კი – ჰარუნ რაშიდი) და ფრთხილად შენიშნა: ქართული ვერსია უნდა მომდინარეობდეს ისეთი პროტოტიპიდან, რომელიც განსხვავებული იყო სხვაენოვანი ვერსიების წყაროთაგან (გვ. 61). ქართული თარგმანის ენაზე დაკვირვება არ აძლევს მკვლევარს ისეთ საფუძველს, რომ ზუსტად დაადგინოს მისი გენეზისი. გამომცემლის აზრით, საკუთარი სახელები: მაქა, შამი (სირია), ჰართამა, ან სახელწოდება ამირა უფრო არაბულ-სირიული ფორმებია მაგრამ ისინი ნახმარია არა არაბულ-სირიულიდან მომდინარე ძეგლებშიც, ამიტომ ქართული თარგმნის პირველწყარო დაუდგენელი რჩება.

ი. ყიფშიძემ ქართულ ტექსტს წაუმძღვარა ენობრივი დახასიათებაც, სადაც საინტერესო ფაქტები გამოავლინა. მან სწორად აღნიშნა, რომ ვ ზოგჯერ ხმოვანთ გასაყარად #25#

(ჰიატუსის ასაცილებლად) იყო ჩართული (სარწმუნოვება), ხოლო ზოგ ფუძეში ძირის კუთვნილება იყო (შუვა, შოვრის), ზოგში კიდეც – დიალექტური (ვულგარული) (იოვანე, თევდორე). უნდა ითქვას, რომ იოვანე თავისი ვინით უფრო სომხურ ლიტერატურულ ტრადიციასთან ამყვანებს სიახლოვეს, ხოლო თევდორე ო-ს ვ-დ რედუქციის შედეგი იყოს (შდრ. რაოდენ/რავდენ).

საყურადღებოა მკვლევრის შენიშვნა, რომ ალ ზმნისწინის ღ-ს დაკარგვას აჭოცა, აჭოცს ფორმებში ჯ და ჰ ბგერების მეზობლობა განაპირობებს (გვ. 75). შრომაში ყურადღება ექცევა დ-ს დაკარგვის შემთხვევებს სახელობითში (მოწამე, სავანე) იმის გათვალისწინებით, რომ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ძველი ქართულის ნორმისებრ წრფელობითის (ფუძის) სახითაა წარმოდგენილი. სწორადაა წარმოჩენილი ზ გრაფემის ბგერითი მნიშვნელობის რეალიზაციის ფაქტები (ე-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელების სახელობითის ფორმაში, უფროობით ხარისხსა და ზმნისართებში), ხოლო ზ-ს ზედმეტად

²¹ И. Кипшидзе, Жизнь и мученичество св. Антония-Рахава, Хр. Восток, II, С.-Пб., 1913 стр. 54-104

ხმარება ეს ადგილზე (ღამწსა, სპარსჭითით...) მიჩნეულია ე და ც-ს ფონემური ოპოზიციის მოშლის შედეგად. მკვლევარმა მართებულად ჩათვალა **თვნიერ** („გარდა“) თანდებულის მიერ სახელის მართვა ნათესაობითთან ერთად სახელობით ბრუნვაშიც და არ გაასწორა ტექსტი: „არა არს სხუად შჯული თვნიერ შჯული ქრისტეანეთად“, თან აღნიშნა: ასეთ შემთხვევას ნ. მარი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტში გადამწერის შეცდომად თვლის და იკითხვის „გლახაკთა არად აქუს თვნიერ ღმრთისა სახიერისა მოაწყალეზად“, ასწორებს: „...თვნიერ ღმრთისა სახიერისა მოაწყალეზისად. არის კი საჭირო ასეთი შესწორება?!“

ცხადია, ამ დავაში ი. ყიფშიძე მართალი იყო.

მკვლევარმა ყურადღება მიაქცია ტექსტში ნახმარ იშვიათ ზმნასაც **ამწერობდა** („მწერ-ბუზებს უგერიებდა“ ინмаживал мух): ტრედი ფრინვით ამწერობდა ზედა კრავსა მას (83,8); აჰა ტრედი იგი კუალად გამოჩნდა და ეგრჭთვე ამწერობდა კრავსა მას (84, 16).

4. „**ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია**“. ეს წიგნი უნდა გამოსულიყო ნ. მარის „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკასთან“ ერთად, როგორც ერთიანი სახელმძღვანელოს პრაქტიკული ნაწილი. მაგრამ რადგან ნ. მარის გრამატიკას გამოსვლა #26#

დაუგვიანდა (გამოიცა 1925 წ.), ქრესტომათია ცალკე გამოსცა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტმა.²² აღსანიშნავია, რომ წიგნს რუსული სატიტულო გვერდის პარალელურად აქვს ქართულიც, რომელზეც მრგვლოვანი და ნუსხური ასოებით აღნიშნულია: მრავალთავი ძველთა მათგან წერილთა ქართველთადასად მის მიერთა სიტყუათ მჭელეულითურთ თარგმანით ენისა მისგან სამწიგნობროდასად რუსთასა, კრებული იოსების მიერ ყიფშიძისა, პეტრეს-ქალაქი, საბეჭდავი მეცნიერებათ-აკადემიისა რუსეთისა, ქორონიკონსა მდ.²³ აქ უნებლიე ყურადღებას იქცევს ნ. მარის სკოლის ცდა, გამოაცოცხლოს და სახმარ-ყოს მივიწყებული ქართული შესატყვისობანი უცხოენოვანი ლექსიკური ერთგულების ნაცვლად, მრავალთავი – ქრესტომათიისა, სიტყუათმჭელეული – ლექსიკონის, საბეჭდავი – სტამბის ნაცვლად.

ამ მხრივ და უფრო ჭეშმარიტი მეცნიერული ეთიკის თვალსაზრისით ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ პეტროგრადის უნივერსიტეტიდან სახელოვანი მოწაფის წამოსვლით გულდაწყვეტილ ნ. მარს ყურადღება არ მოუკლია ი. ყიფშიძის მიერ შედგენილი ქრესტომათიის გამოცემისთვის, წიგნის თავფურცელიც მას შეუდგენია და წინასიტყვაობაში ზოგი ცნობაც შეუტანია ნ. მარი 1918 წლის 1 ნოემბერს პეტროგრადიდან სწერდა ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის საქმეებში ჩაფლულ ი ყიფშიძეს: „ბატონო იოსეფ, ქრესტომათიის წინასიტყვაობაში კრინტიც არ არის დაძრული: თუ რა და რა გამოცემისგან ან ხელნაწერებიდან ამოვირჩევით საკითხავები. რადგან მიწერ-მოწერას ახლა ლაზათი აღარ აქვს, ზოგადად ან ვარაუდით რაღაც შევიტანე, მაგრამ შემდეგ გრამატიკის წინასიტყვაობაში უფრო გარკვეული ცნობები უნდა შევიტანოთ და დროზე მომიმზადეთ

²² Грузинская древнелитературная хрестоматия с древнегрузинско-русским словарем. Составил Иосиф Кипшидзе, Петроград, 1918

²³ უნდა იყოს ოდ (74), რადგან მეთოთხმეტე მოქცევის დასაწყისი 1844 მხოლოდ 74-ის მიმატებით იძლევა 1918 წელს (1844+74=1918)

ქრესტომათიას მრავალთავი დავარქვი და ლექსიკონი კი მჭელეულად, სიტყუათ-მჭელეულად მოვნათლე. გრამატიკა გაჭიანურდება შინაარსით თუ არა, ბეჭდვით მაინც“... (წერილი ინახება ი. ყიფშიძის არქივში, რომელიც დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, ს. ფ. 24100).

ქრესტომათიაში, როგორც სასწავლო წიგნში, ტექსტები დაბეჭდილია სამივე (მრგვლოვანი, ნუსხური, მხედრული) შრიფტით. მასში პირველადაა გამოქვეყნებული ფრაგმენტები ძველი ქართული ენის ისეთი წერილობითი ძეგლებისა, როგორცაა 978 წლის #27#

ომკური (ათონური) ბიბლია, 864 წლის სინური მრავალთავი და სხვა. სულ შეიცავს ცხრა ტექსტს, ესენია: სახარება (მათე, თ. 5-7), შესაქმეა (თ. 1), გამოსლვათაა (თ 1-2), „პოვნაა წმიდათა სამშჳულთაა“, „მოქცევაა ქართლისაა“, „ცხორებაა გრიგოლ ხანძთელისაა“, „სიბრძნე ბალავარისი“, იოვანე მტბევარის „იამბიკონი“.

გამოცემის ღირსება ის იყო, რომ ი. ყიფშიძეს შეგნებულად არ უცდია, გაესწორებინა ტექსტში არსებული კილოური ფორმები კლასიკური სალიტერატურო ენის ნორმის კვალობაზე, ასევე კარგი იყო, რომ მხედრულად დაბეჭდილ ტექსტებში (გარდა სინური მრავალთავის ფრაგმენტისა) ორნიშნა უ (ოჲ) კი არ გაატარა, არამედ ერთნიშნა.

ტექსტს ერთვის ვრცელი ძველქართულ-რუსული ლექსიკონი (გვ. 41-82), რომელშიც შეტანილია განსამარტავი ერთეულები არა მარტო ქრესტომათიის ტექსტებიდან, არამედ ნ. მარის მიერ 1913 წელს სანკტ-პეტერბურგში დაბეჭდილი მარკოზის სახარების 1-2 თავებისთვის შედგენილი ძველქართულ-რუსული ლექსიკონის მასალებიც. ლექსიკონის გამოყენების გასაადვილებლად განსამარტავი ერთეულები წარმოდგენილია ფუძეების სახით, რომელთაც საჭირო შემთხვევაში მისათითებელი უკეთდება სათანადო ძირებზე, ხოლო ამ უკნასკნელ ძირებთან გაერთიანებულია სათანადო ნაწარმოები ფორმებიც განმარტებებითურთ. განმარტებანი სხარტი და ზუსტია ბევრ ლექსიკურ ერთეულთან მითითებულია უცხოენოვანი ფარდი და მოცემულია ფორმის გრამატიკული დახასიათებაც, რაც ზრდის ლექსიკონის შემეცნებით მნიშვნელობას. სიტყვის ეტიმოლოგიური სტრუქტურის უკეთ წარმოჩენის მიზანს ემსახურება, ასე ვთქვათ, ფუძის დაშლილი სახით წარმოდგენის პრინციპიც განსამარტავ ფუძეებში ყოველთვის გამოყოფილია თავკიდურა ნაწარმოებლები: ზმნისწინები (აღ-ნთება, გან-გდება#...), მიმღეობისა და დერივაციული პრეფიქსები (მ-მოვარი, მა-ქებელი, სა-კურთხეველი; უ-ბიწოა, უ-მრწემწსი, მე-უდაბნოა, სა-ზუერა...) მაგალითად, ლექსიკონში ოთხი ომონიმური ა არის წარმოდგენილი და განმარტებული (1. აღ ზმნისწინის ნაშთი; 2. ქცევის ნიშანი; 3. კითხვითი ნაწილაკი; 4. არს მეშველი ზმნის ნაშთი). საჭირო შემთხვევაში ნაჩვენებია სიტყვის ეტიმოლოგია ან მისი #28#

სემანტიკურად და ბგერობრივად მსგავსი თუ იდენტური უცხოენოვანი ფარდი. მაგალითად, სიტყვა აქლემ-ს ამოსავალ ფორმად მიწერილი აქვს ქამელ-ი (გვ. 42). მართლაც, აქლემ-ი

სემიტური წარმოშობის სიტყვაა (გამალ/გამელ > ქამელ > აქმელ > აქლემ)²⁴. განსამარტავ ერთეულებს მიწერილი აქვთ სათანადო ფარდები სომხური ენისა (შდრ. ბასრობა „კიცხვა“, ბიწი, ბოროტი, ბუნი „მკვიდრი“, გეჰენია, გუნდი, დანგი „წვრილი ფული“, კოტორი „უმნიშვნელო ნაწილი“, პატივი, პატიჟი „სასჯელი“, სასტიკი, სპეტაკი, ტალავარი, ჭემმარიტი...), ბერძნული ენისა (იამბიკო, კათოლიკე, კანონი, კეისარი, მარგალიტი, მონაზონი, ნავი...), სპარსულ ენისა (სტაგი „კვირტი“, პილო „სპილო“, ჭაბუკი...) და სხვ. ერთი სიტყვით, გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ი. ყიფშიძის ეს პატარა ლექსიკონი „განმარტებათა სიზუსტით და საქმის ცოდნით მისაბამი ნიმუშია²⁵ დღესაც (ცხადია, ზოგი ფორმის ეტიმოლოგიის საეჭვოობა გასათვალისწინებელია).

5. ს.-ს. **ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“**. ი. ყიფშიძემ დიდი შრომა გასწია სულხან-საბა ორბელიანის „ქართული. ლექსიკონის“ ხელნაწერთა შესწავლისა და მის გამოსაცემად მომზადებაში. მან გამოიკვლია საბას ლექსიკონის ხელნაწერთა რედაქციული მიმართება, გამოყო სამი (A, B, C) რედაქციით უძველესი (C), რომელიც მოკლეა, შუალედური (B), რომელიც C-ს გავრცობით და გადამუშავებითაა მიღებული, და ბოლო (A), რომელიც კიდევ უფრო გავრცობილია, განსაკუთრებით ზმნური ფორმებით. ამ უკანასკნელი რედაქციის საფუძვლად ყიფშიძემ აიღო H ფონდის (ყოფილი საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის) № 1035 ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია საბას ძმის – ზოსიმეს მიერ 1727 მოსკოვს, ხოლო B რედაქციისთვის – ლენინგრადის სააზიო მუზეუმის ხელნაწერი № 95 B, რომელიც მხედრული დედნიდან ნუსხურადაა გადაწერილი აპრონ მთავარდიაკვნის მიერ, ხოლო C-სთვის – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის № 247 ხელნაწერი.

ი. ყიფშიძემ სამივე რედაქციის ტექსტი შეაჯერა, გადმოწერა და დასაბეჭდად #29#

გამზადა, შეუდგა კიდევაც ბეჭდვას პეტერბურგის მეცნ. აკადემიის სტამბაში 1918 წლის გაზაფხულზე: ა ასოზე მიტანილი მასალიდან აიწყო მხოლოდ ალაო სიტყვამდე, მერმე აწყობა შეწყდა, ი. ყიფშიძემ ბანიდან მოყოლებული მთელი მასალა თბილისში წამოიღო, რომ აქ გამოეცა. მოულოდნელმა სიკვდილმა არ დააცალა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. მის მიერ საბას ლექსიკონის სასტამბოდ გამზადებული მასალა თბილისის უნივერსიტეტმა შეიძინა. მოგვიანებით ა. შანიძემ შეძლო ამ მასალის შეკრება-რედაქტირება და გამოცემა.²⁶ მანვე ცხად-ყო იოსებ ყიფშიძის წვლილი საბას ლექსიკონის ხელნაწერთა შესწავლისა და მათი გამოსაცემად მომზადების საქმეში

II. მეგრულ-ქანური ენა.

²⁴ გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის: მოხსენ. კრებული, თბ., 1947, გვ. 18.

²⁵ ი. იმნაიშვილი, იოსებ ყიფშიძე – ლექსიკოლოგი: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 4 ოქტომბერი.

²⁶ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.

ი. ყიფშიძეს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ჭანურისა და მეგრულის შესწავლაში. ქართველოლოგიის ამ უბანში მან შექმნა მეტად ღირებული და ფასგაუვალი შრომები.

6. „**დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ**“²⁷ ეს ი. ყიფშიძის ერთ-ერთი ადრეული შრომათაგანია, რომელშიც შედის: 1. ჩხალური კილოკავის შესახებ (გვ. I-V), დაკვირვებანი გრამატიკაზე (გვ. 1-8), ტექსტები (გვ. 9-23), ჭანურ-რუსული ლექსიკონი (გვ. 24-33). ეს გამოკვლევა ემყარება იმ მასალებს, რომლებიც მოიპოვა ი. ყიფშიძემ 1910 წლის აგვისტოს ართვინის ოლქში შემავალი ჩხალეთის უბანში. მან ნახა სოფლები ღოლოგანი, მარადიდი, ბორჩხა და მდ. მურღულის ხეობაში შემავალი ჭინკათხევი, მოიპოვა ცნობები ჭოროხის მარჯვენა შენაკადის, მდი ჩხალის ხეობაში შემავალ ისეთ სოფლებზე, როგორცაა: კოსტანეთი, დამმარა, მაქრეთი, ბაშქოი, მამანათი, დუსქოი, პანჭურეთი და მჭათი. მისი ინფორმატორები მეტწილად არქაბელი ლაზები იყვნენ, ამიტომაც ზემოდასახელებული შრომის მნიშვნელობა მდგომარეობდა არა მარტო იმაში, რომ მასში პირველად იყო მოცემული ჩხალური თქმის ვრცელი დახასიათება, არამედ წარმოდგენილი იყო არქაბული კილოკავის #30#

ტექსტები ზღაპრული ჟანრისა (ასეთია ზღაპრები, რომლებიც შეიძლება დასათაურდეს როგორც „ორგული ცოლი“, „ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ“...). ამ ნაშრომის ღირებულება რომ შევიცნოთ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგიც. 1920 წელს პეტერბურგში გამოიცა ნ. მარის „ჭანურის (ლაზურის) გრამატიკა“, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული „ავტორის საენათმეცნიერო შრომათა შორის საუკეთესო პოზიტიურ გამოკვლევად“²⁸ მაგრამ მაშინ ნ. მარის ხელში იყო მეტად მცირე ოდენობის ლაზური ტექსტები, ისიც თითქმის სასაუბრო და არა თხრობითი ხასიათისა, რის გამოც ჭანურის გრამატიკული სტრუქტურის ზოგი სპეციფიკა გამოუჩენელი რჩებოდა. ამიტომ ი. ყიფშიძის შრომა უპირველესად ახალი ენობრივი ფაქტების გამოვლენით წინ სწევდა ჭანურის შესწავლის საქმეს.

ი. ყიფშიძის შრომამ გამოავლინა ჩხალური თქმის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, მყოფადის წარმოების განსხვავებული წესი: ჩხალურში მყოფადი მეტწილად იწარმოება საუღლებელი ზმნის II კავშირებითის ფორმაზე არა მოდალური **მინონ** („მინდა“) ზმნის უღლებადი (პირიელი) ფორმების დართვით (ვიდა-მინონ „წავალ“, იდა-გინონ, იდას-უნონ...), როგორც ეს არის საერთოდ ხოფურ კილოკავში, არამედ კავშირებითის ფორმაზე **უნონ**-ის უცვლელად დართვით (ვიდა-უნონ, იდა-უნონ, იდას-უნონ: ვიდათ-უნონ, იდათ-უნონ, იდაბ-უნონ (გვ. 5). ასევე სწორად იყო აღნიშნული, რომ რაოდენობითი რიცხვითი სახელები ჩვეულებრივ ფუძის სახითაა რეალიზებული (არ, ჟურ, სუმ, ოთხ...), ხოლო პირის ნაცვალსახელებს **ნ** აქვთ შერჩენილი (მან „მე“, სინ „მენ“, ჩქინ „ჩვენ“, თქვან „თქვენ“), ასევე ადგილი აქვს თემატური ნიშნების მონაცვლეობას (გიჩინამ/გიჩინომ „გიცნობ“), ან

²⁷ И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке, С.-Пб., 1911

²⁸ არნ. ჩიქობავა, პროფ. ი. ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, 1939, გვ. XXII.

თემისნიშნის ან უთემისნიშნო ფორმათა მონაცვლეობას (ვიმტაფურ/ვიმტერ „გავრზივარ“, მო იყოფურ/მო იყვერ „ნუ იქნება“).

შრომაზე დართული ლექსიკონი, რომელშიც 180-მდე ერთეულია შესული, ერთხელ კიდევ ნათელ-ყოფს, თუ რა ჭარბადაა დამკვიდრებული თურქიზმები ჭანურის ლექსიკაში (რაზი „თანხმოზა“, კაბაჰეთი „დანაშაული“, უსთა „ოსტატი“, კიზი „ქალიშვილი“, საები „პატრონი“, დემირჯი „მჭედელი“, დუშუნი „ფიქრი“, ორლანი „საბანი“, და სხვ.).

#31#

7. რეცენზია თ. კლუგეს შრომისა „მასალები მეგრული გრამატიკისათვის.“²⁹ თ. კლუგე მეგრულს სწავლობდა 1912 წლის ზაფხულს ახალ-სენაკში და თავისი დაკვირვებანი მეგრულის ფონეტიკასა და გრამატიკაზე გამოაქვეყნა 1913 წელს ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებისა და კულტურის ორგანოში (ტ. VII, გვ. 46-63). ი. ყიფშიძემ დაწვრილებით განიხილა კლუგეს შრომა. ცხოვრებაში მეტად მოკრძალებული და კეთილმოსურნე მკვლევარი მეცნიერული ჭემმარიტებისადმი ერთგულებამ აიძულა, ყოფილიყო მეტად მკაცრი, მაგრამ ობიექტური შემფასებელი სარეცენზიო შრომისა. ი. ყიფშიძემ აღნიშნა კლუგეს შრომაში დასმული საკითხების არა მარტო მცდარი კვალიფიკაცია, არამედ მოგვცა მათი სწორი ინტერპრეტაცია, რაც მეტად ფასეულია. დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს. ი. ყიფშიძემ არ გაიზიარა კლუგეს აზრი, რომ მეგრული გვარები თითქოს ზმნურ ძირს ემყარებოდეს და ეტიმოლოგიურად მოქ. გვარის მიმღობას უტოლდებოდეს და სწორად აღნიშნა: გვარების უმეტესობა მეგრულში მომდინარეობს ხალხის, ქვეყნის, მნათობების, ცხოველების [იგულისხმება: თიკუნების – კ. დ.]. სახელებიდან აფხაზავა (შდრ. აფხაზი), აბშილავა (შდრ. აბშილეთი), ჯიქია (შდრ. ჯიქი), ოდიშარია (შდრ. ოდიში), თოთიბამე, თუთბერიძე (შდრ. თუთა „მთვარე“), მირცხულავა (შდრ. მურიცხი „ვარსკვლავი“), მელია (მელი „მელა“), თოფურია (შდრ. თოფური „თაფლი“) და სხვ. (გვ. 240).

რეცენზიაში სწორადაა აღნიშნული, რომ ირაციონალური გ ხმოვანი მოუდის არა მარტო თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებს, როგორც ამას კლუგე ფიქრობდა, არამედ სახელებსაც „для облегчения произношения при стечении согласных“ (241), ხოლო სახელის შუაში ხშირად დიალექტურად ენაცვლება მარტივ [იგულისხმება – ი, უ, – კ. დ] ხმოვნებს. თანაც ზმნის ბოლოს ე ყოველთვის ზედმეტად გაჩენილი კი არ არის, არამედ სრული უ ხმოვნის რეფლექსია (მიჩქე < მიჩქუ < მიჩქუნ „ვიცი“). კლუგემ ვერ შეამჩნია მეგრულში ყ და უ ბგერები, ვერც ლ-ს პალატალურობა. ყ-ს შეუმჩნევლობის გამო, მან ვერ გაარჩია

#32#

მაგარშემართვიანი ხმოვნები ასეთი შემართვის უქონელი ხმოვნებისაგან და მცდარად დაასკვნა, რომ თითქოს მეგრულში ყველა ხმოვანი სიტყვის დასაწყისსა და შუაში იწყებდეს spiritus lenis-ით. ი. ყიფშიძემ მართებულად შენიშნა, რომ სპირიტუს ლენის-ის აღნიშვნა გრაფიკულად არაა საჭირო, მაგრამ საჭიროა – სპირიტუს ასპერისა, რომელსაც ქმნის

²⁹ დაიბეჭდა ჟურნალში „Записки Восточного отделения императорского русского археологического общества“, т. XXII, გვ. 239-246

ხმოვანისწინა ქ, ამიტომ რამდენადაც სწორია 'ude (ყუდე „სახლი“), იმდენად არასწორია ექოფუა („აღება“) ან 'ოთხი („ოთხი“) (გვ. 241).

ბრუნება მეგრულში ერთია ორი (ხმოვანფუძიანი, თანხმოვანფუძიანი) ქვესახეობით და არა ექვსი (ა, ე, ი, გ, ო, უ-ზე დაბოლოებულები), როგორც კლუგე ფიქრობდა, თანაც მეგრულს არ აკლია სახელობითი ბრუნვა: მართალია ხმოვანფუძიანებში სახელობითი და ფუძე ერთმანეთს ემთხვევა ბრუნვის ნიშნის დაკარგვის გამო, მაგრამ თანხმოვანფუძიანებში გარჩეულია: კოჩ-ი, კოჩ-ქ (კაც-ი, კაც-მა): ასევე წოდებით ბრუნვას მეგრულში ო კი არ აწარმოებს ფუძესთან შემაერთებელ ნ-სთან ერთად (ბიჭო-ნ-ო!), როგორც კლუგე ფიქრობდა, არამედ წოდებითის ფუნქციით სახელობითის ფორმა გამოდის (ბიჭი! ან: ო ბიჭი!) (გვ. 244). რეცენზიაში გამოვლენილია სხვა უხეში შეცდომებიც: დერივაციული -ამ სუფიქსი (დუდ-ამი, „თავიანი“) მოქმ. ბრუნვის ნიშნადაა მიჩნეული, მრავლობითის სუფიქსად ეფი-ა გამოყოფილი, ლაიტი მხ. რიცხვის ფორმადაა ჩათვლილი, სიმინდი კი – მრავლობითისად, მრავლობითობის მაწარმოებლადაა მიჩნეული ეფე დაბოლოებაც [თინეფე = თინეფი „ისინი“, ჯარეფე = ჯარეფი „ჯარები“], რომელიც სინამდვილეში ჭანური დაბოლოებაა და არა მეგრული...

რეცენზიაში სხვა კრიტიკული შენიშვნებიცაა. საერთოდ, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი სწორია, რადგან შეესაბამება მეგრულის სტუქტურის ობიექტურ ვითარებას.

8. „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა“.³⁰ ეს დიდტანიანი ფუნდამენტური მონოგრაფია არის გვირგვინი ი. ყიფშიძის სამეცნიერო მოღვაწეობისა და ერთ-ერთი უსაჩინოესი შრომათაგანი ქართველოლოგიაში. მის შექმნას წინ უძღოდა ავტორის მიერ მეგრულის ინტენსიურად შესწავლა ადგილზე. მეგრულის შესასწავლად ყიფშიძე ოთხჯერ იყო მივლინებული სამეგრელოში – 1909 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ #33#

ენათა ფაკულტეტის მიერ, 1910 წელს ამავე ფაკულტეტის მიერ, 1911 წელს საიმპერატორო მეცნ. აკადემიის მიერ, 1912 წელს საიმპერატორო რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების მიერ. მან სულ ექვსი თვე დაყო სამეგრელოში, მოიარა სხვადასხვა კუთხე (მარტვილი, სალხინო, ბანძა, ნაოლალევი, ზუგდიდი, ჯვარი, ილორი) და ზუსტად ჩაიწერა სხვადასხვა ჟანრის ტექსტები, რომლებიც შეიტანა თავის „მეგრულის გრამატიკაში“ ვრცელი ლექსიკონითურთ.

წიგნს უძღვის ვრცელი (31 გვერდიანი) შესავალი, რომელშიც განხილული საკითხები ზოგად წარმოდგენას იძლევა შრომის მეცნიერულ ღირებულებაზე. ეს საკითხებია: მეგრული (ივერიული) ტერმინის რაობა, მეგრულის გავრცელების არე ისტორიულად, მისი კილოკავური დაყოფა, უცხო ენათა გავლენა მეგრულზე და პირიქით – მეგრულის ელემენტები სხვა ენებში, მეგრულის თავისებურებანი ქართულთან მიმართებით, სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა სათანადო წყაროების სრული დასახელებით, ცნობები ქრესტომათიასა და მეგრულ-რუსული ლექსიკონის თაობაზე. ამ ნაწილში

³⁰ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб., 1914

განსაკუთრებით ფასეულია მეგრულის კილოკავური ნიშნების და მეგრულის ქართულისგან განსხვავებული გრამატიკული კატეგორიების წარმოჩენა.

შემდგომ წარმოდგენილია მეგრულის გრამატიკული სტრუქტურის ვრცელი მეცნიერული აღწერა ოთხ ნაწილად.

პირველ ნაწილში განხილულია მეგრულის ფონემური სისტემა, მოცემულია ბგერათა კლასიფიკაცია სპეციფიკური *ჟ* და *გ* ბგერების ვრცელი დახასიათებითურთ, წარმოჩენილია *ლ-ს* პალატალური ბუნება ზუგდიდურ კილოკავში, ხოლო მისი დაკარგვამდე მისული სისუსტე – სენაკური კილოკავის ბანძურ-მარტვილურ თქმაში. მოკლედ, მაგრამ თვალსაჩინო ფაქტების საფუძველზე მიმოხილულია ძირითადი ფონეტიკური მოვლენები (ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია, ბგერის გაჩენა და დაკარგვა...). უთუოდ საყურადღებოა მკვლევრის მიერ შენიშნული ფაქტი, რომ მეგრულში გრძელი თუ გაორმაგებული ხმოვნები ხშირად შედეგია სიტყვის ფონეტიკურად ცვლილებისა, კერძოდ, ხმოვნებს შორის თანხმოვნის დაკარგვისა და შემდგომ სრული ასიმილაციისა *ჯაალი* (< ძევალი), *ამბეე* (< ამბავი) (გვ. 08).

#45#

მეორე ნაწილი (მორფოლოგია) ყველაზე მთავარი და არსებითია შრომისა. მასში ყველა მეტყველების ნაწილის რაობაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით ვრცლადაა დახასიათებული სახელთა ბრუნება და ზმნის გრამატიკული კატეგორიები, უღლებადი ფორმები. არსებითად სწორადაა გამოყოფილი 9 ბრუნვის ნიშანი, შემჩნეულია მოთხ. ბრუნვის *ქ-ს* და მიც. ბრუნვის *ს-ს* გავლენა ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვნებზე (*ხოჯ-ქ* – *ხოჩ-ქ*, *ხოჯ-ს*, *ხო-ს* „ხარს“), თანხმოვანფუძიან სახელთა მერყეობა ბრუნებისას – სახელობითის მაწარმოებელი *ი-ს* შეზრდა ფუძესთან (*ხოჯ-ი-ქ*) თუ არშეზრდა (*ხოჩ-ქ*), პრეპოზიციური მსაზღვრელის საერთოდ უბრუნველობა, ხოლო ინვერსიული რიგისას თვით საზღვრულის უბრუნველობის შესაძლებლობა (*ბოშიქ ჭიჭიქ* / – *ბოში ჭიჭიქ* „ბიჭმა პატარამ“). უთუოდ ღირებული იყო მეგრულისათვის დამახასიათებელი *მა-ა* კონფიქსით ნაწარმოები თანაბრობითი ხარისხის ფორმის გამოყოფა. ხარისხის ეს ფორმა გამოხატავს, რომ საგანი, რომელიც უნდა დახასიათდეს, და საგანი, რომელსაც ის უნდა შეუდარდეს, ორივე თანაბარი ზომით შეიცავს ზედსართავით გამოხატულ თვისებას (*ჯამ მა-მაღალ-ა კოჩი* „ხესავით მაღალი კაცი“ / *ხის სიმაღლის კაცი*) .

სრულადაა აღწერილი და გაანალიზებული რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელების ჯგუფები, ვრცლადაა წარმოდგენილი ზმნის უღლების ტიპები სუბიექტური და ობიექტური წყობისა, მოქმედებითი და ვნებითი გვარისა, გამოყოფილია უღლებადი ფორმების ორი (აწმყოსი და წყვეტილის) ჯგუფი (სერია) მარტივი და რთული თემების საფუძველზე. ამ უკანასკნელის მათეტიკებელ (თემატურ) ნიშნებად მიჩნეულია *ან*, *ენ*, *ინ*, *უნ* სუფიქსები (გვ. 061). უღლებადი ფორმების თითოეული ჯგუფის (სერიის) მეთაურად დასახელებულია აწმყოს (I სერიისათვის) და აორისტის (II სერიისათვის) ფორმები, რომლებსაც ძირითად დროებს (= მწკრივებს) უწოდებს ავტორი, ხოლო დანარჩენ უღლებად ფორმებს (ნამყო უსრულს, კავშირებითს პირობითს) – ნაწარმოებ დროებს. მართალია, ი. ყიფშიძემ თავი ვერ დააღწია ტრადიციული „*поряд*“ ტერმინის ბუნდოვან გაგებას და ამ ცნების ქვეშ თითოეული

გვარისათვის ოთხ-ოთხი ფორმა გამოყო, რომლებშიც, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, გააერთიანა არა მარტო გვარის, არამედ ქცევისა და კონტაქტის შინაარსის ფორმებიც, მაგრამ თავისთავად ზმნებში ასეთი ჯგუფების გამოყოფასა და მათში

#35#

გრამატიკული მორფემების გამოცალკევებას მაინც გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომში ზმნის ფორმოზოლოგიის და ფუნქციური ანალიზისათვის, მაგალითად, ი. ყიფშიძის აზრით, მოქმედებითი გვარის ზმნები შეიძლება იყოს ოთხგვარი, ოთხი ჯგუფისა, ოთხი „პოპა“-სი: 1. უნიშნო (უპრეფიქსო) წარმოების (ჰჰარუნქ „ვწერ“); 2. ი- თავსართიანი (ვ-ი-ჰარუნქ „ვიწერ“); 3. ო- თავსართიანი, ან მისი ქართულიდან ნასესხები ა ფარდიანი (ვ-ო-ცქვანქ „ვაქებ“; ვ-ა-ჩემენქ „ვაჩერებ“); 4. ო თავსართიანი და აფ/აფუ სუფიქსიანი (ვ-ო-ჰარ-აფუ-ანქ „ვაწერინებ“) (გვ. 059). ასევე ვნებითი გვარის ზმნებიც შეიძლება იყოს ოთხი ჯგუფისა: 1. უნიშნო (ვლურუქ „ვკვდები“); 2. ი- პრეფიქსიანი (ვ-ი-ჰარუნქ „ვიწერები“) და შესაძლებლობის შინაარსის ფორმები (მი-ი-რთე „მიისვლება“); 3. დ-სუფიქსიანი (ზოგჯერ ონ ინფიქსი/თურთ ვ-ჩენ-დ-უ-ქ „ვჩერდები“, ვ-ჰითონ-დ-უქ „ვწითლდები“; 4. ა და ო- პრეფიქსიანი, ან ქართულიდან ნასესხები ე პრეფიქსიანი (ვ-ა-ჰარუნქ „ვეწერები“, ვ-ო-დუუქ „ვედავები“, ვ-ე-ცხადებუქ „ვეცხადები“).

ი. ყიფშიძეს ვრცლად და არსებითად სწორად აქვს აღწერილი საწყისისა და მიმდებარის წარმოების ტიპები (გვ. 93-96), თავისებური (დეფექტური) ზმნები (96-105), ასევე ზმნისწინათა რთული სისტემა (106-121).

მესამე ნაწილში თითქმის ამომწურავადაა წარმოჩენილი სიტყვაწარმოების როგორც აფიქსური, ასევე კომპოზიტიური საშუალებანი, გარკვეულია ზოგი მაწარმოებლის გენეზისი და მიმართება სათანადო ქართულ, სვანურ მაწარმოებლებთან, მაგალითად, სწორადაა აღნიშნული, რომ: გეოგრაფიულ სახელთა ლე- პრეფიქსი (ლექარდე, ლეხანდრე, ლეპაძამე) წარმოშობით სვანურია, ხოლო სა- მაწარმოებელი კი (საჯოლიო, სალიპარტიანო) – ქართული: დანიშნულების სახელთა სა- პრეფიქსი (საჯიმალო „სამმო“) ნასესხებია ქართულიდან, ხოლო მისი მეგრული ფარდია ო (ოცხენე „საცხენე“), ასევე ყოფილობის ნაპრეფიქსი მეგრულში ქართულიდანაა შესული (ნახონა „ნაყანევი“), ხოლო მისი კანონზომიერი მეგრული ფარდია ნო (ნოჩილი „ნაცოლევი“, შდრ. ნოჯიხენი „ნოჯიხევი“ [= ნაციხარი]. საყურადღებოა მკვლევრის აზრი არა მარტო მის შესახებ, რომ კომპოზიტების ერთი ჯგუფი I კომპონენტად იყენებს ნათ. ბრუნვაში დასმულ სახელს, რომელსაც ხშირად

#36#

ბრუნვის ნიშანი ეკვეცება (ჯიმასქუა < ჯიმაშ სქუა „მმისშვილი“), არამედ იმაზეც, რომ ამ ტიპის კომპოზიტად არის მიჩნეული კვირადღეების სახელები (თუთაშხა < თუთაშ დლა „ორშაბათი“ [= მთვარის დღე]) და უარყოფილია ნ. მარისეული ახსნა, თითქოს თუთა-შხა-ს შხა იმ შ-ს შეიცავდეს, რაც აფხაზური „დღის“ მნიშვნელობის ა-მგ-შ სიტყვაა (გვ. 130).

მეოთხე ნაწილში განხილულია მეგრულის სინტაქსური თავისებურებანი, საგანთა არაპირდაპირი დასახელების (ტაბუს) შემთხვევები და მეგრული ლექსთწყობის საკითხები (გვ. 132-150). გარკვეულია, რა სინტაქსური დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ ბრუნვაში დასმულ სახელს, შემჩნეულია მეგრულის სპეციფიკა: 1). ზმნის II სერიის

ფორმებთან (გვარის განურჩევლად) ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობით ბრუნვაშია წარმოდგენილი (კოჩქე ქემორთე, დოღურუ „კაცმა მოვიდა, მოკვდა“), ასევე ზმნიზედაც გრამატიკული სუბიექტის კვალობაზე ან მოთხრობითში დაისმის (ძალამქ ახიოლუ „ძალიანმა გაუხარდა“, ან გრამატიკული ობიექტის კვალობაზე – მიცემითში (ძალამს ოხიოლუ „ძალიანს უხარია“).

2) შემასმენელი რიცხვში უთანხმდება I და II პირის ნაცვალსახელებით შეწყობილ პირდ. და ირიბ დამატებებს (როცა ქვემდებარე მხოლობითშია): თგრქ დოფხვილეს „თოვლმა დაგვამწყვდია“ [დამამწყვდიეს], ჩქე ბაბუქ დომიღურეს „ჩვენ ბაბუა მოგვიკვდა“ [მომიკვდენენ].

3) რთული ქვეწყობილი წინადადება იკუმშება წევრ-კავშირის ამოღებით: მუქე რე, მუგაწყინეს? (< მუ რე, ნამუქე მუგაწყინეს? „რამ მოგაწყინათ?“ [რა არის, რომელმაც მოგაწყინათ?].

მეტად ფასეულია ი. ყიფშიძის აზრი მეგრული ლექსის სტრუქტურაზე, კერძოდ, იმის აღნიშვნა, რომ ტაეპში მარცვალთა საჭირო რაოდენობის რეგულაცია მიიღწევა როგორც სიტყვიდან ხმოვნის (თუ ხმოვნების) ამოღებით, ასევე მისი მიმატებით. შემდგომ ეს აზრი განავითარა ტ. გუდავამ, რომელმაც სალექსო სტრიქონში მარცვალთა მეტნაკლებობის გათანაბრების საშუალებად აღიარა მუხლთა სხვადასხვაგვარი ტემპით, სრული და კვეცილი სტილით, წარმოთქმა: ასეთი „რიტმული იმპულსის“ თანახმად, არაკანონიკური მუხლი კანონიკური ხდება, საჭიროების მიხედვით მუხლს, ემატება ან აკლდება მარცვალი, სიტყვა #37#

ნაწილდება მუხლთა შორის, ხდება ხმოვნის დაგრძელება ან მარცვლიანობის რედუქცია.³¹

ი. ყიფშიძის მონოგრაფიაში დიდი ადგილი უჭირავს სანიმუშოდ ჩაწერილ და დაბეჭდილ ტექსტებს (გვ. 1-188)) ასევე ბრწყინვალედ შედგენილ ვრცელ მეგრულ-რუსულ ლექსიკონს (გვ. 191-423).

ტექსტებში წარმოდგენილია თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი საქრესტომათიო მასალები: დიალოგ-საუბრები, ზღაპრები, იგავები, ლექსები, ანდაზები, („მოკოეფი“), ხატოვანი გამონათქვამები, გამოცანები („ემოორე - მოორე“). სარჩევში, სადაც ტექსტების დასათაურებაა მოცემული, მოყვანილია ცნობები, თუ სად და ვისგანაა ჩაწერილი, ან რომელი გამოცემიდანაა აღებული ტექსტები. ი. ყიფშიძემ თავის ქრესტომათიაში არა თუ შეიტანა ალ. ცაგარლის „მეგრულ ეტიუდებში“ შესული ტექსტები (ოთხთავის ფრაგმენტების მეგრული თარგმანის გამოკლებით), არამედ მარჯვედ გამოიყენა ცაგარლის მეთოდი – მეგრული ტექსტების ჩასაწერად მიმართა ქართულ ასოებს გ და ქ ნიშნებითურთ.

ვრცელი (234 გვერდიანი) მეგრულ-რუსული ლექსიკონი, ცხადია არსებითად თარგმნითი ხასიათისაა, მაგრამ რამდენადმე ის ეტიმოლოგიურ და ენციკლოპედიური ლექსიკონების ნიშნებსაც შეიცავს, რაც ზრდის შრომის საცნობარო და სამეცნიერო ღირებულებას. სიტყვათა გარკვეულ ნაწილს ახლავს სათანადო უცხოური (არაბული,

³¹ ტ. გუდავა, მეგრული ლექსის სტრუქტურის საკითხები: მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბ., 1975, გვ. 355.

სპარსული, თურქული, ბერძნული, აფხაზური...) ფარდი, გარკვეული ნაწილი კი ეტიმოლოგიურ ახსნასაც შეიცავს, მაგალითად, სიტყვები **ჯაჭვი** (მეწვეთან მიმართებით), **ჯიხა** (ციხესთან მიმართებით), **ჯუჯელია-ჯუჯელია** და სხვ. ამ უკანასკნელზე, მაგალითად, ნათქვამია: „გაუგებარი სართიმო წარმოება: ჯუჯელია, ჯუჯელია! ჩქიმი მამული ხარგელია, შხვაში მამული ფურცელია! „...ჩემი მამული (ვენახი) დახუნძლული, სხვისი მამული – ცარიელი (ფოთლებია)“. შეიძლება დავუშვათ, რომ **ჯუჯელია** იყო ძველი (**ჯ-ს დ-დ** დესიბილიზაციამდელი) ფორმა **დუდელი** („თავთავი“) სიტყვისა. მართალია, მოყვანილ ტექსტში, რომელიც ლოცვით წარმოითქმის ახალ წელს, ლაპარაკია ყურძნის მოსავალზე და არა ხორბლისა, მაგრამ შეიძლება **ჯუჯელია** („თავ-თავი“) მოცემულ შემთხვევაში უფრო #38#

ფართო გაგების იყოს საერთოდ მოსავლის შინაარსს გამოხატავდეს. მაშინ სიტყვებიც **ჯო** (= დო „და“), **მიჯამიდანა** (= მიდამიდანა „წამართმევენ“), **უბეჯური** („უბედური“), **ჯუჯი** (= დუდი „თავი“), რომლებიც მხოლოდ ერთ ადგილზე გვხვდება მთელს ქრესტომათიაში, მცდარი არ ყოფილა და ნდობას იმსახურებენ“. მართალია, აქ სიზუსტე არაა დაცული (**ჯუჯელია** გვიანდელია და მიღებულია **დუდელია**-სგან **დ-ს** აფრიკატიზაციით, მაგრამ თავად ამ ორი ფორმის ურთიერთკავშირის დანახვა და მისი შინაარსის ამოცნობა, უთუოდ საყურადღებოა.

არსებითად ენციკლოპედიურ სიტყვა-სტატიებს წარმოადგენენ ლექსიკონში შესული ისეთი ერთეულები, რომლებიც გამოხატავენ სპეციფიკურ ზნე-ჩვეულებებს, წარმართულ ღვთაებებსა და დღესასწაულებს, უძველესი გადმოცემებისა და ზღაპრების პერსონაჟებს (ასეთებია: კაპუნა/მირსობა, ანთარი, ალანურობა, გოხარჭალაფა, არამ-ხუტუ, ბუმბუას-ხიდი, მესეფი, ხე-ხუჯობა, ჭეჭეთობა და სხვ.).

ლექსიკონის ერთ გამოკვეთილ სტრუქტურული თავისებურება ისაა, რომ მასში განსამარტავი ერთეულები მოყვანილია არა ფუძეების, არამედ ძირების სახით: ერთი მხრივ, ეს ერთგვარად აძნელებს სიტყვის სასურველი ფორმის მოძებნას, მაგალითად, **ნოშქერი** („ნახშირი“ შეტანილია არა **ნ-ზე** არამედ **შ-ზე** (ნო-შქერი), ასევე, ვთქვათ, **ო-თავსართით** ნაწარმოები სახელები **ო** ასოზე კი არ არის შეტანილი, არამედ სათანადო ძირების დასაწყისი ასოების რიგში, **ობინეხე** („ვენახი“) **ბ-ს** რიგშია, **ოგვაჯე** („ქათმის საბუდარი“) – **გ-ს** რიგში, **ოდიარე** („ბალახი“) **დ-ს** რიგში და ა. შ. მეორე მხრივ, სიტყვების ძირზე გაწყობა უფრო ნათელს ხდის ეტიმოლოგიურ სტრუქტურას, რადგან განსამარტავ ძირთან მთელი სისრულითაა წარმოდგენილი ყველა ნაწარმოები ფუძე. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია ზმნურ ძირებთან მოყვანილი ფორმების სისრულე და თითქმის ამომწურავობა. მაგ., **ღ/ღალა** („ღება“) ძირთან თავმოყრილი ფორმების ანალიზსა და განმარტებას სამი სვეტი უკავია, ხოლო **ღ/ულა** („სვლა“) ძირისას კი – ექვსნახევარი სვეტი (!).

ი. ყიფშიძის „მეგრულის გრამატიკა“, ცხადია, განიცდის ნ. მარის „ჭანურის გრამატიკის“ გავლენას; ეს ჩანს თუნდაც გრამატიკული სქესის ოდინდელი არსებობის (გვ. 015), ან სახელობითი ბრუნვის ი ნიშნის უ-სგან მომდინარეობის (018) დაშვებაში, ან კიდევ #39#

ბგერათა სემასიოლოგიურ დაპირისპირებაში, რომ თითქოს სიტყვაში თანხმოვნები (ეტიმოლოგიურად სამი, ხოლო ფონეტიკური ცვლილებით მეტი ან ნაკლები) ლექსიკური შინაარსის მატარებელი ძირები იყოს, ხოლო ხმოვნები – გრამატიკული მნიშვნელობის მაწარმოებელი ელემენტები (015). მაგრამ ისიც უდავოა, რომ უნიჭიერესი მოწაფის „მეგრულის გრამატიკა“ აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო დიდი მასწავლებლის მშვენიერ „ქანურ გრამატიკასთან“ შედარებით. ამას თვით ნ. მარი აღიარებდა გულწრფელად თავის რეცენზიაში: „Моя грамматика чанского языка лишь слабый опыт сравнительно с тем трудом, который посвящен И. А.-чем Кипшидзе мингрельскому языку“ (Записки Вост. Отд. Имп. Русск. Арх.-го общества, Петербург, т. XXIII, стр. 204).

9. „მეგრელიზმები ქართულ წარწერებში სამეგრელოდან“³² ეს შრომა დაწერილია, როგორც ლინგვისტური შენიშვნები ექ. თაყაიშვილის გამოკვლევაზე „ტყვირის ეკლესია სამეგრელოში და მისი სიძველენი“.³³ ექ. თაყაიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა აბაშიდან ახლოს (7 კილომეტრზე) მდებარე სოფელ ტყვირის მაცხოვრის პატარა ეკლესია, რომელიც XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე აუშენებია ქველი ჭილაძეს, ამოიკითხა წარწერები, გაარკვია მათში მოხსენიებული პირების ვინაობა, ყურადღება მიაქცია წარწერებში დაშვებული უხეში ენობრივი შეცდომების სიხშირეს და თავისი გაკვირვება sic ნიშნების ხშირი დასმით გამოხატა. როცა ი. ყიფშიძე გაეცნო წარწერების ტექსტს, მისთვის ცხადი გახდა, რომ ქართულ წარწერებში დაშვებულ შეცდომებს აპირობებდა მეგრული ენობრივი გარემო. მან სწორად აღნიშნა, რომ მეგრული ქართულიდან ნასესხები კომპოზიტების I კომპონენტს ი-თი ავრცობდა (ახალიგაზრდა, ძვირიფასიანი) და წარწერებშიც ქართულისათვის ზედმეტად, მაგრამ მეგრულის ნორმისებრ იყო ნახმარი სავრცობი ი (ქართული ა-ს მორფოლოგიური ფარდი) არა მარტო კომპოზიტის I კომპონენტის ბოლოს (ყოვლადიწმიდა, ნათლისიმცემელი მთავარიანგელოზი), არამედ მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ბოლოს (ცხოვნებითი, #40#

მშვიდობითი, საოხადი, საცხოვნებელადი (გვ. 315). ქართულ წარწერებში გამოვლენილი ასეთი მეგრული გრამატიკული ფორმების გათვალისწინებით მკვლევარმა გაასწორა ტყვირის ეკლესიის ჯვრის წარწერის თაყაიშვილისეული წაკითხვა „მუვაჭედინე მე წინამძღვარმა ნიკურაძემა“ ასე: „მუვაჭედინე მე წინამძღვარმანი კორძაია (გვ. 316).

სწორი იყო ი. ყიფშიძის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ გამომცემელს არ უნდა შეესწორებინა წარწერების ტექსტი. მართლაც, წარწერებში მცდარად ნახმარი ჳ-ს (შდრ. ცკოვნება, ცკოვრება) შენარჩუნებას გამოცემაში გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც ე. წ. ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის ნიმუშს (დამწერი საგანგებოდ ცდილობს ძველი ქართულის ნორმებით წეროს, მაგრამ ენაში ჳ-სა და ხ-ს ფონემური ოპოზიციის მოშლის გამო, ვერ არჩევს, რომელი სად იხმაროს).

³² И. Кипшидзе, Мингрелизмы в грузинских надписях из Мингрелии: Хр. Восток, т. IV, вып. III, Петроград, 1916, гв. 315-317.

³³ Е. Такашвили, Тквирская церковь в Мингрелии и ее древности: Хр. Восток, т. IV, вып. III, Петроград, 1916, гв. 284-300ю

აღსანიშნავია, რომ ტყვირის ეკლესიის წარწერებში კიდევ არის „მეგრელიზმები“, რომლებიც არ აღუნიშნავს ი. ყიფშიძეს. ასეთია ქრისტე, რომელზეც ექ. თაყაიშვილი წერდა: „поражает форма ქრისტე вместо ქრისტე“ (გვ. 294). ქართულისათვის, მართლაც საოცარია „ქრისტე“, მაგრამ ის სავსებით ბუნებრივია მეგრულისათვის, რადგან **სტ** ასიმილაციურად **სთ**-დ იცვლება, შდრ. სუსთი „სუსტი“, სთოლი/სტოლი [стол], ლაზ. უსთა (< უსტა „ოსტატი“). ასეთია აგრეთვე „ძესა ჩემსა ხოსროსი...“, რომელზეც ექ. თაყაიშვილი წერდა: „Неправильно также употребление родительного падежа хосроси вместо дательного хосросса“ (გვ. 291). ცხადია, ხოსროსი აქ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა კი არ არის, არამედ მიცემითისაა, ოღონდ ეს მიცემითი მეგრული ყადისაა, ი-თია გავრცობილი.

10. „ისევ მეგრელიზმების შესახებ ქართულ წარწერებში სამეგრელოდან“.³⁴ ეს პატარა წერილიც შეიცავს ენობრივ შენიშვნებს ექ. თაყაიშვილის გამოკვლევაში მოყვანილი სუჯუნის ეკლესიის წარწერების ტექსტზე.³⁵ ერთ-ერთ წარწერაში იკითხება: შემოგვიწირავს... კაცი #41#

სოგიორე შელია, მისი სასახლის კაცები თვალიკა ქობულია და ხოხონაი გა[გ]ულია მათის სახლის კაცითა, მამული და ალაგითა...“ (თაყაიშვილი, დასახ. შრომა, 44, 12). ი. ყიფშიძე სწორად აღნიშნავს, რომ აქ ქართულის ნორმით ერთგვარი წევრები ერთ და იმავე ბრუნვაში უნდა ყოფილიყო (კერძოდ, ასე: „მამულითა და ალაგითა“), მაგრამ თუ დარღვეულია ეს წესი, ეს იმიტომ რომ მეგრულის ნორმაა გატარებული: მეგრულში შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრები სინტაქსურად ერთიან მთელს წარმოადგენს და იბრუნვის მხოლოდ ბოლო წევრი, წინა წევრი კი უბრუნველი რჩება (გვ. 155).

11. „ჭანური ტექსტები“. ი. ყიფშიძემ 1917 წლის ზაფხულს (13 ივლისიდან 27 აგვისტომდე) ჭანეთში მივლინების დროს ჩაიწერა ლაზური მეტყველების ნიმუშები სამივე კილოკავისა, დაახლოებით 15 ნაბეჭდი თაბახის მოცულობისა, როგორც თვით აღნიშნავს თავის „საანგარიშო მოხსენებაში“.³⁶ მისი სიკვდილის შემდეგ ეს ტექსტები ინახებოდა ყოფილი კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში. 1936 წელს ამ ინსტიტუტის რეორგანიზაციის დროს ეს ტექსტები ადგილზე არ აღმოჩნდა, ხოლო 1937 წელს მობრუნებულს უკვე დიდი ნაწილი აკლდა. არნ. ჩიქობავას მეცადინეობით გადარჩენილი მასალა (6 ნაბეჭდი თაბახი, 93 გვერდი) გამოქვეყნდა 1939 წელს.³⁷ გამომცემელმა ტექსტს წარუმიძღვარა წინასიტყვაობა და ვრცელი შრომა „პროფ. იოსებ ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა (გვ. XI-XII), სადაც წარმოჩენილია ამ ტექსტების ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა“ ჭანურის შესწავლის საქმეში, კერძოდ, ისეთი ენობრივი ფაქტები, როგორცაა: ა) ზმნისა და სახელის ბოლოში მორფოლოგიურად უფუნქციო **ო-ს** ხმარება ათინურ კილოკავში „ულუნო = ულუნ „აქვს“); ბ) თანხმოვანთა კომპლექსების ცვლა: **თქ** > **ტკ** (ტკვეს „თქვეს“), **ხთ** > **ხტ** (მოხთუ > მოხტუ „მოვიდა“); გ) დაშორებითი ბრუნვის გამოყენება მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციით

³⁴ И. Кипшидзе, Еще о мингрелизмах в грузинских надписях из Мингрелии: Хр. Восток, т. V, вып. II, Петроград, 1917, გვ. 155-156.

³⁵ Е. Такайшвили, Суджунская церковь и ее древности: Хр. Восток, т. V, вып. I, Петроград, 1916, გვ. 40-50.

³⁶ დაიბეჭდა გვიან არნ. ჩიქობავას რედაქციით ენიშნის მოამბე, I, ტფ. 1937, გვ. 145-177

³⁷ პროფ. იოსებ ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფილისი, 1939

(ოხორიშე „სახლისკენ“), და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მიმართულებითი ბრუნვის ხმარება დაშორებითის მნიშვნელობით ათინურ კილოკავში (ცაშა „ციდან“, ათინაშა „ათინიდან“); დ) მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ქ და ს ნიშნების დაკარგვა ათინურში: ბადი [= ბადიქ] #42#

უწუ „ბერიკაცმა უთხრა“; ჭუვალი [= ჭუვალის] ქოდოლოხუნუ „ტომარაში ჩასვა“; ე) დღეს საერთოდ ხმარებული უწყვეტლის სავრცობ ტ-ს გვერდით თ-ს და დ-ს ხმარება (შუმთუ „სვამდა“, სი მიწოლემდი „შენ მეუბნებოდი“) და სხვ.

„ჭანური ტექსტები“ სამივე კილოკავის მასალას შეიცავს: ხოფურს (გვ. 1-24). ვიწურ-არქაბულს (გვ. 25-70), ათინურს (71-93) და თემატურად თუ ჟანრობრივად მრავალფეროვანია, აქ არის ზღაპრები. ისტორიული გადმოცემები, სასაუბრო მასალები, ეთნოგრაფიული ცნობები, პოეტური თხზულებები.

ი. ყიფშიძის „ჭანური ტექსტების“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ორი გარემოება აძლევდა: ერთი, ტექსტები ჩაწერილი იყო არა საქართველოში მცხოვრებ ლაზთაგან, არამედ უშუალოდ ჭანეთში მცხოვრებ მკვიდრთაგან და ამიტომ ისინი თავისი სანდოობით ერთგვარ საკონტროლო საშუალებასაც წარმოადგენდა ჭანეთის გარეთ ჩაწერილი ლაზური მეტყველების ნიმუშების ავ-კარგიანობის დასაზუსტებლად. მეორეც, ტექსტები ღირებული იყო არა მარტო ლინგვისტურად, არამედ როგორც ლაზების ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად საჭირო ფოლკლორული მასალა. ამ მხრივ გამორჩეული მნიშვნელობისაა ის ტექსტები, რომლებიც სიუჟეტურად ენათესავენ ქართულ, მეგრულ, სვანურ ზღაპრებს. ი. ყიფშიძე სწორად აღნიშნავდა თავის საანგარიშო მოხსენებაში, რომ: „სასტიკი განაჩენი ლაზთა ბუნებრივი დენაციონალიზაციის შესახებ, – თითქოს მათ არ ჰქონდეთ შენახული არც ხალხური თქმულებები, არც ხალხური პოემები, თვით ზღაპრებიც კი... [იგულისხმება ნ. მარის სიტყვები – ვ. დ.] ამ მივლინების დროს ჩაწერილი ტექსტებით თუ მთლიანად არ უქმდება, ყოველ შემთხვევაში, ბევრად უნდა შენელებს“ (ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 148). მეცნიერის ასეთ თავშეკავებულ განცხადებაზე არნ. ჩიქობავა სამართლიანად შენიშნავს: „გადაუჭარბებლივ შეიძლება ითქვას, რომ ხალხური თქმულებებისა და ზღაპრების მიმართ ეს განაჩენი უქმდება იოსებ ყიფშიძის ტექსტებით. ხალხური თქმულებებიც და მართალი ზღაპრებიც (და არა თურქული ქრესტომათიებიდან შეხიზნული ჰიქაედები!) ჭანი ხალხის მეხსიერების სიღრმეში ჯერ კიდევ დაცულია, თუმცა გაქრობის საფრთხე დღით-დღე რეალური ხდება“ (გვ. XII).

საყურადღებოა, რომ ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილ ისტორიულ გადმოცემათაგან ზოგი ლაზთა გამაჰმადიანებას უკავშირდება, ზოგი – თამარ მეფის სახელს, ზოგიც კი თამარის #43#

მეფობა და ლაზთა გამაჰმადიანების ამბები აღრეული და შერწყმულია ერთმანეთში. თუ რა აპირობებდა ისტორიულად გადმოცემათა ასეთ ქრონოლოგიურ აღრევას, ამაზე არნ. ჩიქობავა წერს: სრული ანაქრონიზმია, როცა ჭანეთის გამუსლიმანების ამბებს თამარ მეფის სახელთან აკავშირებენ: სულტან სელიმმა რომ აზლალა აილო, მოსახლეობის მეტი ნაწილი სამეგრელოში გაიქცაო. თამარ მეფეს სთხოვეს, იქ ადგილი მისცა და დაასახლაო“. სულტან სელიმი XVI საუკუნეში მეფობდა და ცხადია, ვინც მას გაექცეოდა, მას თამარ მეფე დახმარებას ვერ

გაუწევდა..., ეს გადმოცემა გამოძახილია დიდი პოლიტიკური ავტორიტეტისა, რომელიც თამარის მეფობას ახასიათებდა. სულტან სელიმი თურქეთის ისტორიაში ცნობილია, როგორც სახელოვანი დამპყრობელი, ძლიერი ფადიშაჰი...; ჭანი ხალხის მეხსიერებაში ძლიერ თურქ დამპყრობელს დაუპირისპირდა ძლიერი მფარველი, თამარ მეფე. ქრონოლოგიურად ეს შეუსაბამობაა, ფსიქოლოგიურად კი მართალია და გასაგები (გვ. XXXII).

გადმოცემაც და კომენტარიც მრავლისმეტყველია. მართლაცდა, გულუბრყვილოდ მოჩანს ლაზთა ასეთი იმედის საფუძვლიანობა რეალისტური თვალსაზრისით, მაგრამ გადმოცემაში არეკლილი ფაქტი მოურჩენელი ეროვნული ტკივილის შემამრწუნებლად მძაფრი განცდითაა აღბეჭდილი; დედა საქართველოდან იძულებით მოკვეთილი და თურქთა მძლავრობით უზომოდ შეჭირვებული ლაზების შეგნებაში მთლად არ ჩამქრალა და თურმე ჯერ კიდევ ჭიატობს იმედის ნაპერწკალი – მშველელად და მფარველად ეგულვით თამარის დროინდელი სიძლიერის პირვანდელი სამშობლო საქართველო. მათ კიდევ ახსოვთ, რომ ადრე იფიცებდნენ კიდევაც: დადიანი ვარ დოღურას (= დომიღურას) „დადიანი არ მომიკვდეს“, მაფა ვარ დოღურას (= დომიღურას) „მეფე არ მომიკვდეს“.³⁸ ი. ყიფშიძემ მშვენივრად იცოდა, რომ ისტორიული, ეთნოგრაფიული, რელიგიური ვითარების ამსახველი ტექსტების მოპოვებას საქართველოსაგან მოწყვეტილ ჭანეთში არა მარტო წმინდა ენათმეცნიერული, არამედ გარკვეული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. ასეთ ტექსტებში უნდა არეკლილიყო, ცოცხლობდა თუ არა ოთხასზე მეტი წლის წინ ძალად #44#

გამაჰმადიანებულ ლაზებში ქართველებთან ოდინდელი ეროვნული ერთიანობის შეგნებად იყო თუ არა მათ ქცევასა და ფსიქიკაში შერჩენილი რაიმე ქართული ნიშნები, რომელთა შენარჩუნებით შეიძლებოდა კიდევ გადაწეულიყო სრული დენაციონალიზაციის საბედისწერო ჟამი. ის მოგზაურობის დღიურში ერთ სულის შემძვრელ ჩანაწერს აკეთებს: „წამოვეწიე ორ ლაზს, მძიმე ტვირთით დატვირთულებს ერთი მოხუცია, მეორე – შუაკაცი. გამოველაპარაკე ლაზურად. ერთმანეთის გვესმის, ძლიერ გაეხარდათ, როდესაც ვუთხარი. რომ ქართველი ვარ და მათი ენის სასწავლოდ მოვედი. „ჩვენ ძმები ვართ“-მეთქი, ვუთხარი მე. „ჩვენი ძველები და თქვენი ერთი ყოფილანო“, მომიგეს. მოხუცმა „ჰე ბაბა, ჰე ბაბა“-ო მითხრა. თვალეზე ცრემლები მომდის“.³⁹ მართალია, აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: ჩანაწერიდან ერთხელ კიდევ ცნაურდება, რომ იოსებ ყიფშიძის პიროვნებაში მეცნიერება და მამულიშვილობა ჰარმონიულ და გაუზზარავ მთლიანობად იყო წარმოდგენილი.

12. საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს. ჭანეთში მოგზაურობა (დღიური).⁴⁰ ეს საანგარიშო მოხსენება და დღიური საყურადღებოა არა

³⁸ ი. ყიფშიძე, საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს: ენიმკის მოამბე, I, ტფილისი, 1937, გვ. 177

³⁹ ი. ყიფშიძე, საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს: ენიმკის მოამბე, I, ტფილისი, 1937, გვ. 172

⁴⁰ И. Кипшидзе, Отчет о лингвистической командировке в Чанию (Лазистан) летом 1917 года. ენიმკის მოამბე, I, ტფ., 1937.

მარტო ლინგვისტური თვალსაზრისით, არამედ საერთოდ ლაზების ისტორიის შესასწავლად. კერძოდ, ლაზთა იმდროინდელი მძიმე ვითარების წარმოსადგენად. აქ მოყვანილი სტატისტიკიდანაც ჩანს, რომ რუსეთ-თურქეთის ომმა ათასობით ლაზს დაატოვებინა სამკვიდრო და მხოლოდ ნაწილი დაუბრუნდა ზავის შემდეგ განადგურებულ კერას.

განსაკუთრებით საინტერესოა ენობრივი ხასიათის ცნობები და შენიშვნები ი. ყიფშიძის ცნობით, სუმლაში (არქაბეში) მცხოვრები ვაკუფელების (პარხლის ხეობიდან წამოსული მუსლიმანი ქართველების) მეტყველება ძლიერ განსხვავდებოდა ქართულისაგან ვი-ს გამოთქვამდნენ ჯ-დ (წევიდა > წეჯდა), 11-დან 20-მდე ითვლიან არა თერთმეტი (ათ-ერთ-მეტი) თორმეტი (ათ-ორ-მეტი), არამედ ათდაერთი, ათდაორი, ე. ი. ისე, როგორც მეგრულ-ჭანები (შდრ. ვითაართი < ვით დო ართი „თერთმეტი!“) (გვ. 152), ერთი 11 წლის ბიჭი #45#

შვიდს გამოთქვამდა, როგორც ჭიდი [როგორც ჩანს, შვ > ვ > ჭ].

ი. ყიფშიძე სწორად აღნიშნავს, რომ ათინურში მიცემითი ბრუნვის და ზმნის მე-3 სუბ. პირის ნიშნისეული ს შეიძლება წარმოდგენილი იყოს ეს სახით (ოგვაჯეს / ოგვაჯეე „საბუდარში“ ქემჭოფეს/ქემჭოფეე „დაგვაკავეს“), ასევე, უკანაენისმიერ ბგერათა აფრიკატიზაცია მარტო ბულეფურ თქმაში კი არ ხდება, არამედ საერთოდ ათინურ კილოკავში (გვ. 152).

„დღიურში“ საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი გეოგრაფიული პუნქტების სახელები ათინის, ვიწე-არქაბის, ხოფის მხარეებისა, რომელთა ნაწილს გამჭვირვალე ლაზური ეტიმოლოგიური სტრუქტურა აქვს. ასეთია, მაგალითად, **ზენდიდი** (< *რზენ დიდი „ვაკე დიდი“), **ყომურძენი** (< *ყომურიშ რზენი „ტყემლის [ტყემლნარი] ვაკე“), **წკარყინა** („წყალ-ცივა“), **ჟაურპიჯი** („ორპირი“), **ჯგირიაზენი** („კარგი ვაკე“), **ნოლადიხა** (< *ნოლამ დიხა „დაბის მიწა“), **დუთხე** (ეტიმოლოგიურად „თხელი“, „მეჩხერი“ [დასახლების ადგილი]), **ობიჩხო** („საფიჩხე“, შდრ. საფიჩხია), **მელიათი** („მელიეთი“), **დუდიკვათა** (< *დუდიშ კვათა „თავის კვეთა“), **ჯახჩე** („ხეთეთრი“), **ქვამჩირე** („ქვა ვრცელი“), **კირიჭყერი** („კირი მწვარი“) და სხვ.

ი. ყიფშიძე „დღიურში“ აღნუსხავს საინტერესო ენობრივ ფაქტებს. მას ერთ-ერთი ინფორმატორისაგან გაუგონია, რომ ათინაში „ქუჭუჭუხე“ სიტყვას ხმარობენო. ეს სპეციფიური ნიუანსის ზმნა დღესაც აქტიურია მეგრულში, რომლის ზუსტი სემანტიკური ფარდი ქართულს არა აქვს: როცა კაცი თავისით ვერ სწვდება მაღალ საგანს (ვთქვათ, ხის ტოტს) ან ვერ ადის მაღალ საგანზე (ხეზე, ცხენზე...) და მას მეორე ეხმარება, აიტატებს ან ესაფეხურება, რომ პირველი ამაღლდეს და მისაწვდომს მისწვდეს, მეგრული ასეთ დახმარებას **ჭუჭუხუა** ზმნით გამოხატავს (**ქუჭუჭუხუ** „ზევით ასწია, აიტატა ან ესაფეხურა, „ეკიბა“).

ი. ყიფშიძეს ვიწეში მეტყველების ასეთი ნიუანსისთვის მიუქცევია ყურადღება: ლაზებს როდესაც ჰკითხავ რამეს, ნიშნად თანხმობისა წარმოთქვამენ **ჰს**, თითქოს შესვცეს რამეო (გვ. 175). ამ შენიშვნის სისწორეს მეგრულიც ადასტურებს, სადაც ჩვეულებრივია

კითხვაზე დადებითი პასუხის გამოხატვა თანხმობითი **ჰს** შორისდებულით, რომელიც წარმოითქმის არა ამოსუნთქული, არამედ შესუნთქული ჰაერნაკადით.

#46#

მკვლევარს ჩაუნიშნავს უღლება ზმნისა: **მომაცონუ** („მომყვა“), **მოგაცონუ**, **მოაცონუ**; **მემაცონუ** („მიმყვა“), **მეგაცონუ**, **ნაცონუ** (გვ. 177). ასევე დაჰკვირვებია ერთი **დვ** (დევ) ძირისგან სხვადასხვა ზმნისწინით ნაწარმოებ ფორმებს და უცდია ლაზური ფორმების შესაძლო ქართული თარგმანით დაედგინა, რომ ლაზური ქართულზემეტად ახერხებს რთული ზმნისწინებით მოქმედების მიმართულების სივრცეში განსაზღვრას მრავალგვარი ნიუანსით **ელა-ბდვი** „რადაცასთან გვერდით დავდევი“, **ქოგე-ბდვი** „ზემევედევი“, **ქოდო-ბდვი** „დავსდევი“, **ქოგოლა-ბდვი** „სულ ზევით დავდევი“, **ქოდოლო-ბდვი** „ჩავუშვი“ [შთავდევი], **მემა-ბდვი** „შევედევი (ხვრელში, უჯრაში)“, **ეწა-ბდვი** „ქვეშ ამოვდევი“, **ოკო-ბდვი** „ერთმანეთს მივადდევი“, **გეწა-ბდვი** „თავი გავუდევი“, **მო-ბიდევი** „მხარზე გავიდევი“ (ბარგი „თოხი“, ტუჭელი „თოფი“), **ე-ბიდევი** „ზურგზე მოვიდევი“, **გე-ბუდევი** „სხვას გავუდევი“ [ზურგზე] (გვ. 175-176). ერთი სიტყვით, ი. ყიფშიძის ჭანეთში მოგზაურობის დღიური მრავალმხრივ საინტერესო ცნობებსა და დაკვირვებებს შეიცავს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ საზოგადოებისათვის უცნობი ერთი ფაქტი. „დღიურებიდანაც“ ჩანდა, რომ ი. ყიფშიძე შეუძრწუნებია რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გაპარტახებული ჭანეთის უზადრუკ ყოფას და როგორც კი დაბრუნებულა მოგზაურობიდან (1917 წლის აგვისტოს ბოლოს), მაშინვე, 12 ენკენისთვის (სექტემბერს) სასწრაფოდ შეუდგენია თხოვნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სახელზე (ამ თხოვნა-მოხსენების პირი კი გაუგზავნია ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობისთვისაც), რომელშიც ის გამგეობას სთხოვდა ქმედითი ღონისძიების მიღებას ომისგან გაუბედურებული ლაზების დასახმარებლად. ამ თხოვნა-მოხსენებაში ი. ყიფშიძეს სწორად ჰქონდა წარმოდგენილი, კონკრეტულად რა სახის შეიძლებოდა ყოფილიყო იმხანად ეს დახმარება. ის შეახსენებდა გამგეობას, რომ საჭირო იყო ლაზებისთვის აღმოეჩინათ არა მარტო ნივთიერი თუ სამედიცინო დახმარება, არამედ კულტურულიც, კერძოდ, შეეტანათ განათლება ე. წ. მოძრავი სკოლების გამართვით მაინც: საქართველოდან გაეგზავნათ სპეციალისტები, რომლებიც მსურველთ ადგილზე, სოფელ-სოფელ მოვლით შეასწავლიდნენ ქართულ (თუ რუსულ) წერა-კითხვას, ამასთანავე, რამდენიმე ახალგაზრდა ლაზი ჩამოეყვანათ ჩვენს სასწავლებლებში განათლების მისაღებად და დაენიშნათ მათთვის

#47#

სტიპენდიები არსებული სასტიპენდიო ფონდიდან. რადგან ამ თხოვნა-მოხსენებიდან კარგად ჩანს მეცნიერი იოსებ ყიფშიძის მაღალი მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი მრწამსი, მოგვყავს ის სრულად, მაგრამ უმნიშვნელო ცვლილებებით:

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას პრივატ-დოცენტის ი. ყიფშიძის მოხსენება:

თვე-ნახევარი ჭანეთში გავატარე [ოგულისხმება 1917 წლის 13/VII-27/VIII – ვ. დ.]. ჭანებს დიდი უბედურება დასტეხიათ თავს ამ ომის გამო; მხარე ნახევრად მაინც გაპარტახებულია და მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ლტოლვილი. „ნე ოხორი, ნე კერა, სო

ვ[ი]დათ, ჯუმა ჩქიმი? ჩქინ აშო მგარინერი გოვულუთ, ჯუმა ჩქიმი“ (ე. ი. არც სახლი, არც კერია, სად წავიდეთ, ძმაო ჩემო? ჩვენ ასე მტირალნი დავდივართ, ძმაო ჩემო) რომ სტირის ლაზი მგოსანი, ანდა კიდევ: „რამდენი ლტოლვილი მიდის, სახლ-კარი მიუტოვებიათ და მიდიან, ზოგს სახარჯო არა აქვს, სიმშლით კვდებიან, მათთვის არავის გული არ ეწვის ეს მწარე სიტყვები მარტო პოეტური გაზვიადება კი არ არის, არამედ სინამდვილის ცოცხალი სურათის გამოხატულებაა. ლაზები არ ივიწყებენ და დიდი პატივისცემით იხსენიებენ ყველას, ვინც კი მათ ნუგეშისა და დახმარების ხელი გაუწოდა: „კავკასიშე მუსლიმანი და გურჯეფე ძანე მომიჯღონეს“ (კავკასიიდან მუსულმანებმა და ქართველებმა შემწეობა გამოგვიგზავნეს) და ახლაც გვიგზავნიან სიმინდით თუ ფულითო. ლაზები კვლავ ჩვენსკენ იხედებიან და დახმარებას მიეღიან. იმათ იმედი აქვთ, რომ მათი ძველები – მეგრელები და ქართველები – მათ არ დაივიწყებენ და თანდათან დაუახლოვდებიან. ამავე დროს ისინი (ნაწილი მაინც) ერთმორწმუნე ბაქოს თათრებისაკენაც იხედებიან და თუ რომელი მიდრეკილება გაიმარჯვებს ლაზებში საბოლოოდ, ეროვნული თუ სარწმუნოებრივი, ეს სხვათა შორის დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევს ჭანეთს, ქართველობა თუ „ბაქოს თათრობა“, როგორც ისინი ამბობენ. ნივთიერ დახმარებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს დახმარება თანდათან უნდა გაძლიერდეს, მაგრამ „არა მხოლოდ პურიტა ცხონდების კაცი“, საჭიროა სხვაგვარი დახმარებაც, საჭიროა კულტურული მუშაობაც, სწავლა-განათლების შეტანა, საექიმო დახმარება და სხვა... მე თვით დავრწმუნდი, რომ ბევრია ლაზისტანში მსურველი, ქართული ან რუსული ისწავლოს, მაგრამ #48#

მასწავლებლები არსად არიან. მეხვეწებოდნენ, მესწავლებინა მათთვის ქართული-რუსული და მეც ვასწავლიდი, რამდენადაც დრო ამის ნებას მაძლევდა. რასაკვირველია, ძნელია ნამეტურ დღევანდელ პირობებში სკოლების გახსნა ლაზისტანში, მაგრამ ერთი რამ კი ადვილი მოსახერხებელი არის, სახელდობრ, მოძრავი სკოლის გამართვა. საკმარისია ერთი მასწავლებელი კაცი ან ქალი, რომ ლაზისტანის უმთავრესი კუთხეები მოიაროს ხოლმე და მსურველთ წერა-კითხვა ასწავლოს. გარდა ამისა ფრიად და ფრიად სასურველია ახალგაზრდა ლაზები რამოდენიმე მაინც ჩვენს სასწავლებელში გამოვზარდოთ. ამ მიზნისათვის რამოდენიმე სტიპენდია უნდა დაინიშნოს ან ახალი ანდა უკვე არსებული სასტიპენდიო თანხებიდან. სრულიად სამართლიანია ის საყვედურიც ჩვენდა მიმართ, რომელიც არა ერთხელ მსმენია ლაზებისაგან: „რატომ ჩვენ შვილებს თქვენს სასწავლებლებში არ ზრდითო, ეხლა ხომ ბევრს ეცოდინებოდა ქართულიო“; ერთი სიტყვით, ლაზისტანი დიდი და ხელუხლებელი ასპარეზია კულტურული მუშაობისათვის, ცოტა რამეც კი იქ დიდად გამოჩნდება და პატარა თესლიც, კეთილად დათესილი, დიდ ნაყოფს გამოიღებს. სამწუხაროდ, დღესდღეობით იქ ასეთი მუშაკნი საზოგადოდ ცოტანი არიან და ქართველი მუშაკნი კი თითქმის სულ არ მოიძებნებიან და ასეთ მუშაკთა და თანდათან შესაფერ დაწესებულებათა გავრცელება უნდა შეადგენდეს ქართულ კულტურულ საზოგადოებათა

უპირველეს და უახლოებლეს საგანს (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი; ფონდი 481, ან. 1, საქმე № 1712).⁴¹

III. კრიტიკა და პუბლიცისტიკა

იოსებ ყიფშიძემ ათამდე სტატია გამოაქვეყნა ჟურნალ-გაზეთებში მეცნიერების თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მტკივნეულ საკითხზე. ის თავის კრიტიკულ წერილებში (რეცენზიებში) არსებითად ცდილობდა წარმოეჩინა ნ. მარის შრომების მეცნიერული ღირებულება ქართველოლოგიისათვის და დაეცვა ისინი ისეთი კრიტიკისაგან, რომელიც ზოგჯერ ვულგარულ ხასიათს ატარებდა. მაგრამ ი. ყიფშიძე იზიარებდა ნ. მარის #49#

მცდარ იაფეტურ თეორიასაც, რომლითაც თითქოს ქართული და მისი მოძმე ენები გენეტურ კავშირში იყვნენ სემიტურ ენებთან ოღონდ ეს არ უნდა მივიჩნიოთ მოულოდნელ და არც გასაკვირ ფაქტად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნ. მარს ცხრაას ათიანი წლებისათვის უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული უპირველესად სომხური და ქართული ფილოლოგიური შტუდიებით, ფუნდამენტური ტექსტოლოგიური შრომებით. იმხანად ნ. მარის ერთობ დიდ მეცნიერულ ნაღვაწში ჭეშმარიტისა და მცდარის განკრძალვით გამიჯვნა ბევრს, ძალიან ბევრს უჭირდა, ხანდაზმულ და ტიტულოვან მეცნიერებსაც კი, და, ცხადია, სახელოვანი მასწავლებლის ახალგაზრდა ერთგულ მოწაფეს – იოსებ ყიფშიძესაც – არ უნდა გაიოლებოდა ეს.

ი. ყიფშიძე პუბლიცისტურ წერილებში საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდა მშობლიური კულტურის განვითარების აუცილებლობაზე ეროვნული მეობის განსამტკიცებლად, დაულალავ პროპაგანდას ეწეოდა მეგრულისა და ლაზურის შესწავლის საჭიროებაზე, რომ, პირველ ყოვლისა ლაზების ყოფითა და ბედით დაეინტერესებინა ქართველი საზოგადოება, რათა ერთგვარად შენელებულიყო საბედისწერო დენაციონალიზაციის პროცესი გამაჰმადიანებული ლაზებისა. ქვემოთ მოკლედ, მაგრამ ცალ-ცალკე შევეხებით ამ ორი ტიპის წერილებს.

ა) კრიტიკა.

ი. ყიფშიძე, როგორც აღვნიშნეთ, თავის რეცენზიებში არსებითად ნ. მარის შრომების შეფასებას იძლეოდა. რაც შეეხება რეცენზიას თ. კლუგეს „მასალებისა მეგრული გრამატიკისათვის“, ის ორიგინალური შრომის ღირებულებისა იყო და ამიტომ წინ, მეგრულის გრამატიკის სიკითხებით დაწერილი გამოკვლევების რიგში, განვიხილეთ.

1. ი. ყიფშიძემ 1909 წელს დაბეჭდა ვრცელი რეცენზია.⁴² ნ. მარის შრომაზე „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ცხრილები და წინასწარი მოხსენება ქართულის

⁴¹ ცნობა მოგვაწოდა დოც. ი. ერემეიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

⁴² ჟურნ. „ამომავალი მზე“, № 1, 1909

სემურ ენებთან ნათესაობის შესახებ“ (გამოვიდა რუსულ ენაზე სანკტ-პეტერბურგში 1908 წელს). მან ახალ აღმოჩენად ჩათვალა ნი მარის შრომა და იმის მტკიცება, რომ სემიტური #50#

ენების მონათესავე არიან ქართველური ენები, ლურსმულ წარწერებში დაცული მკვდარი სუზური და ძველი სომხეთის არაარიული (არაინდოევროპული) ენა. მანვე წარმოადგინა ნ. მარის ამ თეორიის საყრდენი სამი დებულება: ა) ქართველური და სემიტური (კერძოდ, არაბული) ენების ფონეტიკური სტრუქტურა მონათესავე და მსგავსია. ორივეს ახასიათებს სიჭარბე თანხმოვნებისა, განსაკუთრებით ხორხისმიერებისა, და არსებითად სამი მარტივი ხმოვნის ქონა.

ბ) მორფოლოგიაშიც მსგავსებაა: თანხმოვნები გამოხატავენ ძირის ლექსიკურ მნიშვნელობას, ხმოვნები კი გრამატიკულს; შესაძლებელია არა მარტო სუფიქსაცია, არამედ პრეფიქსაციაც.

გ) ლექსიკა აგებულია სამი (ან იშვიათად ორი) თანხმოვნის პრინციპზე. ათასზე მეტი ძირი საერთოა ორივე სისტემის ენებისათვის.

მორფოლოგიური სტრუქტურის კონკრეტულ უბნებშიცაა ერთგვარობა ქართულსა და არაბულში არა მარტო ერთნაირად არის წარმოდგენილი სამი ძირითადი (სახ., ნათ., მიც) ბრუნვა, არამედ ამ ბრუნვათა მაწარმოებელი ხმოვნებიც ერთი და იგივეა: სახელობითში მეორეული ი (უ-საგან მომდინარე), ნათესაობითში – პირველადი ი (კაც-ი-ს), მიცემითში – ა (კაც-ს-ა < კაც-ა-ს, შდრ. ურთიერთას, ძირას, ადგილას...), ხოლო თანხმოვნითი ს სემიური ჰ-ს ფარდია; ასევე ორივეგან მ პრეფიქსი სხვადასხვა ხმოვნითურთ აწარმოებს აქტიურ მიმღეობასა და მოქმედ პირთა სახელებს (მწერალი, მდევარი...), ხოლო უ და ი – ვნებითი გვარის მიმღეობას (კრული, ქმნილი...) ნ. მარს პირის ნაცვალსახელებისგან გამოჰყავდა ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირების აფიქსებიც. საერთოდ, ქართული სახელისა და ზმნის სტრუქტურა შეფასებული და განმარტებული იყო სემიტური (მეტწილად არაბული) ;სახელისა და ზმნის სტრუქტურის კვალობაზე. ცხადია, ასეთ შრომას არ შეეძლო ბოლო მოეღო „ქართული ზმნების მიმოხრაში გამეფებული ანარქიისათვის“ (გვ. 16), როგორც ეს გულწრფელად სჯეროდა (თუ სურდა) ი. ყიფშიძეს, პირიქით, სწორედ რომ არეულობა შეჰქონდა ქართული ენის სისტემის ორდინალურ გაგებაში.⁴³

#51#

2. „პროფესორი ნ. მარი უვიცობის სამსჯავროს წინაშე“. ეს ვრცელი და მკაცრი კრიტიკული წერილი დაიბეჭდა 1910 წელს ი. ყიფშიძისა და ვუკ. ბერიძის ხელმოწერით გაზეთ „დროების“ ოთხ ნომერში.⁴⁴ მასში ძირითადად გაანალიზებული იყო მოსე ჯანაშვილის შრომა „ქართული მწერლობა“ (წიგნი II, ტფ., 1909). რეცენზენტებმა არც თუ მთლად უსაფუძვლოდ დაიწუნეს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ჯანაშვილისეული პუბლიკაცია, რადგან ის ვერ აკმაყოფილებდა კრიტიკული გამოცემის იმჟამინდელ მოთხოვნებს, რაც ამკარად ჩანდა მას შემდეგ, რაც ნ. მარს თავის დაარსებულ სერიაში „Тексты

⁴³ იხ. არნ. ჩიქობავა, იბერიულკავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, 220-225

⁴⁴ „დროება“, № 42; 44; 48; 49; 1910, თებ.

и разыскания...” უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა კლასიკური ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური შრომები: იპოლიტეს „ქება ქებათას თარგმანება“ (1901, ტ. III), ძველი ქართველი მეხოტბენი (1902, ტ. IV), „სახისმეტყველი“ (1904, VI, ანტიოქ სტრატის „იერუსალიმის წარტყუნა“ (1909, ტ. IX) და სხვ.

წერილში იყო აღნიშნული, რომ არ ჰქონდა იმის მტკიცებას, თითქმის ქართულ-სომხური ენობრივი თუ ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების კვლევისას ნ. მარის ტენდენციური იყო ქართველთა საზიანოდ.

წერილის ავტორებმა სცადეს მ. ჯანაშვილის კრიტიკისაგან დაეცვათ ნ. მარის ისეთი შრომები, როგორც იყო „ლუაწლნი წმიდათა სამთა მარჩბივთა მოწამეთანი – სპევსიპჳსი, ელასიპჳსი და მელასიპჳსი“, „Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием. Арабская версия“, „Аркаун, монгольское название христиан“... რა თქმა უნდა, ზოგ რამეში ნ. მარის არ იყო სწორი. მაგრამ, რადგან არც მ. ჯანაშვილი იცავდა კამათის ეტიკას და არც თუ იშვიათად თავადაც ცდებოდა, წერილის ავტორებსაც გაუჭირდათ, ყოფილიყვნენ მსჯელობისას ობიექტურნი და ბოლომდე სწორნი. რამდენადაც ძნელი (და ისტორიულად ზედმეტი) იყო ი. ყიფშიძისა და ვუკ. ბერიძისათვის ქართულისა და სემიტური ენების ნათესაობის ნ. მარისეული თეორიის დაცვა, იმდენად იოლი იყო მათთვის კრიტიკა მ. ჯანაშვილის იმ შეხედულებებისა, რომ თითქოს ქართული და თურქული ენები მსგავსებანათესაობას ავლენდნენ მორფოლოგიაში (ადრე ასეთი ჰიპოთეზა მაქს მიულერისა საფუძვლიანად უარყო ალ. ცაგარელმა გასული საუკუნის 70-იან წლებში). ცხადია, პეტერბურგის საენათმეცნიერო სკოლაში ნათლობა მიღებულთათვის არ იყო ძნელი, #52#

დაენახათ, რომ, ვთქვათ, ქართულ ფორმებს: **ვარი მე, ხარი შენ, არი...** არავითარი კავშირი არ ჰქონოდათ თურქულ **ვარ-ამ, ვარ-სენ, ვარ** ფორმებთან, რადგან ქართული ზმნის ფუძე იყო **არ, ვ, ხ კი** – პირის ნიშნები, თურქული ზმნის ფუძე კი – **ვარ**. მათ არც ის გასჭირვებიათ ეთქვათ, რომ „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალურობისა და მასში ქრისტიანული ელემენტების არსებობის საბუთად არ გამოდგებოდა მ. ჯანაშვილის მიერ ტექსტში შემჩნეული „ამინ“ და „ღმერთ“ სიტყვები, ვინაიდან, რეცენზენტების სიტყვებით, „ასეთი საბუთით დედამიწაზე ყველა ქრისტიანი უნდა იყოს, რადგან ღმერთი ებრაელებსაც ჰყავდათ და მაჰმადიანებსაც, ხოლო ამინ ქრისტეზე უფრო ხნიერი იყო.

3. „**ნ. მარის ახალი წიგნი**“.⁴⁵ ეს საკმაოდ მოზრდილი რეცენზია ეხება ნ. მარის ბრწყინვალე ფილოლოგიურ შრომას – გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გამოცემას (TP, VII, 1911). მასში წარმოჩენილია არა მარტო თავად მერჩულის თხზულების ისტორიული და ლიტერატურული მნიშვნელობა, არამედ ნ. მარის ვრცელი და მრავალმხრივ საყურადღებო გამოკვლევის ღირსებანი ი. ყიფშიძემ აღნიშნა ნ. მარის მიერ ტექსტში შემჩნეული დიალექტური ფორმებისა და მეგრულ-ჭანური ელემენტების გამოვლენის მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიული ვითარების შესასწავლად და თავის მხრივ საინტერესო ვარაუდი გამოთქვა **მზუარე** („მზიანი ადგილი“, „მზიანეთი“)

⁴⁵ გაზ. „კოლხიდა“, № 62, ქუთაისი, 1911.

სიტყვის კავშირზე ჭანურ **მეორა** („მზე“) ფორმასთან, რომელიც მერმე უნდა იყოს, „გადაქართულებული“.⁴⁶

მანვე საყურადღებო ვარაუდი გამოთქვა კომპოზიტებში ც-ს ხმარების თაობაზე. ნ. მარს ნორმის დარღვევად მიაჩნდა ც-ს ხმარება ე-ს ადგილზე ფორმებში: დღწგრძელობასა, დღწსასწაულსა, ქრისტწმემოსილო. მართლაც, აქ ე უნდა ყოფილიყო, რადგან კომპოზიტის I კომპონენტს ფუძის სახე უნდა ჰქონოდა (შდრ. სულგრძელება). ნ. მარი შესაძლებლად თვლიდა, რომ ც-ს ხმარება გამართლებული იქნებოდა მხოლოდ „ქრისტწმემოსილ“-ში, თუ #53#

ამ უკანასკნელს „ქრისტწმემოსილ“-ისგან მომდინარედ ჩავთვლიდით ს დაკარგვის საფუძველზე. ამის თაობაზე ი. ყიფშიძე მახვილგონივრულად წერდა: ც-ს ხმარება შეიძლება გამართლებული იყოს არა მარტო „ქრისტწმემოსილ“ სიტყვაში, არამედ „დღწგრძელობა“ და „დღწსასწაულ“ სიტყვებში, რადგან **დღე** ნათესაობით ბრუნვაში ორგვარი ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი; შეკვეცილი (დღ-ის) და უკვეცილი (დღე-მს/დღწს) სახით (შდრ. **დღეის** იქით, **დღეის** სწორს...), ამდენად, შესაძლებელია დღწგრძელობა (< დღწსგრძელობა), დღწსასწაული (< დღწსასწაული) ფორმები ტაოკლარჯული მეტყველებისთვის ყოფილიყო დამახასიათებელი.

ი. ყიფშიძე აღფრთოვანებას გამოხატავდა წიგნზე დართული „დღიურით“, რომელშიც ნ. მარი ვრცლად გამოსცემდა საინტერესო ცნობებს შავშეთ-კლარჯეთში 1904 წელს მოგზაურობის შესახებ მეცნიერისათვის უჩვეულო ლირიკული გულწრფელობით ვერ ფარავდა დიდებული ქართული არქიტექტურული ძეგლების ხილვით გამოწვეულ სიამაყით შეფერილ აღტაცებას და წერდა: შატბერდს რომ მივუახლოვდი, გამიელვა აზრმა: „გრიგოლ ხანძთელთან სტუმრად“! „მეათე საუკუნის შატბერდის კრებულის შემდგენელთა და გადაძწერთა სავანეში სტუმრად“! და მე ვიგრძენი, რომ ჩემი ფიზიკური დაღლილობა ქრება იმ აზრით, რომ ვუერთდები ერთ დროს აყვავებული ქართული კულტურის დღეს დავიწყებულ მუშაკთ...; არ გამიკვირდებოდა, რომ გამომცხადებოდა თვით გრიგოლ ხანძთელი და ეპასუხა იმ კითხვაზე, რამაც მე აქ მომიყვანა: „სადაა შატბერდი?“ (გვ. 139). სრულებით გასაგები იყო, რომ ი. ყიფშიძე შეძრა ეროვნული ტკივილით შეფერილმა ნ. მარის ამ სიტყვებმა: გამოსათხოვებლად თვალი მივაპყარ მონასტერს (ბერთას). კარჩხალაკის ხიდამდე ქვეითად მოვდიოდით..., მოისმა მუეზინის (მოლას) ხმა გაუქმებული მონასტრის სიმალიდან. დღე იყო უქმი, პარასკევი. სამწუხარო იყო ერთ დროს ცხოველი ქრისტიანობის სიმტკიცეიდან გამარჯვებული ისლამის ღაღადისი (გვ. 179-180). ნ. მარმა ცოდნით ხომ კარგად იცოდა, რა დიდ საქმეს აკეთებდა ქართული მეცნიერებისათვის, მაგრამ ი. ყიფშიძეს არა ნაკლებ ჰქონდა შეგნებული, რომ დიდებული წარსულის გაცნობიერება საქართველოს მომავლის სამსახურში უნდა მდგარიყო.

#53#

⁴⁶ ლაზური **მეორა** (მჟ-ორ-ა) კანონზომიერი ფარდი ჩანს არა ქართულ **მზე**-სი არამედ **მზუარე**-სი: **მზუ-არ-ე** (< მ-მზუ-ვ-არ-ე < *მ-მზე-ვ-არ-ე) „მამზევებელი“, შდრ. მ-თ-ოვ-არ-ე (მთუარე) „მანათობელი“.

ბ) პუბლიცისტური წერილები

4. „ანისის ნანგრევებზე“.⁴⁷ ეს წერილი ი. ყიფშიძემ გამოაქვეყნა „მაკოშვილი-ალექსიდის“ ფსევდონიმით. მასში მოკლედ არის გადმოცემული ციხე-ქალაქ ანისის ისტორია და მის ნანგრევებზე წარმოებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგები: ანისი ადრე (ძვ. წ. VIII ს.) სოფელი იყო, მერმე – ციხე-სიმაგრე (ახ. V ს.), ხოლო ბაგრატიონების მმართველობის ქაშს (X-XI სს.) – ქალაქი, 1044 წლიდან ბერძნებს ეპყრათ, 1065 წლიდან – სელჯუკებს, 1123 წლიდან – დავით აღმაშენებელს, ხოლო თამარის მეფობის დროს მას მართავდნენ ძმები ივანე და ზაქარია მხარგრძელები; 1236 წელს მონღოლებმა დაანგრიეს ქალაქი, რომელშიც ერთი-ორი საუკუნის წინ ყვაოდა ქრისტიანული კულტურა მრავალი ეკლესიის კედლების შიგნით 1907-1908 წლებში აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ძვირფასი მასალები შესძინეს მეცნიერებას უპირველესად სომხური და ასევე ქართული კულტურის ისტორიის შესასწავლად. დანგრეული ქართული ეკლესიის ქვებზე ათობითი ქართული წარწერა იქნა მოპოვებული, რომლის ნაწილი ნ. მარმა გამოსცა კიდეც 1910 წელს. ი. ყიფშიძე ქართველი საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდა იმ გარემოებას, რომ წარწერებს საფრთხე ელოდა მავან, უვიცთა და ბოროტმზრახველთაგან და საჭირო იყო ენერგიული ზომების მიღება. ის საკვებით სამართლიანად აღნიშნავდა: „ანისს ქართველებმაც უნდა მიაქციონ ყურადღება, მით უმეტეს რომ ანისის ნანგრევები ქართულ ზეგავლენასაც დადადებენ და ჩვენს ისტორიას აშუქებენ. ამიტომაც ანისში მუშაობის ხელის შეწყობა ზნეობრივად და ნივთიერადაც ჩვენი მოვალეობაა“. სამწუხაროდ, მაშინ ამ ჭეშმარიტ სიტყვებს ძალიან ცოტა ჰყავდა ყურადმღებელი.

5. „ოდიშა და სამურზაყანოში“ (მგზავრის შენიშვნები). ი. ყიფშიძემ ეს წერილიც „მაკოშვილი-ალექსიდის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა 1911 წელს.⁴⁸ ავტორი მასში მწვავედ აყენებდა საკითხს, თუ როგორ აბრკოლებდა ქართველებს შორის ურთიერთგაგებინებას ქართულისა და მეგრულის ერთობლივი არცოდნა და მაგალითად მოჰყავდა მოხდენილად შერჩეული ორი სახუმარო შემთხვევა: ა) მეგრელმა და იმერელმა კურდღელი დაიჭირეს და #55#

გაყოფა მოუნდათ. – გვერდი სი დო გვერდი მა [ნახევარი შენ და ნახევარი მე], – თქვა მეგრელმა. – არა, გვერდები რად მინდა, ნახევარი შენ და ნახევარი მეო, – მიუგო იმერელმა. – ვარი, ნახვრიტა მუშო მოკო? გვერდი სი დო გვერდი მავა [არა, შიგნეულობა რად მინდა? ნახევარი შენ და ნახევარი მეო, – დაიჩემა მეგრელმა დაერივნენ ერთმანეთს. ბ) მეგრელმა ქუთათური ქალი შეირთო: ქორწილზე პატარძლის დედაც იყო, რომელსაც ხშირად ესმოდა სტუმარ-მეგრელთა სიტყვები: სო რე მოჰყუდუ? ნამუ რე მოჰყუდუ? [სად არის პატარძალი? რომელია პატარძალი?] შეწუხებული დედა მივიდა ქალიშვილთან და უთხრა: – შვილო, ვინც შემოვიდა სტუმარი, ყველა იძახის: მოჰყუნული, მოჰყუნულიაო“, რა დაგემართა, ცოტა ხალისიანად დაიჭირე თავი!

⁴⁷ გაზ. „კოლხიდა“, № 68, ქუთაისი, 1911

⁴⁸ გაზ. „კოლხიდა“, № 117, ქუთაისი, 1911

ი. ყიფშიძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ცხრაას ათიან წლებში სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლება დაბალ დონეზე იდგა, ზოგ მასწავლებელს არ ჰქონდა შეგნებული „თავისი წმინდა მოვალეობა და პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე“. ის არ ერიდებოდა, გამოემზეურებინა სავალალო ფაქტები: ერთმა მეგრელმა მასწავლებელმა თურმე „სერზე მიდის ერთი მგელი“ ასე აუხსნა მოსწავლეებს: „ღამით მიდის ერთი მგელი“ (მართალია, მეგრულად სერი „ღამეს“ ნიშნავს, მაგრამ ქართული სერი „მაღლობს“ გამოხატავს). ზემოდასახელებულ ფაქტებზე ი. ყიფშიძე სინანულით წერდა: ...თუ კარგად დავუკვირდებით, აქ სასაცილოზე მეტი სამწუხაროა. ყველა ეს მოწმობს ჩვენს საერთო სენს – თავისა და მახლობლების არცოდნა-შეუგნებლობას. თუ გარეშე პირს ეპატიება ჩვენი არცოდნა, ჩვენ – ქართველებსა და მეგრელებს, ღვიძლ ძმებს სისხლით, ენით, კულტურით – ერთმანეთის არცოდნა არ გვეპატიება... ქართული, მეგრული, ჭანური, სვანური ერთი მამამთავარი ენისგან წარმოიშვნენ და არა ერთმანეთისგან. ამათგან მხოლოდ ქართულს არგუნა ისტორიამ ის ბედი, რომ გადაიქცა ყველა მოძმეთათვის საერთო სალიტერატურო ენად. ვერც მეგრელი და ვერც სვანი მოსწყდება იმ ტკბილ ძუძუს, რომელიც მას ეკლესიასა და სკოლაში ასაზრდოებს 15-16 საუკუნის განმავლობაში. ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკურად სამეგრელო და სვანეთი ხშირად განცალკევებული იყო ქართლ-იმერეთიდან მაგრამ

#56#
კულტურულად მათი განცალკევება ისტორიამ არ იცის...; სამეგრელოს დადიანები ხშირად ეომებოდნენ იმერეთის სამეფოს, მაგრამ თავიანთ ეკლესიებს მხოლოდ ქართული წარწერებით ამშვენებდნენ. კაცია დადიანმა, რომელიც მტრობდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს, როცა სალხინოში კარის ეკლესია ააგო, 1782 წელს ერთ-ერთ სვეტზე ლამაზი ჩახრუხაულით ამოაჭრევინა ქართული წარწერა:

„ქრისტეს დედავ, მცირე მწვლილს ვბედავ, შენ სახლად იძღვენ ეს ეკლესია! / შენ მიერს შენდა გძღვნობ, ვით შეგშვენდა, ჩემზედ მხედველ ყავ ჩემი მესია! / მე დადიანმან, შენგან მმოსავმან, კაციამ გიგე სახლი ესია / და მეუღლით და ძით მნათობთ მზადით მრჩობლ სუფევა გვეც უმჯობესია!

დღეს, ცხადია, ბევრს შეიძლება ზედმეტად მოეჩვენოს ქართველური ენების ცოდნის საჭიროებაზე ლაპარაკი, ან იმის შეხსენება, რომ უძველესი სამწერლო ტრადიციის ქართული ენა მეგრულ-ლაზებსა და სვანებს ერთიანი ქართული კულტურული ცხოვრების მონაწილედ ხდიდა, მაგრამ თავის დროზე (რეაქციის ცხრაას ათიან წლებში) ეს დიახაც საჭირო იყო ეროვნული თვითშემეცნებისათვის. იოსებ ყიფშიძეც ძირითადად ამ მიზანს უქვემდებარებდა თავის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. თუ რაოდენ საჭირო იყო ასეთი მეცნიერულად სწორი ინფორმაციების მიწოდება საზოგადოებისათვის, ეს კარგად ჩანს ქვემოდასახელებული სხვა წერილებიდანაც.

6. „მცირე შენიშვნა“. ი. ყიფშიძის ეს სტატია 1912 წელს გამოქვეყნდა⁴⁹ „სახალხო გაზეთში“ (1912 წლის № 759-ში) დაბეჭდილი იმ გაუგებრობის გასაფანტავად, რომ თითქოს ოქემჩირეში მცხოვრები თათრები, რომლებიც ეწეოდნენ მეზღვაურობასა და ვაჭრობა-

⁴⁹ გაზ. „სახალხო გაზეთი“, № 779, 1912, 20 დეკ.

ხელოსნობას, კარგად ლაპარაკობდნენ მეგრულად და აფხაზურადაც. წერილში ნათქვამით ესენი „თათრები არიან მხოლოდ სარწმუნოებით (მაჰმადიანები არიან), ეროვნებით კი – ლაზები ანუ ჭანები, ეს ჩვენი უნიჭიერესი ძმები, ჩვენგან კარგა ხანია მივიწყებული და ალაღბედზე მიგდებული ოსმალეთის სასტიკ და უნაყოფო პოლიტიკურ-კულტურულ ველზედ“. ამავე წერილში ი. ყიფშიძე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით წერდა საჭიროა ლაზებს წიგნებით მაინც დავეხმაროთ საჭიროა მათთან კავშირის დაჭერა, ისინი ჩამოდიან #57#

ოსმალეთიდან ჩვენთან სამუშაოდ, სავაჭროდ. იმ გარემოებამ, რომ ლაზები და ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოებისა ვართ და სხვადასხვა სახელმწიფოში ვიმყოფებით, არ უნდა დაგვაფიქროს და შეგვაჩეროს ერთმანეთის ხელის გასაწვდენად, სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი ერთგვარობა სრულებით არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას მოძმე ტომთა შორის ეროვნული თვითშემეცნებისა და სულიერი კავშირის დამყარებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჭანებს გადაგვარება ელის. და თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ჭანები, – ეს ერთი უძველესი ტომთაგანი, ლითონის დამუშავების გამომგონნი და კაცობრიობისათვის მისი გადამცემნი, – თავის თავის ცნობას მთლიანად დაკარგავენ და ვეღარც სხვა ვინმე იცნობს მათ“.

იოსებ ყიფშიძის ეს სატკივარი დღესაც მწვავედ ახსენებს თავს საქართველოს.

7. „**ჭანეთი და ჭანები**“. ამ ეთნოგრაფიულ წერილს ახლავს სამი ლაზური ზღაპრის ქართული თარგმანიც.⁵⁰ ი. ყიფშიძეს ამ შრომაში ეთნიკური ტერმინი **ჭან**-ი ბიბლიური **კაენ** (კადნ)-ისგან გამოჰყავდა კ/ჭ ბგერათშენაცვლების საფუძველზე (კახი / ჭახი „ბელურა“, **კობა** / მჭობა „მჭავე“), ხოლო ლაზი სვანური წარმოებისად მიაჩნდა, როგორც ამას ნ. მარი ვარაუდობდა (*ლა-ზან-ი > *ლაზნი > ლაზი). ცხადია, **ჭან**-ის **კაენ**-ისგან მომდინარეობა დამაჯერებელი არ იყო არა მარტო ისტორიული, არამედ ფონეტიკური თვალსაზრისითაც. რადგან კ-ს აფრიკატიზაცია ჭ-დ პალატალური ხმოვნების (ი, ე-ს) წინა პოზიციასში რეალიზდება (ლაკი / ლაჭი) და ამიტომ **კობა** და **მჭობა** ფონეტიკურ ვარიანტებად კი არ უნდა მიგვეჩნია, არამედ სხვადასხვა ფუძეებად, ქართული **მკვახე** და **მწახე**-ს ფარდ ერთეულებად.

წერილში აღნიშნულია, რომ ქართველმა ტომებმა ლითონის დამუშავების ტექნიკა დამოუკიდებლად განავითარეს და ეს ცოდნა სხვა ერებსაც გადასცეს. ამიტომ, რომ ქართველურ ენებში „არც ერთი ლითონის სახელი არაა ნასესხები, პირიქით, სხვა ენებს აქედან უსესხებიათ, მაგალითად, სპარსული **ბირინჯ** იგივე ქართული **სპილენძია** (შდრ. მეგრ. **ლინჯი**, სომხ. **პლინძ**), რომელიც ნიშნავს „**სპერის** მადანს, სპერი კი იმყოფებოდა ჭოროხის #58#

სათავეში (**ჭოროხი** კი იგივე **კოლოხი** / **კოლხია**). ი. ყიფშიძე, რომელიც თავის ეტიმოლოგიებში არსებითად ნ. მარს ემყარებოდა, შესაძლოა არ იყო სწორი ამ შემთხვევაში, მაგრამ სწორი იყო მთავარი აზრი, რომლითაც, როგორც ეს მიღებულია დღეს უცხოელ

⁵⁰ ჟურნ. „ნაკადული მოზრდილთათვის“, № 8, 1911, გვ 40-49. აქვეა ზღაპარი „ჩვენ ამ წუთისოფლის სტუმრები ვართ“, ხოლო ორი ზღაპარი მომდევნო ნომრებშია: „ორგული ცოლის შესახებ“ (№ 9, გვ 24-27), „ყველა ქალი ერთი არ არის“ (№ 9, გვ. 47-51).

მეცნიერთა შორისაც, ქართველური მოდემის ტომები: ხალიბები, მოსინიკები და თუბალები იყვნენ მეტალების პირველმწარმოებლები მთელს მსოფლიოში,⁵¹ ასევე სწორი იყო მეცნიერის რწმენაც, რომ ასეთ ინფორმაციებს უნდა გაემლიერებინა ეროვნული თვითშემეცნების პროცესი ქართველურ ტომებში. ი. ყიფშიძე წერდა: სარწმუნოების დაკარგვასთან ერთად, ლაზები თანდათან კარგავენ ყოველსავე ეროვნულ თავისებურებას და დღეს ამ თავისებურებათა სუსტი ნიშნები ძლივსღა შეინიშნება. „მაგრამ ჯერ კიდევ არ ვკარგავთ იმედს, არ გვჯერა, რომ სულთა ბრძოლა უკვე დაიწყო. ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ეროვნული თვითშეგნება ყველგან იღვიძებს: ერთი ერის წარმომადგენლები ერთმანეთს უახლოვდებიან, – ეცნობიან, უკავშირდებიან სულიერად მაინც, რომელ სახელმწიფოშიც კი უნდა ცხოვრობდნენ და რა სარწმუნოებასაც უნდა აღიარებდნენ. არც ჩვენ და არც ლაზებს უნდა შეგვიშალოს ხელი ამ დაახლოებაში იმ გარემოებამ, რომ სხვადასხვა სახელმწიფოში ვცხოვრობთ და სხვადასხვა სარწმუნოებას აღვიარებთ. საჭიროა დაუღალავი მუშაობა ორივე მხრიდან, მაგრამ რადგან ჩვენ უკეთეს გარემოებაში ვართ, ვიდრე ლაზები, თავდაპირველად ჩვენ უნდა გავაღვიძოთ მათ შორის ეროვნული თვითშეგნება, გადავუშალოთ ქართული წიგნი, რომ თანდათან დაინახონ: რა იყვნენ, რა არიან და საით უნდა წავიდნენ“.

ვფიქრობთ, 70 წლის წინ ნათქვამ ამ სიტყვებს დღეს ცხოველმყოფელობა თუ მოჰმატებია, თორემ განელებით სრულებით არ გაჰნელებია.

8. „ცოტა რამ ჩვენი თანამომძე ჭანების შესახებ“.⁵² 1915 წელს დაბეჭდილ ამ წერილში ი. ყიფშიძე ჩიოდა ომის ასპარეზად გადაქცეული ჭანეთის მძიმე ვითარებაზე და გულისტკივილით კითხულობდა: „ნუთუ ამდენი სისხლი ჭანებისა უნაყოფოდ უნდა დაიკარგოს“? ის მწარე სიმართლეს მერამდენედ აუწყებდა ქართველ საზოგადოებას #59#

მაჰმადიანურმა რელიგიამ ლაზები ეროვნულ გადაგვარებამდე მიიყვანა; ივიწყებენ მშობლიურ ენასაც, მამაკაცები თავილობენ ლაზურად ლაპარაკს, ის „დიაცთა“ ენად მიაჩნიათ. „მაჰმადიანურმა რჯულმა სრულიად დაჩრდილა ეროვნება და ეროვნული თვითშეგნება გაანადგურა, ეროვნება მსხვერპლად შეეწირა რჯულს, ამიტომაც, რომ მაჰმადიანი ქართველები საზოგადოდ და, კერძოდ ჭანები ჩვენ „თათრებად“ გამოვაცხადეთ, ეს საშუალო საუკუნეების აჩრდილი დღესაც არ გამქრალა და ორივე მხარეს სულს გვიხუთავს. დროა თავი დავაღწიოთ ამ საშინელებას..., დროა შევიგნოთ, რომ ქართველი, ქრისტიანია ის თუ მაჰმადიანი, თავდაპირველად ქართველია და მერმე ქრისტიანი, მაჰმადიანი ან სხვა რომელიმე სარწმუნოებისა. სარწმუნოება სინდისის საქმეა. დე ვისაც როგორც უნდა ისე ადიდოს შემოქმედი, მაგრამ რა სარწმუნოებისაც არ უნდა ვიყოთ და რომელ სახელმწიფოშიც არ უნდა ვცხოვრობდეთ, თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, თუკი მას თავი ადამიანად მიაჩნია და თავმოყვარეობა აქვს, დაიცვას თავისი ეროვნული პიროვნება. გაითვალისწინოს

⁵¹ გ. კვიციანი, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართული ტომების მელითონების შესახებ, თბ., 1976, გვ. 78

⁵² ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 26, 1915, გვ. 12-14

თავისი წარსული, აწმყო და შეერთებულის ძალით გაიკაფოს გზა უკეთესი მომავლისაკენ (გვ. 13-14).

9. „**დღევანდელი საეთნოგრაფიო საღამო-კონცერტის გამო**“.⁵³ იოსებ ყიფშიძე ძალ-ღონის დაუზოგავად იღვწოდა ქართველურ ტომებს შორის ეროვნული მთლიანობის შეგნების განსამტკიცებლად, სიკვდილამდე ქადაგებდა, რომ სარწმუნოებრივ ბარიერს ხელი არ უნდა შეეშალა, რათა ქრისტიან ქართველებს მჭიდრო სულიერ-კულტურული კავშირი ჰქონდათ მაჰმადიან ლაზებსა და აჭარლებთან. ის მხურვალედ გამოეხმაურა იმ ფაქტს, რომ 1917 წლის მაისის ბოლოს კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით სახაზინო თეატრში უნდა გამართულიყო ქართლ-კახური და გურია-აჭარული სიმღერისა და ცეკვის გუნდების საეთნოგრაფიო საღამო-კონცერტი. ის კმაყოფილებით წერდა: მაჰმადიანობამ, რომელიც თურქებმა ძალად მოახვიეს აჭარლებს, „შავბნელ დროში სრულიად დააშორა ერთი-მეორეს ორი ღვიძლი ძმა, შებოჭა ეროვნული სული და შემოქმედება, ლამობდა ეროვნულის სრულიად შთანთქმას და „ქართველი მაჰმადიანის“ ადგილზე „თათრის“ გაბატონებას.

#60#

ჩვენდა სასიხარულოდ ეს შავბნელი დრო ისტორიას ჩაბარდა“. ი. ყიფშიძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა ხალხური მუსიკის ჩაწერა-შეკრება, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული ქართული მუსიკალური ფოლკლორის არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო მნიშვნელობაში. „ჩვენი ხალხური სიმღერა-გალობანი იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარია, რომ ის ღირსია არა მარტო ჩვენი ქართველების მხრივ ყურადღებისა და შესწავლისა, არამედ უცხოელების მხრივაც, რადგან მდიდარი მუსიკა, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნური ნაწარმოები, ერთ და იმავე დროს ეროვნულიც არის და საკაცობრიოც. ჩვენი ხალხური მუსიკა თავისი განსაცვიფრებელი თვისებებით (მაგ. კონტრაპუნქტი, სამსხმოვნობა და სხვ.) იქნება მართლაც, ბატონ ფოცხვერაშვილის არ იყოს, „რევოლუციას უმზადებს ევროპულ მუსიკას“.

10. „**ნიკო ჯანაშიას ხსოვნას**“.⁵⁴ ი. ყიფშიძე გულთბილი წერილით გამოეხმაურა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ჯანაშიას ნაადრევ სიკვდილს და წერდა: ნიკო ჯანაშია „ოც წელზე მეტი მუშაობდა უფრო საეთნოგრაფიო დარგში: კრებდა და აქვეყნებდა ფრიად საინტერესო და ძვირფას საეთნოგრაფიო მასალებს ნამეტურ აფხაზეთისა და აფხაზეთის ცხოვრებიდან“. აქვე აღნიშნავდა განსვენებულის ისეთი შრომების მნიშვნელობას, როგორც იყო: 1. აფხაზები. ეთნოგრაფიული მასალები (დაიბეჭდა 1897-1899 წლების „მოამბისა“ და 1898-1899 წლების „კრებულის“ ფურცლებზე), 2. შელოცვები („კრებული“, № 1, 1897), 3. გურული ლექსები („მოამბე“, № 4, 1896), 4. აბსკრილ (ამირანი), აფხაზური ლეგენდა („კრებული“, № 5, 1898). დასასრულს ი. ყიფშიძე დანანებით წერდა, რომ ნაადრევ სიკვდილს რომ არ შეეშალა ხელი, „ნიკოს კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო“.

⁵³ გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 816, 1917, 31 მაისი

⁵⁴ გაზ. „სახალხო საქმე“, № 219, 1918, 12 აპრ.

11. „თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი“.⁵⁵ ი. ყიფშიძე ა . წერეთელს როგორც #61#

შემოქმედებითი ტალანტით, ასევე თემატური და ჟანრული მრავალფეროვნებით ერთ-ერთ პირველ პოეტად თვლიდა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ის სწორად აღნიშნავდა, რომ აკაკიმ „მხატვრული ლიტერატურის ყველა ჟანრში გამოსცადა ძალები, მაგრამ მისი შემოქმედების სტიქია ლირიკაა“, განსაკუთრებით კი – პატრიოტული ლირიკა. ი ყიფშიძეს მოჰყავდა აკაკის სიტყვები ხელოვნების საზოგადოებრივ დანიშნულებაზე: „საზოგადოდ მე ხელოვნებას [= მხატვრობას – კ. დ.] დიდს ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიური ავკარგიანობის საბრძოლველ სასამსახუროდ. თუ რამ ხელოვნური [= მხატვრული კ. დ.] გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად შემთხვევით მომხდარა, თვარა ისე ჩემს დღეში არა მქონია ფიქრად, რომ მომავლისათვის ვწერ-მეთქი“. ამის საფუძველზე წერილში სწორად იყო აღნიშნული, რომ აკაკი იზიარებდა იმ დროს გაბატონებული ხელოვნების უტილიტარულ თეორიას, მაგრამ ჭკმდარიტი ბუნებრივი ტალანტის ძალით მან შეძლო შინაარსისათვის მოეპოვებინა უკვდავი მხატვრული ფორმები. აქვე შესანიშნავად იყო გამოქვავებული აკაკის უპოპულარესი პოეზიის სპეციფიკის არსი, რომელიც მდგომარეობდა მკვეთრად ინდივიდუალური ლაღი პოეტურობისა და სტილის ხალხური სისადავის ჰარმონიულ სინთეზში: „Акакий – жрец поэзии, облакающий самую обыденную вещь в словестную оболочку, настолько же простую, легкую и доступную, народную и в то же время строго литературную“.

ი. ყიფშიძე უთუოდ სწორ ლიტერატურულ პარალელს ავლებდა, როცა წერდა, რომ ქართული სალიტერატურო ენის გარდაქმნაში აკაკიმ ისეთივე როლი ითამაშა, როგორც პუშკინმა – რუსულ სალიტერატურო ენისაში. მეცნიერი სწორი იყო იმ კრიტიკულ შენიშვნაშიც, რომელსაც გამოთქვამდა აკაკი წერეთლის ისტორიულ თემაზე შექმნილი თხზულებების („თორნიკე ერისთავის“, „ნათელას“ , „პატარა კახის“, „ბაში-აჩუკის“)

#62#

შეფასებისას: წარსულის თემების დამუშავებისას პოეტი ყოველთვის არაა ერთგული ისტორიული სიმართლისადმი, „ის სამშობლოს წარსულს რამდენადმე აიდეალებს“. ერთი სიტყვით, ი. ყიფშიძის ეს წერილი სწორი, მაქსიმალურად აუცილებელი ინფორმაციულობითა და ლაკონურობით დღესაც მშვენიერ საენციკლოპედიო სტატიად წარმოგვიდგება.

⁵⁵ ი. ყიფშიძის არქივში ინახება რუსულად დაბეჭდილი სტატია „Творчество А. Р. Церетели“, რომელსაც გაზეთის ორი გრძელი სვეტი უკავია და წარმოადგენს საკორექტურო ცალს, რაც იქედან ჩანს, რომ სტატიის ამონაჭერის მეორე მხარე ცარიელია. ი. ყიფშიძეს შემდგომ მელნით ჩაუსწორებია ნაბეჭდი, კერძოდ, სათაური ასე გადაუკეთებია „Кн. Акакий Р[остомович] Церетели“ (Критико-биографический очерк), თან სათაურთან არსებულ თავისუფალ ადგილზე მიუწერია: „При праздновании юбилея его литературной деятельности в 1908 г., а ровно в день похорон поэта в Тифлиси 8-го февраля с. г. Он стал народным „Акакием“, стал „некорованным царем Грузии, близким и понятным для каждого грузина“. ს. გორგაძე ამის ადგილზე ასახელებს შემდგომ გადამუშავებულ სტატიას Кн. Акакий Ростомович Церетели (некролог [„Биржевые Ведомости“, 1915 г., 27 янв. № 14636], იხ. ს. გორგაძე, პროფესორი იოსებ ყიფშიძე, გვ. 350.

ზემოგანხილული საგაზეთო წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ი. ყიფშიძე არ იყო, როგორც იტყვიან, კაბინეტური მეცნიერი, რომელსაც მხოლოდ წმინდა სამეცნიერო ინტერესები ამოძრავებდა, მას ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ის ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი მეცნიერის შრომა ორგანულად უნდა შერწყმოდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული დაწინაურების ერთ მთლიან საქმეს. ი. ყიფშიძის პუბლიცისტურ და კერძო წერილებში ნათლად გამოსჭვივის მაღალმოქალაქეობრივი შეგნება იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი შემტკიცებისათვის საჭირო იყო არა მარტო ქართველურ ტომთა, არამედ სხვა ეროვნულ უმცირესობათა შორის თანასწორუფლებიანი კავშირის განმტკიცება და ამ შეკავშირებისათვის ხელი არ უნდა შეეშალა სარწმუნოებრივ და ენობრივ ბარიერებს. ცხრაას ათიანი წლებიდან სიკვდილამდე ი. ყიფშიძე თავგამოდებით იბრძოდა ქართველ საზოგადოებაში იმ ჯანსაღი აზრის დასამკვიდრებლად, გადაუდებლად საჭიროებას წარმოადგენდა ფაქიზი ქმედითი ღონისძიებანი, რათა არა მარტო ისტორიის ბედუკუღმართობით გამაჰმადიანებული ქართველები (აჭარელები, ლაზები) ჩართული ყოფილიყვნენ საქართველოს ძლიერებისა და წინსვლის საქმეში, არამედ საქართველოში დამკვიდრებული სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა კერძო წერილი, რომელიც მან 1917 წლის 25 მარტს პეტროგრადიდან გამოუგზავნა ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ს. გორგამეს. ამ წერილიდან კარგად ჩანს, თუ რა სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა ი. ყიფშიძე 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ვითარებაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისა და განსაკუთრებით კი ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული კავშირის, ერთობის განმტკიცებისათვის ბრძოლას, ასევე ისიც ცნაურდება, თუ როგორ იბრძოდა ის #63#

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იმხანად გაბატონებული „შენ-ჩემობისა“ და კუთხური „პატრიოტიზმის“ წინააღმდეგ. რადგან ამ წერილში გამჟღავნებულია არა მარტო ი. ყიფშიძის, არამედ იმდროინდელი საქართველოს მოწინავე საზოგადოების ჯანსაღი პოლიტიკური მრწამსი, მოგვყავს მისი ტექსტი შემოკლებულად: „მმაო სერგო, გამარჯობა! მოგილოცავ თავისუფლებას! მოგილოცავთ ავტოკეფალიას! დროებით[მა] მთავრობამ უკვე აღადგინა ჩვენი ეკლესიის თავისუფლება... და დღეს ან ხვალ გამოაცხადებენ. მადაც, რასაკვირველია, დეპეშით გაცნობებენ. საქმის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად იგზავნება კომისრის სახელით პროფ. ვლ. ბენეშევიჩი, ქართველების მეგობარი და კეთილის მოსურნე. საჭიროა მად კარგად დახვდენ და ხელი შეუწყონ. დიდი მუშაობაა საჭირო აფხაზებში. აქ ცნობა გვაქვს, რომ საზოგადოდ აფხაზები ქართველებისაკენ იხრებიან, მაგრამ ამასთანავე ისეთებიც ყოფილან, რომლებსაც არა სურთ თურმე ჩვენთან ერთობა, და აი ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. თუ საეკლესიო საქმეში აფხაზები ჩვენთან იქნებიან, ეს ხელს შეუწყობს პოლიტიკურ საქმეშიც ჩვენსა და მათ შორის ერთობას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ავტონომიის საკითხისათვის, ამასთანავე ჩვენმა „პატრიოტებმა“ ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა დაანებონ იმის მტკიცებას, რომ აფხაზურად არ შეიძლება ლიტერატურის შექმნა. აფხაზებს უკვე აქვთ თავისი ლიტერატურა, საეკლესიო და საეროც, მართალია, ძლიერ ღარიბი, მაგრამ მაინც დიდად ყურადსაღები. ახლავე უნდა დაარწმუნონ აფხაზები, რომ ჩვენ არა თუ

არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს მათ ეროვნული მოთხოვნილებებისა გამო, პირიქით, ხელს შევეწყობთ ამ საქმეში მათ...

ამ წერილის გამოგზავნა დამიგვიანდა, რადგან დროებითი მთავრობა ყოყმანშია ავტოკეფალიის გამო. უკვე დამზადებული დეკლარაცია, რომლის შემუშავებაში მარი და ბენეშევიჩი იღებდნენ მონაწილეობას, ობერპროკურორმა გადასცა იურიდიულ კომისიას (ამ კომისიაში სხვათა შორის აჯემოვი – სომეხი, ებრაელები და კადეტი მაკლავოვი ირიცხებიან) და ამ კომისიამ კი დაამახინჯა არსებითად და დეკლარაციის მაგივრად რაღაც უფერული, ქრონიკაში მოსათავსებელი ტექსტი შეიმუშავა. გარდა ამისა, სინოდის ჩაერია საქმეში და მოითხოვა, რომ ქართველებმა დელეგაცია გამოგზავნონ და სინოდს სთხოვონ ნებართვა ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ ამის შესახებ აქაური ქართველების მხრივ დეკლარაცია წარუდგა ობერპროკურორს და განუცხადა, რომ სინოდის ჩარევა ამ საქმეში სრულიად #64#

უადგილოა და ქართველები არავითარ დელეგაციას არ გამოგზავნიანო. ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპო საერო მთავრობამ და მხოლოდ შემდეგ გაავრცელა სინოდმა თავისი უფლება მასზე და არა წინაუკმო. ამისთვის დღევანდელ მთავრობას და არა სინოდს შეუძლია მოსპოს ეს უსამართლობა და დააკანონოს ავტოკეფალია, რომელიც ქართველმა სამღვდელოებამ და ხალხმა ფაქტიურად უკვე განახორციელა.

ობერპროკურორი დაგვეთანხმა და მერმე გვკითხა, მოგწონს თუ არა წინანდელი დეკლარაციის ტექსტი. ჩვენ განვუცხადეთ, რომ ზოგიერთი მუხლები არ მოგწონს, მაგ., მუხლი 2, სადაც ნათქვამია, რომ რუსთა მრევლები და სხვა არაქართველთა მრევლებიც რუსეთის ეკლესიის მორჩილებაში რჩებიანო, და ინსტრუქციის ის მუხლი, სადაც ნათქვამია – ტფილისის რუსი ეპისკოპოსის კათედრად უნდა დარჩესო. სხვაფრივ დეკლარაციას არა უშავს რა და ჩვენც ვთხოვეთ, რაც შეიძლება მალე გამოექვეყნებინათ. ობერპროკურორი შეგვპირდა, ამ ორ დღეში განიხილავს დროებითი მთავრობა და გამოვაცხადებთო ეს იყო 22/III-ს, დღეს 25/III-ია და დეკლარაცია კი არსადა ჩანს. როგორც გავიგეთ, მილიუკოვი და მისი თანაშემწე ნოლდე ყოფილან წინააღმდეგი – სინოდმა უნდა მისცეს თავისუფლება თავდაპირველად და მთავრობამო. კიდევ ვეცდებით დავუმტკიცოთ მთავრობას სინოდის პრეტენზიების უადგილობა და უსაფუძვლობა, მაგრამ ძალა, რასაკვირველია, თქვენშია, მად ადგილობრივ მტკიცედ უნდა დაიცვათ თქვენი პოზიციები, ამ საკითხში ჩვენ არაფრის დათმობა არ შეგვიძლია. რადი ასე შეტრიალდა საქმე, ბენეშევიჩმა უარი განაცხადა კომისრობაზე. არ ვიცი, რა გზას დაადგება მთავრობა ან ვის გამოგზავნის. კიდევაც რომ ისევ ბენეშევიჩი დათანხმდეს, თქვენ მაინც მად მზად უნდა იყოთ ყოველმხრივ. ნამეტურ ტფილისის და აფხაზთა საკითხებია, რომლებიც ჩვენდა სასარგებლოდ არ უნდათ გადასწყვიტონ [ი. ყიფშიძის არქივი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ს. ფ. 2416].

IV. მეცნიერის არქივიდან გამოუქვეყნებელი შრომები.

1. „ერეკლე მეორის შინაური პოლიტიკა“. ეს ერთ-ერთი ადრეული, სტუდენტობისდროინდელი შრომაა, რომელიც ი. ყიფშიძეს წაუკითხავს პეტერბურგის

#65#

უნივერსიტეტში არსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომაზე 1908 წლის 26 მარტს. ის 35 ხელნაწერ გვერდს შეიცავს და ინახება მეცნიერის არქივში, რომელიც დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (ს. ფ. № 24085). ნაშრომი რეფერატული ხასიათისაა და საინტერესო ცნობებს შეიცავს ერეკლე II-ის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე. მისი მიზანია, აჩვენოს, რომ ერეკლე II მარტო უნიჭიერესი მხედართმთავარი კი არ იყო, რომელმაც 64 დიდ და ამდენივე პატარა ომში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა, არამედ ქვეყნის ეკონომიკის, განათლების, სამართლის თუ საეკლესიო საქმეების მოგვარებაზე დიდად მზრუნველი მეფე. ი. ყიფშიძე ყურადღებას მიაპყრობდა იმ ფაქტებს, რომ ერეკლემ სამეფოს პოლიტიკურად შემტკიცების მიზნით გააუქმა ორი დიდი საერისთავო – არაგვისა და ქსნისა, ხოლო ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერების მიზნით სცადა მადნეულის მოპოვებისა და დამუშავების საქმე განეკუთრებინა, სამთო სკოლაც დააარსა; მანვე სწავლა-განათლებისა და კულტურის დაწინაურების მიზნით ორი სემინარია გახსნა თბილისსა და თელავში, განაახლა და გააუმჯობესა სასტამბო მეურნეობა, იზრუნა ქვეყანაში ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად, გაუნათლებელ პირთ აუკრძალა მღვდლობა, განაახლა ალავერდის მონასტერი, ხოლო სვეტიცხოველის ტაძრის ყმები 1767 წელს ოთხი წლით გაათავისუფლა სხვა გადასახადებისა და ლაშქრობაში მონაწილეობის ვალდებულებისაგან.

შრომში მარჯვედ არის შერჩეული ფაქტები, რომლებიც წარმოაჩენენ ერეკლე მეორის მოღვაწეობის პროგრესულობას, მაგალითად, იმის დასამტკიცებლად, რომ ერეკლე სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა წიგნების ბეჭდვის საქმეს, მოყვანილია ასეთი ფაქტი. მღვდელმა დავით ჩუბინიძემ, რომელიც სტამბაში მუშაობდა, მეფეს სთხოვა, რომ „მორიგე“ ჯარის სამსახურიდან გაეთავისუფლებინა. მეფემ დააკმაყოფილა ეს თხოვნა ასეთი რეზოლუციით „ესე დავით ღვდელი (!) სტამბაში განწესებულია. ესეც საქვეყნიერო და სჯულის სამსახურია, ამას „მორიგეთ“ ნუ გამოიყვანთ“ (Цар., Сведения..., т. I; вып. III, стр. 5). იმის საჩვენებლად, თუ როგორ იცავდა ერეკლე გლეხებს მეზატონეთა თავგასულობისაგან, მოყვანილია სიტყვები, რომელსაც მეფე სწერს ამილახვრებს 1785 წელს: ტყეში შეშას და #66#

ურმის მასალას არ აჭრევინებთ გლეხებს, გაგიგიათ? ყველაფერი, რაც თუმანიშვილებს გლეხებისათვის წაურთმევიათ, ისევ მათ დაუბრუნონ დაუყონებლივ. გლეხებს არ დაუშალონ ტყიდან შეშის გამოტანა და ურმის მასალის დამზადება..., თორემ დიდად განვრისხდები და იასაულს გამოვგზავნი. აქამდე ნუ მივა საქმე!

შრომის დასასრულს ავტორი მსჯელობდა. თუ რამ მიიყვანა მაინც საბოლოოდ ქართლ-კახეთის სამეფო კრახამდე. ახალგაზრდა ავტორის აზრით, ერეკლე II აღმოსავლურ პოლიტიკაში უკეთ ერკვეოდა, ვიდრე დასავლურისაში. მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას დადი დაასვა მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი ფანატიკურმა ერთგულებამ და ოჯახურმა ბორკილებმა (სამეფო უფლისწულებს დაუნაწილა).

ცხადია, ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას სუბიექტურთან ერთად ობიექტური, გარეპოლიტიკური ფაქტორები განსაზღვრავდნენ, მაგრამ ამის აღუნიშნაობა

მხოლოდ ახალგაზრდა ი. ყიფშიძის შრომის ნაკლი არ იყო. მთავარი ის იყო, რომ ნაშრომიდან კარგად ჩანდა, თუ რა ფართო იყო თავიდანვე მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო.

2. „მეგრული ეწა და მისი შესწავლის ისტორია“. ი. ყიფშიძეს ეს ხელნაწერი შრომა (68 გვ.) წაუკითხავს 1914 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე. ის ორი ნაწილისაგან შედგება: I ნაწილში (გვ. 1-32) მსჯელობაა უმწერლო ენის შესწავლის მნიშვნელობასა და მეგრულის შესწავლის ისტორიაზე, II ნაწილში კი (გვ. 33-68) – მეგრულის სპეციფიკასა და ქართულთან მიმართებაზე. ავტოგრაფი ინახება მეცნიერის არქივში და დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში (ს ფ. № 24079).

ავტორი მეგრულის შესწავლის მნიშვნელობაზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ კვირის დღეების სახელწოდებები მეგრულმა არქაული სახით შემოინახა, რომლებშიც ცნაურდება ქართველი ხალხის ქრისტიანობამდელი წარმართული მსოფლმხედველობა, თავყვანისცემა ციურ მნათობებისადმი: კვირას ჰქვია **ჟაშხა** (< ბჟაშ დღა „მზის დღე“), ორშაბათს – **თუთაშხა** (< „მთვარის დღე“), ხუთშაბათს – **ცაშხა** („ცის დღე“). ი. ყიფშიძე სხვა დღეების სახელწოდებათა ეტიმოლოგიას დაუდგენლად თვლიდა და მხოლოდ #67#

ვარაუდებს გამოთქვამდა: **თახაშხა** („სამშაბათი“) ეტიმოლოგიურად ბუნდოვანია, შესაძლოა აქ ***დიხაშხა**ს „მიწის დღეს“ ნიშნავდეს, **ჯუმაშხა** („ოთხშაბათი“) თუ ნასესხები არაა თათრულიდან, იქნებ ნიშნავდეს „მძის დღეს“ (ლაზ. **ჯუმა**, მეგრ. **ჯიმა** „ძმა“), **ობიშხა** („პარასკევი“) ეტიმოლოგიურად ბუნდოვანია. აღ. ცაგარლით, მეგრ. **ობიშხა** და სვან. **ვებიშ**, **ობიშ** უნდა მოდიოდეს სვანური **ობი**, **ვები**, **უები**-სგან, რაც ნიშნავს ბედისწერას „ხვედრს“. მხოლოდ **საბატონი** („შაბათი“) არის ბერძნულიდან ნასესხები **σάββατον** (გვ 10-11).

ი. ყიფშიძის აზრით, ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების ნაწილი მეგრულში სხვაგვარი ეტიმოლოგიისა, ვიდრე ქართულში: **ჯიმადი** „ბიძა“ მომდინარეობს ***ჯიმა დიდაში**-დან („ძმა დედისა“) და ალბათ იმ დროს შეიქმნა, როცა ოჯახში დედას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული **ბიძა** კი ნიშნავს „მამის ძმას“ და ოჯახში მამის უფროსობას უჩვენებს (გვ. 13-14). მეგრული **დიანთირი** („დედამთილი“, „სიდედრი“), **მუანთირი** („მამამთილი“, „სიმამრი“) შედგება **დია** (**დიდა** „დედა“), **მუა** (**მუმა** „მამა“) და **თირუა** („ცვლა“) სიტყვებისგან და პირდაპირ ნიშნავს: „დედაგაცვლილი“, „მამანაცვალი“. ეტიმოლოგიურად და არა მნიშვნელობით უახლოვდება ქართ. დედინაცვალს, მამინაცვალს. ამ უკანასკნელთა აღსანიშნავად მეგრულს სხვა ტერმინები აქვს: **დიდაცონირი**, **მუმაცონირი** („დედადამყნილი“, „მამადამყნილი“). ქართული **ქვისლის** ფარდი **ქვიშილი**-ს გვერდით მეგრულში უფრო იხმარება **სინდაყალეფი** („სიძე-შტოები“), ასევე განსხვავებული სახელებებისა **პირსელი** („ნათლიდედა“), **მორდია** („ნათლია“) და სხვ.

მართალია, **ჯიმადი**, **დიანთირი**, **მუანთირი**, **დიდაცონირი**, **მუმაცონირი** ფუძეთა ეტიმოლოგია დღეს სხვაგვარადაც წარმოგვიდგება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ი. ყიფშიძე საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას ქართველურ ფუძეთა ეტიმოლოგიურ ურთიერთმიმართების საკითხზე და ბიძგს იძლეოდა ამ მიმართულებით მუშაობისათვის. მას

სწორად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ სხვადასხვა ენაში ბგერობრივად და შინაარსობრივად მსგავსი ან იდენტური სიტყვების ისტორიის, მათი ნასესხობის თუ მკვიდრობის საკითხის გადასაწყვეტად უტყუარი კრიტერიუმია ეტიმოლოგიური სტრუქტურის დადგენა: სიტყვა იმ ენის კუთვნილებაა, რომლის სისტემითაც ირკვევა მისი სტრუქტურა. ი. ყიფშიძეს მოჰყავდა ასეთი მაგალითები: მეგრულშიც არის **ჭანჯ-ი** „ბუზი“, ჭან. მჭაჯი და სომხურშიც, მაგრამ ამ უკანასკნელს რომ ის უსესხებია მეგრულ-ლაზურადან, აშკარაა, რადგან მეგრ. **ჭანჯ-ი**, ჭან. **მჭაჯ-ი** ბგერათმესატყვისობით კანონზომიერი ფარდია ქართ. მ-წერ-ისა.⁵⁶ ასევე მეგრული **ჩქეჩქე** კანონზომიერი ფარდია ქართული ჩჩვილ-ისა (ქართ. ჩ, მეგრ. ჩქ: ჩემი – ჩქიმი). მაგრამ **ჩქეჩქე**-ს ძლიერ წააგავს ოსმალური **ჩოჯუჯ**, რაც ნიშნავს ბავშვს. თუ ამ ორ სიტყვას შორის შემთხვევითი ერთგვარხმოვანება (coзвучие) არ არის, მაშინ ეს ოსმალურს მეგრულიდან უსესხნია (გვ. 20).

ი. ყიფშიძე საკმაო სისრულით მიმოიხილავდა მეგრულის შესწავლის ისტორიას, აღნიშნავდა ევლია ჩელების, არქანჯელო ლამბერტის, იოჰან გიულდენშტედტის, იულიუს კლაპროტის, მარი ბროსეს, გეორგ როზენის, ჰრაჩია აჭარიანის, ალ. ცაგარლის, პეტრე ჭარაიას და სხვათა ღვაწლს. ავტორი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა ალ. ცაგარლის „მეგრულ ეტიუდებს“ და სინანულით წერდა: ალ. ცაგარელს ნაცვლად დაფასებისა, წილად ხვდა საყვედური. თვით სახელოვანმა ი. ჭავჭავაძემ გაილაშქრა ცაგარლის წინააღმდეგ, რამაც ცუდად იმოქმედა მასზე და შეწყვიტა მუშაობა ამ უბანში (გვ. 23-24).

ი. ყიფშიძე შრომის II ნაწილში მსჯელობს ენის სიწმიდისა და ენათა გენეტური მიმართების საკითხებზე, სწორად აღნიშნავს, რომ ნასესხობების გარეშე ე. წ. წმიდა ენა არ არსებობს, ოღონდ სესხებაშიც ზომიერებაა საჭირო. „ნასესხებ სიტყვებს ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, მათ კულტურის ისტორიისათვის აქვთ მნიშვნელობა“ (გვ. 8), მაგ., სპარსულში ნახევარზე მეტი არაბული სიტყვებია, მაგრამ ამ ენებს ნათესაობა არა აქვთ: სპარსული ინდოევროპული ენაა, არაბული – სემიტური. ენათა ნათესაობა მტკიცდება ისეთი სიტყვების შედარებით, რომელთა შორის ერთი შეხედვით არავითარი საერთო არ არის, მაგრამ თუ სრულად შევისწავლით შედარებით ფონეტიკას, ცხადი გახდება მათ შორის ურთიერთობა, მაგ., მეგრ. **ჯა** ნიშნავს ხეს, მაგრამ ისინი სხვადასხვა ძირებია, მეგრ. **ჯ** უდრის არა ქართ. **ხ**-ს არამედ **ძ**-ს (**ჯვეში** „ძველი“, **ჯიმა** „ძმა“), მაშასადამე, **ჯა** უნდა შევუდაროთ **ძელს**, რომელიც ძველ ქართულში ხეს ნიშნავდა (შდრ. ძელქვა); ასევე მეგრ. **ჯოდორ-ი**, **ქომონჯ-ი**, **ჩხოუ/ჩხუ** უნდა შეუდარდეს შესაბამის ქართულ **ძალს**, **ქმარ**, **ცხოვარ** ფუძეებს. ჩანს, მეგრულს უყვარს სრულხმოვნობა (полногласие) (გვ. 9-11). დღეს შეიძლება ზოგი რამ სადავო იყოს, მაგრამ ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის ისტორიისათვის საინტერესო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ 1914 წელს იო ყიფშიძეს გაცნობიერებული ჰქონია ორი საყურადღებო დებულება: ა) მონათესავე ენათა შესადარებელი ლექსიკური მასალა უნდა იყოს დიფერენცირებული, ისტორიულად ცვლილი; ბ)

⁵⁶ ყიფშიძე რატომღაც აქ არ ასახელებს ნ. მარის წერილს, სადაც ცხადად გარკვეულია მეგრ. ჭანჯ-ის მიმართება ქართ. მწერ-თან (Н. Марр, К вопросу о ближайшем родстве армянского языка с иверским, Записки Вост. Отд. Арх.-го общества. Т XIX, 1909).

ქართულთან შედარებით მეგრული ფუძეებისთვის დამახასიათებელია სრულხმოვნობა. როგორც ვთქვით, დღეს ამ დებულებებში გარკვეული კორექტივი შეაქვთ, მაგრამ ისიც უდავო ფაქტია, რომ სხვებთან ერთად ამ საყრდენმა დებულებებმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის ინტენსივობა და შეამზადეს კვლევის დღევანდელი მაღალი დონე.

ქართულთან შედარების გზით შრომაში წარმოჩენილია არსებითი თავისებურებანი მეგრულისა: თანაბრობითი ხარისხის ქონა, ობიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვა სუბიექტური პირის სუფიქსით, პოტენციალისის გამოხატვა ზმნაში, უარყოფის უ-ს ადგილი ზმნისწინების წინ (**უდუპენჯებელი** „დაუპატიჟებელი“), სუბიექტის მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეწყობა გარდაუვალი ზმნების მეორე სერიის ფორმებთან (**კოჩქ დოღურუ** „კაცმა მოკვდა“) და სხვა.

3. შესავალი სიტყვა (წაკითხული პეტერბურგის უნივერსიტეტში .დისერტაციის დაცვისას 1914 23 ნოემბერს). ამ შრომის რუსული ავტოგრაფი (12 გვ.) ინახება მეცნიერის არქივში და დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (ს. ფ. № 240-87/454).

მაგისტრანტი ი. ყიფშიძე შესავალი სიტყვის დასაწყისშივე ცხადყოფდა იმ უდავო ფაქტს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ენათმეცნიერებისათვის უმწერლო ენების შესწავლას. უმწერლო ენა, ლიტერატურული ენისგან განსხვავებით, უფრო ბუნებრივად ვითარდება და არ არის შეზღუდული ხელოვნური, ზოგჯერ შაბლონური, სავალდებულო #70#

ნორმებით, ამასთანავე დაზღვეულია უშუალოდ თარგმანთა გზით უცხოური წიგნური გავლენისაგან. ამიტომ ზოგჯერ სწორედ ასეთი ენა უფრო შეიცავს კვლევისათვის ნამდვილ, ბუნებრივ, თვითმყოფ ლინგვისტურ მასალას, ვიდრე სალიტერატურო ენა. ამის ნათელსაყოფად ი. ყიფშიძე პარალელს ავლებდა უმწერლო მეგრულსა და სამწერლო ქართულს შორის კვირის დღეების სახელწოდებათა გადმოცემის უბანში და ამბობდა: თუმცა ქართულს 15-საუკუნოვანი ლიტერატურა აქვს, მას კვირის არც ერთი დღის საკუთარი სახელწოდება არ შეუნახავს, დღეების სახელდების საფუძველია შაბათი (ებრ. šabbāt), რომელიც ნასესხებია ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად სომხურის ან სირიულის გზით, და რიცხვითი სახელების წინ დართვით მისგან იწარმოება სხვა დღეების სახელწოდებებიც: ერთშაბათი („კვირა“), ორშაბათი, სამშაბათი, ... ექვსშაბათი. შემდეგ ბერძნული საეკლესიო გავლენით **ერთშაბათი** შეიცვალა **კვირე**, **კვირიაკეთი** (κύριος, κυριακός), ხოლო **ექვსშაბათ**-ის ნაცვლად შემოვიდა პარასკევი (παρασκευή). სულ სხვა სურათია მეგრულში: **საბატონ**-ის („შაბათის“) გარდა, რომელიც უშუალოდ ნასესხებია ბერძნულიდან (**σάββατον**), ყველა დღის სახელწოდება საკუთარია, ძირძველი ხალხურია: **ჟაშა** (კვირა, „მზის დღე“), **თუთაშა** (ორშაბათი „მთვარის დღე“) და მიაწინებებს წარმართული ასტრალური კულტის ოდინდელ არსებობაზე ქართველურ ტომებში. ივ. ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიაში“ უდავოდ დაამტკიცა, რომ უძველეს ხანაში ქართველები თავყვანს სცემდნენ ციურ მნათობებს,

განსაკუთრებით, მთვარეს, რომელსაც თვლიდნენ მამრ, მამა ღვთაებად. ამასვე უნდა მიანიშნებდეს მამაკაცის მეგრული სახელი **თუთუ** (< **თუთა** „მთვარე“) და **თუთაშხია** (გვ. 6).

მეგრულის შესწავლის მოკლე ისტორიის გადმოცემის შემდეგ ი. ყიფშიძე შესავალი სიტყვის დასასრულს ამბობდა: ჩემი შრომა პირველი ცდაა მეგრულის გრამატიკაზე სრული გამოკვლევის შექმნისა. ჩემს წინაშე ორი ამოცანა იდგა: ერთის მხრივ, გამეგრძელებინა 80-იან წლებში შეწყვეტილი მუშაობა მეგრულის შესწავლაში [იგულისხმება ალ. ცაგარლის ღვაწლი – ვ. დ.] და, მეორეს მხრივ, კვლევის შედეგები შემეთანხმებინა იაფეტური თეორიის დღევანდელ მდგომარეობასთან.

ი. ყიფშიძე ამ სიტყვებშიც ისევე გულწრფელი იყო, როგორც საერთოდ მთელს ცხოვრებაში. მას ძალიან სწადა, რომ თავის საყვარელ მასწავლებელს – ნ. მარს – #71#

შეშვებოდა სამეცნიერო სამყაროში თავიდანვე სკეპსისით დალდასმული ახალი იაფეტური თეორიის განმტკიცების ძნელ საქმეში. მაგრამ რეალურად მან, საბედნიეროდ, ძალიან ცოტა გააკეთა ისტორიულად განწირული ამ თეორიის სასარგებლოდ: ბუნებრივი ტალანტი და ქემმარიტებისადმი ერთგულება მას მეტწილად ენობრივი ფაქტების ობიექტურ შეფასებას კარნახობდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი ნიკო მარიც გრძნობდა ერთგული და ნიჭიერი მოწაფის, ასე ვთქვათ, ერთგვარ გაორებას და დიდსულოვნად აღიარებდა „მეგრულის გრამატიკაზე“ დაწერილ რეცენზიაში: „Осторожность и выдержка г. Кипшидзе выше всяких похвал. В книге г. Кипшидзе едва ли самому придирчивому критику удалось бы найти и тень основания для упреков в принципі, а если что и оказалось бы, то разве в утверждениях, восходящих к его учителю по яфетической теории, пишущему настоящие строки“ (Записки Восточного отд. Имп. Русск. Арх.-ого общества, т. XXIII, Стр. 209).

4. **„მეგრელთა რელიგიური რწმენები“**. ეს შრომა (Религиозные верования мингрельцев) ი. ყიფშიძეს მოხსენებად წაუკითხავს რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების სხდომაზე 1915 წლის 2 სექტემბერს. პატარა ბლოკნოტის ფურცლებზე შესრულებული მისი შავი ავტოგრაფი (39 გვ.) ინახება მეცნიერის არქივში და დაცულია ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (ს. ფ. № 24080/454).

ი. ყიფშიძეს ამ წერილში მოჰყავდა მასალები სამეგრელოში დაცულ წარმართული ხანის წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებზე და აღნიშნავდა: მეგრელებს სჯერათ საწინასწარმეტყველო წიგნისა „ერტი“, რომელიც დაუწერია დიაკონ მირცხულავას. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა არა ამ წიგნის შინაარსი, არამედ თვით სახელწოდება **ერტი**, რომელიც ქართულიდან ნასესხები **ეტლი** („ჰოროსკოპი“) უნდა იყოს (მეგრულში **ლ** თანხმოვნის გვერდით **რ**-დ იცვლება, შდრ. კლება – რკება), ხოლო გვარი **მირცხულავა** ნაწარმოებია „ვარსკვლავის“ მნიშვნელობის **მურუცხ**-ისაგან და ნიშნავს „ვარსკვლავის ძეს“. ჩანს, სამეგრელოში ადრე არსებობდა ქურუმთა კლასი, სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიის ქადაგი (წინასწარმეტყველი) 23 აპრილის დღესასწაულის წინაღამეს მარტოდმარტო ატარებს #72#

ეკლესიაში, რომ ზეციური ხილვები მოევლინოს მას. ნამდვილად კი ქადაგის მიერ ღამის თევაში ცხადდება თაყვანისცემა მთვარის ღვთაებისა. ლამბერტის ცნობითაც, ყველაზე მეტად

მეგრელებს მთვარისა ემინიათ, რადგან მთვარეა ადამიანის ბედის განმგებელი: მის ნახვისას ქუდს იხდიან და თავს დაბლა უკრავენ. მთვარის დღეს (თუთაშხას „ორშაბათს“) შორს არ მიემგზავრებიან, არც რამეს გასცემენ და არც მიიღებენ, ისე უქმობენ, როგორც ებრაელები შაბათს.

შრომაში მოყვანილია საინტერესო ცნობები ისეთი წარმართული შინაარსის ტერმინებზე, როგორიცაა: **ჭეჭეთობა, ხეხუჯობა, ჭვენურობა, მესეფი, ნაფრა, ტყაშმაფა, გაძიგება, ოჯუმაშხურე** და სხვა.

5. შესავალი ლექცია. შავად დაწერილ ავტოგრაფს, რომელიც ინახება ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ი. ყიფშიძის არქივში (№ 24078/454), თარიღად უზის 1918 წლის 19 თებერვალი. ესაა ქართულ უნივერსიტეტში ქართულად წაკითხული პირველი ლექცია ქართული ენის შესახებ. ეს შრომა, ვფიქრობთ, ქართული ენათმეცნიერების მძლავრი წინსვლის შვიდი ათეული წლის შემდეგაც ინარჩუნებს გარკვეულ მეცნიერულ ღირებულებას, მაგრამ უფრო ის იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს ისტორიული თვალსაზრისით: ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიის მკვლევართ ის მიანიშნებს იმ ნანატრი ჟამის დადგომაზე, როცა ახალფეხადგმულ ქართულ უნივერსიტეტში დაიწყო ახალი ერა ქართველური ენების კვლევაში მაღალაკადემიური პროფესიონალიზმის დასამკვიდრებლად. ამიტომ ვთვლით საჭიროდ, გამოვაქვეყნოთ ამ შესავალი ლექციის პირველი ნაწილის ტექსტი.

„ბატონებო, ამ სემესტრში თქვენ უნდა მოისმინოთ სხვა საგანთა შორის „ძველი ქართულიც“, ე. ი. შეისწავლოთ მისი გრამატიკა და თან საუკეთესო ტექსტების კითხვას შეუდგეთ, რასაკვირველია, პირველ ხანად შედარებით ადვილი ტექსტების კითხვას. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ის დევიზი, რომელიც ხშირად აწერია ამა თუ იმ ენის გრამატიკას, მაგრამ სამწუხაროდ აგრეთვე ხშირად მას ივიწყებენ, ნამეტურ საშუალო სასწავლებლებში, სახელდობრ ის დევიზი, რომ „ჭეშმარიტ გრამატიკას კარგი მწერლების ნაწერები შეიცავენ“. გრამატიკის შესწავლა უტექსტოდ მკვდარი საქმეა, ის ნაყოფს ვერ გამოიღებს და გადაიქცევა #73#

სხვადასხვა, ხშირად უაზრო საგრამატიკო წესების გაზეპირებად. იქნებ ბევრ თქვენგანს გრამატიკის გაგონებაზე თვალწინ წარმოუდგეს არასასიამოვნო სურათი, რომელიც მას საშუალო სასწავლებელში სხვადასხვა ენის გრამატიკის შესწავლის დროს განუცდია. ეს აიხსნება მით, რომ საშუალო სასწავლებელში გრამატიკას უყურებენ როგორც მართლწერისა და სწორმეტყველების შემსწავლელ ჯელოვნებას, ხშირად გრამატიკა ჩრდილავს ენას, გრამატიკა იქცევა შესწავლის თვითმიზნად და ენა კი შეუსწავლელი რჩება. გრამატიკა უწერს კანონებს იმის მაგიერად, რომ თითონ იყოს მხოლოდ და მხოლოდ ენის მრავალფეროვნებისა და მისი წარმოშობის ახსნა-განმარტება. უმაღლეს სკოლაში კი ასეთ გრამატიკა-ჯელოვნებას ადვილი არა აქვს, ან არ უნდა ჰქონდეს, ჩვენთვის გრამატიკა არის ენათმეცნიერება, ე. ი. ენის შესწავლა-შემეცნება, მისი წარმოშობის, თანდათანობითი განვითარების და მის მოვლენათა სხვადასხვაობის ახსნა-განმარტება.

არის თუ არა ენა ღირსი ასეთი მეცნიერული კვლევა-ძიებისა და შესწავლისა? რასაკვირველია, არის. რა არის ენა ადამიანისათვის? – ადამიანის უნიშნობლივესი თვისება;

თვისება, რომელიც გარდაუვალ უფსკრულს სდებს ადამიანთა და სხვა ცხოველთა შორის, არის ენა, მეტყველება და მეტყველებასთან დაკავშირებული აზროვნება. ცხოველები არიან უტყვენი ანუ პირუტყვენი და მასთან ერთად ბრმა მორჩილი თავისი ინსტიქტისა, არამოაზროვნე ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ადამიანი კი არის მეტყველი, მოაზროვნე, მზრახველი. მზრახველი, მიაქციეთ ყურადღება ამ ტერმინს. ის შესანიშნავია იმ მხრივ, რომ ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს როგორც აზროვნებას, ისე მეტყველებას და თუ ახლა ის უფრო აზროვნების ანუ ფიქრის მნიშვნელობით იხმარება, ძველ მწერლობაში მას ლაპარაკის, სიტყვის მნიშვნელობა აქვს: კეთილი მზრახველი (კარგი მოლაპარაკე, მჭევრმეტყველი), ეზრახა მას (ელაპარაკა მას). ბერძნული λόγιος სწორედ ამნაირადვე ერთდამავე დროს აღნიშნავს როგორც სიტყვას, აგრეთვე აზრს. დიახ, ენა და აზროვნება მჭიდროდ არის ერთიმეორეზე გადაბმული, უკეთ რომ ვთქვათ, ეს ერთი და იგივეა: უსიტყვოდ არ არის აზრი სრული და სიტყვა უაზროდ ნამდვილი სიტყვა არ არის, არამედ კაჭკაჭისა და ჩხიკვთა ლაპარაკი. ამდენად, ბატონებო, ენა არ არის ჩვენთვის აზრთა და გრძნობათა გაცვლაგამოცვლის მხოლოდ იარაღი, როგორც ბევრს ჰგონია, არა, ის თვით ჩვენი #74#

აზროვნების განუყოფელი ნატყუბარია, აზრი შინაგანი ენაა, უჩინარი, უხილავი, სიტყვა კი მისი დროებითი გამოჩენაა, გამომჟღავნებაა ბგერათა საშუალებით. როდესაც ჩლუნგდება ერთი, ჩლუნგდება მეორეც და უდიდესი ტრადედია ერისა იმაში მდგომარეობს, როდესაც მას ენაზე კლიტეს დაადებენ. სრულიად ბუნებრივია, თუ დამონებული ერი თავისუფლების პირველ დღიდგანვე ამ კლიტეს აღებს ან სტებს და ენას თავისუფლებას ანიჭებს.

ამნაირად, ბატონებო, ენის დიდი მნიშვნელობა კაცობრიობის თუ კერძო ერის ცხოვრებაში უქველია და ის ღირსია ყოველმხრივი შესწავლისა. მე არ გამოვუდგები აქ იმის განხილვას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლას სხვადასხვა მეცნიერებისათვის, მაგალითად. ისტორიისათვის. [ენა შესწავლის] ღირსია, რადგანაც ის არის ადამიანის უნიშნობლივესი თვისება და ამ მხრივ ის შესწავლის თვითმიზნად შეიძლება დაისახოს კაცმა და ამავე დროს ის არის იარაღი ყოველგვარი ცოდნისა.

ამ სემესტრში თქვენ მოისმენთ ჩემი კოლეგის გიორგი ახვლედიანის კურს[ს] „საზოგადო ენათმეცნიერები დან“, სადაც დაწვრილებით განხილული იქნება ენათმეცნიერების მნიშვნელობა. მე მინდა დღეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითით დაგისურათოთ, თუ რას ნიშნავს ენის მეცნიერულად შესწავლა და რას ააშკარავებს ის.

ენის მეცნიერულად შესწავლა ააშკარავებს სხვათა შორის იმ საკვირველ ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა აზრი და მისი გარეგანი გამოხატულება სიტყვა ერთიმეორის ტყუბებია და, მაშასადამე, სიტყვა მუდამ უნდა ხატავდეს ერთსა და იმავე აზრს, იმ აზრს, რომელმაც ის პირველად წარმოშვა, ეს ასე არ არის. ხშირად სიტყვას ეძლევა დამოუკიდებელი ძალა და ის გავლენას ახდენს აზროვნებაზე, ის გვიკარნახებს ამა თუ იმ აზრის მიღებას. რატომ ხდება ეს? მისთვის რომ სიტყვა იცვლება, მისი ფორმა მუდამ რყევაშია, რადგან მერყევი არიან ის მარტივი ერთეულები, რომელთა შეერთებას სიტყვები და წინადადებანი წარმოადგენენ. მე მოგახსენებთ ბგერებზე ანუ ხმებზე, მეცნიერული გრამატიკის პირველი ნაწილი სწორედ ბგერათ შესახებ სწავლა, ეგრეთწოდებული ფონეტიკა[ა] (φωνή ხმა, ბგერა). ეს ბგერანი

დაუდგარი რამ არიან, სიტყვის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან, ერთიმეორეს ენაცვლებიან, ხან სულ ქრებიან, იკარგებიან და ამნაირად ცვლიან თვით სიტყვის სახეს. ეს #75#

ვითომც არც დიდი უბედურებაა, „რა ვუყოთ, სიტყვა შეიცვალოს, აზრი კი იყოს სწორი და მართალიო“, შეიძლება ვიფიქროთ. მაგრამ სწორედ საქმეც ის არის, სიტყვის გარეგანი სახის შეცვლა იწვევს აზრის შეცვლასაც, რადგანაც, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, სიტყვა და აზრი მჭიდროდ არიან ურთიერთმორის დაკავშირებულნი. ჩვენი აზროვნება ენის, სიტყვების ფარგლებშია მომწყვდეული და ის უნებლიეთ ზოგიერთ შემთხვევაში ამ სიტყვების გავლენას ემორჩილება.

ჩვენ არ გამოვუდგებით იმის განხილვას, თუ რა იწვევს ბგერათცვალებადობას, რა და რა მიზეზია აქ მომქმედი (sic!). ამ საკითხს დაწვრილებით თქვენ გაეცნობით საზოგადო ენათმეცნიერების ლექციებზე. ჩვენ გვინტერესებს თვით ფაქტი ბგერათ შეცვლა-გარდაქმნისა და მისი შედეგები. ავიღოთ უმარტივესი მაგალითი, სიტყვის ფუძის შეცვლა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, შერყვნა წინსართის ბგერების ფუძეზე მიკერების გამო:

თავისუფლება, აქედან: **ვ-ა-თავი-სუფლებ**, **გან-თავისუფლება**, **გან-ა-თავისუფლა**. ეს გახლავთ სწორი კლასიკური ფორმები. ეხლა როგორღაც ლაპარაკობენ ან სწერენ: **გა-ა-ნ-თავისუფლა**. მაგრამ ეს რაღაა **ვ-ა-ნ-თავისუფლებ**? [ან] **ვარდგენ**? ცხადია **წარდგენა**. აქედან ჩვენ შემდეგი დასკვნა გამოგვყავს. სიტყვას ფუძის დასაწყისში თავმოყრილ თანხმოვანთაგან არა ყოველი ეკუთვნის სიტყვის ფუძეს, არამედ ზოგი მათგანი შეიძლება იყოს წინსართიდან მიკერებული. [ასეთია] **ანვითარებს**.

ხშირად ორი სიტყვა, სრულიად სხვადასხვა წარმოშობის მხრივ, ბგერათა ცვალებადობის გამო ერთიმეორეს დაემსგავსება გარეგნულად და შემდეგ შინაარსის მხრივაც, ე. ი. სიტყვის ფორმა გვიკარნახებს შინაარსს, ჩვენს აზროვნებაზე გავლენას ახდენს. **ბჟა** – მზე, და **ბჟა** – რძე. ერთი და იგივე ძირია თუ სხვადასხვა? ცხადია, სხვადასხვა, როგორც ამას ამტკიცებს მეგრულის ქართულთან შედარება: **მზე** და **რძე**. მაგრამ ხალხმა კი ორივე სიტყვა ერთნაირად გაიგო და თავისებურადაც ახსნა მზეს მიტომ ჰქვიან რძის სახელიო, ამბობს მეგრელი ხალხი, რომ მზესა და მთვარეს ერთი ჭაბუკი შეუყვარდათ. რადგანაც ვაჟი ხშირად დიდი ხნით სახლიდან მიდიოდა, დედა ეცადა, გაეგო ამის მიზეზი და გაიგო რა მზე და გიგო რა მზე და მთვარეა ამის მიზეზი, ორივეს ძროხის ნაკელი მიაყარა. მაგრამ მზე (ბჟა) იმ წამს[ვე] სარძევეში ჩახტა და ტანი გაიბანა რძეში, მთვარემ კი ეს ვერ მოასწრო და პირზე ლაქები შერჩა.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ ბგერათა ცვალებადობა არის უმთავრესი მიზეზი

#76#

ეგრეთწოდებული ხალხური ეტიმოლოგიისა. როდესაც ხალხს აღარ შეუძლია ალადგინოს პირვანდელი სახე სიტყვისა, ერთმანეთს უახლოვებს ორს სულ სხვადასხვა ძირს და ქმნის ფანტასტიურ ახსნა-განმარტებას: აი, ბატონებო, აქედან წარმოსდგება **მითი**.

[საილუსტრაციოდ მიწერილია სიტყვები: ფარცხ[ნ]ა[ლ] – ნაყანევი, **ლეკი** – წალეკეა და ლეკი – თხლე].

ბგერათა შესახებ სწავლა ანუ ფონეტიკა შეადგენს დიდად მნიშვნელოვან ნაწილს ყოველი ენის გრამატიკისა და ამასთანავე პირველ, დასაწყისს ნაწილს. თუ უწინ გრამატიკა ანბანის შემდეგ პირდაპირ მორფოლოგიაზე გადადიოდა, ეხლა ამ უკანასკნელს წინ უძღვის ფონეტიკა და, რაც უფრო ვრცელი, – მით უკეთესი.

ბგერა ენაში არის ის, რაც ქიმიაში ატომია. და თუ რთულ სხეულებზე მსჯელობა და მათი შეგნება შეუძლებელია ატომის ყოველგვარი შესწავლა-განხილვის გარეშე, აგრეთვე შეუძლებელია ენის მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური (ბრუნება ანუ კანკლედობა, უღვლილება ანუ მიმოხრა, სიტყვათა წარმოება), გინა სინტაქსური მხარის ჯეროვანი შესწავლა-ახსნა.

ფონეტიკა ასწავლის ბგერათა ცვალებადობას, ისტორიულს თუ დიალექტურს ანუ კილოკავურს. და იძიებს იმ კანონებს, რომლებიც განაგებენ ამ ცვალებადობას. ბგერათა ცვალებადობა სხვადასხვა რიგია, სხვადასხვა ნიადაგზე[ა] აღმოცენებული. სხვათა შორის ერთ-ერთ ნიადაგად ითვლება ბგერათა ასიმილაცია (დამსგავსება) და დისიმილაცია (განმსგავსება). დღეს მე მსურს მოკლედ გავაცნო პატივცემულ საზოგადოებას ის კანონები, რომლებიც განაგებენ ანუ აწესრიგებენ ბგერათ დამსგავსებისა და განმსგავსების მოვლენებს“...

ამას მოჰყვება შავად შესრულებული თარგმანი იმ შრომისა, რომელიც ი. ყიფშიძემ შესავალ ლექციად წაიკითხა 1915 წლის 9 ოქტომბერს, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პრივატ -დოცენტმა, და რომლის გორგაძისეული ქართული თარგმანი „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“ დაიბეჭდა 1919 წელს (ტფ. უნივ.-ის მოამბე, 1, გვ. 1-8). ამიტომ, თუმცა რუსულ ავტოგრაფთან შედარებით ყიფშიძისეულ ქართულ თარგმანში ცვლილებებია შეტანილი, მისი ხელახლა დაბეჭდვა მიზანშეწონილად მაინც არ ჩავთვალეთ.

6. „ქართული მართლწერა“. ქართული მართლწერის საკითხები ხშირი და მწვავე კამათის საგანი იყო მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული. სხვა ფაქტორებთან #77#

ერთად ამის ერთ-ერთი მიზეზი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის უქონლობაც იყო. ამიტომ გასაგებია, რომ 1918 წლის გაზაფხულზე დაარსებული ქართული უნივერსიტეტი და მისი ერთი უპირველესი ქართული ენის კათედრა ენის მეცნიერულ შესწავლასთან ერთად გადაუდებელ სამუშაოდ თვლიდა მართლწერის საკითხების მოგვარებას. ქართული ენის პრაქტიკული საკითხების თაობაზე უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლიდანვე იმართებოდა საგანგებო სხდომები, რომლებზეც, ი. ყიფშიძე გამოდიოდა მოხსენებებითა და პროექტებით. მეცნიერის არქივში დაცულია ასეთი მოხსენება-პროექტის („ქართული მართლწერის“) ავტოგრაფი. სამწუხაროდ, არა ჩანს, როდის და რომელ სხდომაზეა ეს მოხსენება წაკითხული. აქვე ინახება შავად სამუშაო ცალკე ფურცლებზე ამოწერილი მასალები, რომელიც ი. ყიფშიძეს ამოუკრებია სხვათა (ს. ხუნდაძის, თ. ჟორდანიას, თ. სახოკიას...) გრამატიკული შრომებიდან, ან ასეთ შრომებზე დაწერილი (პ. ჭარაიას, ი. აბულაძის...) პოლემიკური სტატია-რეცენზიებიდან, მაგალითად, ს. ხუნდაძის „სალიტერატურო ქართულის“ მონაცემების საფუძველზე ი. ყიფშიძეს ასეთი შენიშვნები

გაუკეთებია სადავო ფორმებზე: ველოდი თუ ველოდდი, გყავსთ თუ გყავთ, ვიყო თუ ვიყვე, დასდვა თუ დასდო, ტანისსამოსი თუ ტანისამოსი და სხვ.

პ. ჭარაიას ვრცელი რეცენზიიდან ს. ხუნდაძის წიგნზე „სალიტერატურო ქართული“ („ივერია“, 1904, № 142, 144) მეცნიერს ამოუწერია მისთვის საინტერესო მასალები და ცალკე ფურცელზე აღუნიშნავს: პ. ჭარაია ამბობს: 1) ძველად იყო: ვინმე, ვისიმე, ვისმე; შემდეგ გაჩნდა: ვისმეს, ვისმესი; ბოლოს: ვინმე, ვინმეს, ვინმემ. ეს უკანასკნელი უნდა დარჩეს; 2) აღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღიარებო; 3) უნდაო: შევიტყვე და არა შევიტყე, რადგან ძირია ტყუ (სი-ტყუ-ა); 4) უნდაო: ვყოფილვარ, ვყოფილიყავ. ეს ფორმები ენის ფორმაციის ნაყოფიაო. ძველად იყო: ყოფილ ვიყავ, შემდეგ: ვყოფილვიყავ, ბოლოს: ვყოფილიყავ; 6) ცდა უნდაო და არა ცთა: დაცდა, დამიცადეო და სხვ.“

ი. ყიფშიძეს უხვად ამოუწერია ფურცელზე ენის სადავო ფორმებზე მასალები თ. სახოკიას შრომიდან „ქართული ენა (თანამედროვე ლაპარაკი და წერა“), რომელიც იბეჭდებოდა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე 1911 წელს (№ 340, 343-346, 348). მოგვყავს ზოგი მათგანი: 1) ვუკეთებ, ვუკეთებდი; 2) გწერსთ (ის თქვენ) და არა გწერთ: 3) ვსწერთ მაშინ #78#

უნდაო, როცა სხვას მივუწერთ, ხოლო თუ ჩვენთვის, მაშინ: ვწერთ; 4) წერდენ უნდა და არა წერდენ-ო; 5) უნდაო: დაბრუნებულვარ და არა: „სნეული დავბრუნებულვარ“; ჩამოვვარდები და არა ჩამოვარდები, განვვლე, ვვარგობ და სხვ; 6) უნდაო: აღვიარებ და არა ვაღვიარებ, არც ვაღიარებ: უარვყოფ და არა ვუარვყოფ; 7) დაგადგამ და არა დაგადგავ; ვხურავ და არა ვხურამ; 8) „ექიმი ავათმყოფებს იღებს“ არ ვარგაო, „შინჯავს“ უნდაო: სტუმარს „დავხვდებიო“ და არა „მივიღებო“; 9) არ მოსწონს ფრაზა „აღტაცებაში მოიყვანა“, „ეს წიგნი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე“, უნდაო: მოახდენ; 10) უნდაო: თთვე და არა თვე, დაა და არა და, წმიდა და არა წმინდა (წმიდა კაცი, წმიდა წყალი – აიაზმა, მაგრამ წმინდა ჰაერი); 11) უნდაო: საქალეო გიმნაზია, სამშენებლო კომისია და არა: ამშენებელი; საყოველღეო გაზეთი და არა: ყოველღეო, სამუსიკო სკოლა და არა: მუსიკალური; 12) ორი უკუთქმა უკანონოა: „არაფერი არ მინდა“ და სხვ.; 13) ღმერთივით მიყვარს და არა ღმერთსავით მიყვარს...

არა ჩანს ასეთი პარალელური ფორმებიდან ი. ყიფშიძე რომელს აძლევდა უპირატესობას, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: მისი მუდმივი ზრუნვის საგანი ყოფილა ქართული ორთოგრაფია და ის თავიდანვე სწორ მეცნიერულ საწყისებზე მდგარა. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა მისი ს. გორგაძისადმი 1915 წლის 26 თებერვალს გაგზავნილი წერილი [ინახება მეცნიერის არქივში, რომელიც დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ს. ფ. 24109]. ეს პირადი წერილი ფაქტიურად არის მეცნიერული შრომა, რომელშიც მკაფიოდ არის წარმოდგენილი ფუძემდებლური თეზა: ქართულ მართლწერაში სადავო საკითხების მოგვარება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და არა მხოლოდ რომელიმე (ფონეტიკური, გრამატიკული, ისტორიული...) პრინციპისადმი

ბოლომდე ერთგულებას. ეს წერილი წარმოადგენს იმ კითხვებზე პასუხს, რომლებითაც მიუმართავს მისთვის მართლწერის დამდგენი კომისიის სახელით ს. გორგაძეს.⁵⁷ ქვემოთ #79#

მოგვყავს წერილის ის ნაწილი, რომელიც უთუოდ ქართული მართლწერის ისტორიის ორგანული და ღირსსაცნობი ფურცელია.

„... ეხლა ორიოდ სიტყვა ქართული მართლწერის შესახებ, რასაკვირველია, არსებობს ქართული მართლწერაც. წინააღმდეგ შემთხვევაში არც თვით ასეთი საკითხი წამოყოფდა თავს და არც ის არევ-დარევა იქნებოდა წერის დროს, როგორც ეს არის დღეს მთელ ჩვენს ლიტერატურაში და ჟურნალ-გაზეთობაში და რომლის არშემჩნევა მხოლოდ უსინათლოს თუ ეპატივება. მართლწერის უარყოფა რამოდენიმედ კიდევ შესაძლოა ამა თუ იმ კილოკავის ფარგალში, სადაც საუკეთესოდ არის მიჩნეული ფონოგრაფიული ჩაწერა, ე. ი. გამოთქმასა და მის ნიშნებით აღნიშვნაში სრული თანხმობა, მაგრამ ყოვლად უსაფუძვლოა და ფაქტების ხელოვნური უარყოფა სალიტერატურო ენაში, რომელიც ერთგვარი ხელოვნური სინთეზია სხვა და სხვა კილოკავთა და ენათა თავისებურობისა.

რას უნდა ემყარებოდეს მართლწერაო, მეკითხები. სრულიად მართალია, რომ სინტაქსს ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში, სასვენი ნიშნები ზოგიერთ ენაში სრულიად არ არსებობს და ქართველებმაც უნდა შევამციროთ მათი ხმარება, თორემ რუსულ ყაიდაზე შემოდებულმა „მძიმეებმა“ ლამის მთლად დაამძიმოს ჩვენი ენა! უმთავრესი, რასაკვირველია, ფონეტიკა და მორფოლოგიაა, მაგრამ ხშირად მათში ცილობა ხდება და არ იცი, რას მისცე უპირატესობა. საკითხს ართულებს აგრეთვე ისტორიული მართლწერის არსებობა. მე მოკლედ გაგიზიარებთ ქვემოთ ჩემს მოსაზრებას ზოგიერთ სადავო საკითხის #80#

შესახებ. მაგრამ უნდა მოგახსენო, რომ ძლიერ აჩქარებულად მიმდინარეობს საბოლოოდ გადაწყვეტა, როგორც ეს ზოგიერთებს მოუსურვებიათ მად. ხელთ არა გვაქვს არც

⁵⁷ სერგი გორგაძე დაულალავად იღწვოდა ქართული ფილოლოგიის დაწინაურებისათვის. საყურადღებოა მისი შრომები და გამოცემები: „ქართული წყობილსიტყვაობა“ (1912), „ბესიკი“ (1912), „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“ (1915), ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (პეტრიწის თარგმანი, 1914), „ქართული სადასიტყვაობა“ და სხვ. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მართლწერის საქმეშიც. ს. გორგაძეს გაუთვალისწინებია ი. ყიფშიძის აქ მოყვანილ წერილში გამოთქმული აზრები და 1915 წლის სექტემბერს წაუკითხავს ვრცელი მოხსენება ქართული მართლწერის საკითხებზე სპეციალისტების წრის სამ სხდომაზე, რომელსაც დასწრებიან: ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროყვა. ეგვე მოხსენება მერმე მოუსმენიათ და გაურჩევიათ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრების სამ სხდომაზე (20 ოქტ., 21 ოქტ., 5 დეკ.). გადამუშავებული სახით ეს მოხსენება გამოიცა კიდევ (ს. გორგაძე, ქართული მართლწერა, ქუთ., 1916) რომელშიც საფუძვლიანად არის განხილული არის არა სადაო ქართული მართლწერის დადგენისას გასათვალისწინებელი ისეთი პრინციპები, როგორიცაა გრაფიკულ-ფონეტიკური, ეროვნულ-კულტურული, ევოლუციური, ისტორიულ-გენეტიკური, მორფოლოგიური, კეთილხმოვნებისა და სინტაქსურ-ლოგიკური (გვ 7-21).

ისტორიული გრამატიკა და არც კილოკავების დღევანდელი სახის შესწავლა, არც საუკეთესო მწერლების კრიტიკული გამოცემა. მით უფრო აჩქარებულად მიმაჩნია, რომ მარის გრამატიკა ქართული ენისა ამ წლის ბოლომდის უსათუოდ დაიბეჭდება შემოკლებულად მაინც. შანიძემ თავის გამოკვლევის ბეჭდვა უკვე დაიწყო და მალე (ამ ზაფხულში მაინც) დამთავრდება. მეც ვაპირებ ამ ზაფხულში ამ საკითხზე წამუშავებას, რადგან უნდა შევადგინო სახელმძღვანელო კურსებზე ჩემი მსმენელებისათვის. ასეთი საკითხის „ხმის უპირატესობით“ გადაწყვეტა არ იქნება, მით უმეტეს, არ იქნება ის საბოლოო!

მაშ ფონეტიკა თუ მორფოლოგია? **სახლითგან** თუ **სახლიდგან**? თუმცა მორფოლოგია მოითხოვს სახლითგან და მას მხარს უჭერს ისტორიული ორთოგრაფიაც, მაგრამ, ჩემის აზრით, აქ უპირატესობა უნდა მიეცეს მეორე ფორმას და აი რატომ: ძველად თანდებულ **გან**-ს არ ჰქონდა იმდენი ძალა მოქმედებით ბრუნვასთან, როგორც ეხლა აქვს, ხშირად არც კი იწერებოდა ის სრულებით: სახლით გამოვიდა, მაღლით გარდამოხდა და სხვ. ანდა თუ იწერებოდა, როგორც ცალკე სიტყვა: **სახლით გან** და არა შეერთებულად, როგორც ეხლა ვწერთ. ამ შეერთებამ კი „თ“ „გ“-ს წინაშე აქცია „დ“-[დ] და მას შეუდულა ისე ძლიერ, რომ „გ“ იკარგება და „დ“ მაინც რჩება: **სახლიდან**. ეს უკანასკნელი შემოკლებული ფორმა, ჩემის აზრით, ყველას სჯობია და მას რო[მ] გავაბატონებდეთ, კარგი იქნება, ანდა ვიხმაროთ ორივე. ამავე მოსაზრებით უნდა დაიწეროს **ქვიტკირი** (ქვითკირის ნაცვლად). მაგრამ ყოველთვის ფონეტიკას ვერ დავემორჩილებით, ხან მორფოლოგიას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, მაგ., მიაღწია და არა მიახწია, თუმცა, „წ“-[ს] წინაშე „დ“ ისმის როგორც „ხ“. აქ ისტორიული „მართლწერა“ უცვლელად უნდა დავტოვოთ, რადგან ისეთი სერიოზული ცვლილება, როგორც პირველ ორ მაგალითშია, ამ შემთხვევაში არ მომხდარა. ზმნების თავსართებში საზოგადოდ მორფოლოგიას უნდა მიეცეს უპირატესობა. სალიტერატურო ენაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არც იმერულ **მევიდა**-ს და არც ქართლ-კახეთის ზოგიერთი კუთხის **მავიდა**-ს. #81#

ქართლ-კახურ კილოს უპირატესობა, რასაკვირველია, შერჩება, მაგრამ ეს უპირატესობა ბატონობად არ უნდა გადაიქცეს. გაცილებით უკეთესია იმერული „მოვიდენ“ და სხვა, ვინემ ქართლური „მოვიდნენ“. ჩემის აზრით, საჭირო არ არის ორივე ფორმის დატოვება და სხვა და სხვა მნიშვნელობით ხმარება. ეს ნამეტურ ხელოვნური გამოვა და აზრის სიფაქიზესა და გარკვეულობას ვერ შეიმატებს. ყოვლად შეუძლებელია აზრით ერთმანეთში ვერ გაარჩიო: ისინი მოვიდენ, ისინი უნდა მოვიდნენ, ან: ნეტავი მოვიდენ და სხვ... ამავე მოსაზრებით მე მგონია ხელუხლებლად უნდა დარჩეს ისტორიული მართლწერა იმ ზმნისზედათა, რომლებიც „დ“-ით თავდებიან. **კაცად** გახდა და **კარგად** გახდა მორფოლოგიურად ერთი და იგივეა და მართლწერაში მათი განსხვავება, ვითომდა აზრის უფრო ნათლად გამოსახატავად, საჭირო არ არის, აზრს არც აქ მოელის რამე დაბრკოლება. აქ ის განსხვავება მაინც არის, რომ ზმნისზედად იხმარება უმეტეს ნაწილად ზედსართავის ეს ფორმა და რა ვუყოთ იმ შემთხვევას, როდესაც თვით არსებითი სახელი ერთსა და იმავე ფორმაში ხან ზმნისართია და ხან კი სახელი არსებითი, მაგ., დღეს ბაღში ბევრი ხალხი იყო; დღეს გაზაფხულზე თანდათან ემატება და სხვ... აქ უფრო საფიქრებელია აზრის არევა, მაგრამ რა გაეწყობა, მართლწერას ვერ შევცვლით. რაც შეეხება ზმნას პირველ პირში, ჩემის აზრით, „ვ“ ყოველთვის უნდა

იწერებოდა. აქ მორფოლოგიას უნდა მიეცეს უპირატესობა, მით უმეტეს რო[მ] უთხარი-სთან ერთად პირველ პირში ვუთხარი-ც ხშირად ისმის. მესამე პირის ობიექტის მაჩვენებელი „ს“ (ჰ) უსათუოდ უნდა იწერებოდა, როდესაც ის უჩვენებს მიცემით ბრუნვას: მისწერა (მას), მისცა (მას), დასცა (მირს) და სხვ. ხოლო როდესაც ის უჩვენებს სახელობით ბრუნვას, ჩემის აზრით, უკეთესი იქნება, სულ არ დაიწეროს; მან თქვა, მან მოკლა და სხვ. აკაკი შანიძე ცდილობს დაამტკიცოს, როდესაც ის სახელობით ბრუნვაშია დასმული, აღნიშნული არ არის, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დასმულია მიცემით ბრუნვაში. შეიძლება ასეთი მტკიცება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ რომ ასე უფრო მარტივდება საკითხი, ეს ცხადია.

თუმცა ნაჩქარევად საკითხი წამოყენებული და კიდევ უფრო ნაჩქარევა მისი საბოლოო გადაწყვეტა, მაგრამ სრულიად ვამართლებ საქციელს, რომ მონაწილეობას #82#

დებულობ. ამის შესახებ ვუკოლსაც მივსწერე ამას წინად. რასაკვირველია, საბოლოო არ იქნება მაგ კომისიის გარდაწყვეტილება. თუკი თვით ფრანგები, უკიდურესი კონსერვატორები ამ შემთხვევაში და მიმდევარნი ისტორიული მართლწერისა, დროგამოშვებით მაინც იძულებული ხდებიან ცოტა რამ ცვლილება შეიტანონ მართლწერაში, მით უმეტეს ჩვენ დაგვჭირდება საკითხის კიდევ ბევრჯერ გადასინჯვა. მაგ კომისიის მუშაობას ცოტაოდენი გაუმჯობესება რო[მ] მოჰყვეს და რამოდენიმედ მაინც ერთგვარობა დაამყაროს ეხლანდელი ქაოსის მაგიერ, ესეც ძლიერ კარგი იქნება.

შენი ძმა იოსები“.

სრულებით ბუნებრივია, რომ ი. ყიფშიძეს ქართულ უნივერსიტეტში მუშაობის პირველ დღეებიდანვე აქტიურად მოუკიდია ხელი ქართული ორთოგრაფიის საკითხების შესწავლისათვის. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მეცნიერის არქივში დაცული ხელნაწერი მოხსენება „ქართული მართლწერა“, რომელიც ვფიქრობთ, ქართული ორთოგრაფიის ერთ-ერთი პირველი მეცნიერული პროექტია მართლწერის განმსაზღვრელი ზოგადი პრინციპების რაობაზე და ორი თუ სამი წლით უსწრებს ქართული ორთოგრაფიის პირველ ოფიციალურ ნაბეჭდ პროექტს. ეს უკანასკნელი („სალიტერატურო ქართულისათვის“) გამოქვეყნდა 1921 წელს, რომელიც შეადგინა კომისიამ, რომლის წევრები იყვნენ: გ. ახვლედიანი, ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე (თავმჯდომარე). საბედისწერო ბრმა შემთხვევითობას უნდა მიეწეროს ის გულსატკენი ფაქტი, რომ ამ პროექტის შემდგენელთა შორის აღარ მოიხსენიება მეცნიერულ საწყისებზე დაფუძნებული ქართული ორთოგრაფიის უპირველესი მოამაგე იოსებ ყიფშიძე. ქართული ორთოგრაფიის ისტორიისათვის ფრიად ფასეულია ი. ყიფშიძის ზემოდასახელებული მოხსენება, ამიტომ აქვე თითქმის უცვლელად ვაქვეყნებთ მას ავტოგრაფიის მიხედვით (ს. ფ. 24093/454):

ქართული მართლწერა

წინა კრებაზე მიღებულ იქნა ორი დებულება.

1. აქ შესდგება ენის მცოდნეთა კომისია, რომელიც შეიმუშავებს და გამოარკვევს მართლწერის ნორმებს, მაგრამ მის მუშაობას ექნება მხოლოდ მოსამზადებელი ხასიათი. მისი #83#

ნამუშევარი წარედგინება უფრო კომპეტენტურ ყრილობას, რომელშიც უსათუოდ მოწვეული იქნებიან ქართული მეტყველების ყველა სპეციალისტ-მეცნიერი. ეს ყრილობა განიხილავს კომისიის ნამუშევარს და მართლწერის რომელ ნორმებსაც ის დაადგება საბოლოოდ, მხოლოდ ის ნორმები იქნება გამოცხადებული სავალდებულო ნორმებად – როგორც პრესაში, [ასევე] სახელმძღვანელოებსა, სკოლებსა და ცხოვრებაში.

2. ზოგიერთები მართლმეტყველებასა და მართლწერას ერთმანეთში ურევენ, ისე უნდა ვწერთ, როგორც ვმეტყველებთ, და ისე უნდა ვიმეტყველოთ, როგორც ვწერთ, პრინციპების ასეთი აღრევა შეუწყნარებელია. რაგინდ მართლადაც ვმეტყველებდეთ, ჩვენ მაინც ვერ დავსწერთ ისე, როგორც გამოვთქვამთ სიტყვებს და რაგინდ მართლადაც ვსწერდეთ, მაინც სასურველი არაა და არც მოსახერხებელია მთლად ისე გამოვსთქვათ, როგორც დაწერილია წმინდა ფონეტიკური პრინციპის გაბატონება ორთოგრაფიაში და წმინდა ორთოგრაფიული პრინციპის გაბატონება დიქციაში აბსურდია. იგი არც შესაძლებელია და არც სასურველი. ორთოგრაფია მუდამ არსებობდა და იარსებებს ქართულ სამწერლო ენაში, როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიის აუცილები (sic!), მაგრამ მათგან მაინც განსხვავებული დამატება, რომელსაც მიზნად აქვს ერთმანეთში მოარიგოს – მოათანხმოს ენის მუდამ ცოცხალი, მდიდარი და ელასტური ფონეტიკური მხარე – ენის დანარჩენს მორფოლოგიისა და სინტაქსის შედარებით უფრო ღარიბ და უძრავ მხარეებთან.

დღეს კი გამოსარკვევი გვაქვს შემდეგი საკითხი:

1. როგორც მოგახსენეთ, წმინდა ფონეტიკური პრინციპის გაბატონება ორთოგრაფიაში შეუძლებელია და არც სასურველია მაშ, რა უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს მართლწერას? რას უნდა ვემყარებოდეთ წერის დროს, ენის რომელ მხარეს?

რომ ჩემი კითხვა უფრო გასაგები იქნეს, შემდეგის მაგალითით დავიწყებ:

ა) ძველად იყო: ტფილისი (ტფილი)

ახლა ვამბობთ: თბილისი (ქართლ. კახ.), თფილისი (იმერ.).

ფონეტიკური კანონით ტფ > თფ.

ბ) ძველად იყო: იგინი გუმინ მოვიდეს („ვეფხისტყაოსანში“ და სხვ.).

#84#

ახლა ვამბობთ: მოვიდნენ (ქართლ. კახ.), მოვიდენ (იმერ.).

(ძველად ნ ჩაერთოდა ხოლმე, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით და არა მარტო მრავლობითის რიცხვის მესამე პირში, არამედ სხვა პირებშიც: დაიმორჩილნეს, შეეღებნეს, დავაწბილენით...).

იკითხება: როგორის გზით გამოვიდეთ ამ მრავალგვარობიდან? რას დავემყაროთ? ფონეტიკურს თუ მორფოლოგიურს? თუ ფონეტიკურს, – როდინდელს ან რომელს? ძველს თუ ახალს? იმერულს თუ ამერულს? აგრეთვე – მორფოლოგიურს რომელს: ძველებურს თუ ახალს? იმერულს თუ ამერულს?

ჩემი პროექტი: ა) თუმცა მართლწერაში წმინდა ფონეტიკური პრინციპი აბსურდია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც ფონეტიკას აქ ადგილი არ უნდა ექნეს. პირიქით, მართლწერის მთავარი ბაზისი, მისი მასაზრდოებელი წყარო ფონეტიკა ყოფილა, იქნება და უნდა იქნეს.

ბ) მაგრამ როცა ენის ფორმები ფონეტიკურად ფრიად ცვალებადობენ დღევანდელ ცოცხალ ქართულში, მაშინ უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ფონეტიკურად კანონზომიერ ფორმებს, რომელნიც ენის ძველ ფორმებთან უფრო ახლოს არიან (ე. ი. საჭიროა, რაც შეიძლება ნაკლებ შევასუსტოთ კავშირი ახალის სალიტერატურო ენისა მის დედა – ძველ ენასთან).

გ) ხოლო როცა ახალ ფორმებს ძველში არა აქვს ანალოგია, მაშინ უპირატესობა უნდა მიეცეს ამერულ ფორმებს (თანამედროვე სალიტერატურო ენის საფუძველს). მაშასადამე, უნდა ვწეროთ: ა) თფილისი, ქუთაისი; ბ) მოვიდნენ (|| მოვიდენ);⁵⁸ გ) სოფლიდგან, სოფლიდან (|| სოფლიდამ); დ) კაცად, კარგად; ე) რათა (|| რადა).

2. ჩვენი მუშაობის საგანი იქნება ორთოგრაფია; მაგრამ რადგან იგი შეკავშირებულია ენის ყველა მხარესთან, ამიტომ არ შეგვიძლია ამ მხარეებზედაც (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) არ ვილაპარაკოთ, მაგრამ ამ უკანასკნელთ ჩვენ უნდა შევეხოთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათთან კავშირი აქვს ორთოგრაფიას.

3. სინტაქსისთან (sic!) დაკავშირებულია ორთოგრაფიის მთელი ერთი მხარე: სასვენებელ ნიშანთა ხმარება; ამის შესახებაც მოგვიხდება ხანგრძლივი თათბირი. აგრეთვე #85#

რთული სიტყვებისა და თანდებულების გადაბმა (თუ გადაუბმელობა), აგრეთვე შემოკლებულის ზმნისა ა (< არს) და სხვისი ნათქვამის „ო“-სი და „მეთქი“-სა.

4. ფონეტიკასთან კავშირი აქვს ახალი ასოების (ან ძველის) შემოღებას: დ და სხვ.

[მახვილიანი და მოკლე ხმოვნები]:

ჰ: აწყენა, დაპარსა, შეპშინა, მრწყენა, მრპშორა, ყრუპშვილი...

ჟ: წაწყენა, ჩაპშინა, შეპშინა, მრპშინა, მრეშვა...

რ: ვარ, პარ, წარყენა, ჰერ, შერყენა, ჰორ, დრორ, ურ, სტყურს...

რ: თარსანი, მერრდება, ამროხრა, მრორგულა, მროხრება...

შ: გაშუგზავნა, დაშუწერა, შეშუგზავნა, მრშუყვანა, მრშუყვანა, უშუსქესი...

რ ნასესხებ სიტყვებში: სრუჟეტი, ილრუზია, გროტე, ნრუორკი...

ეს ბოლო ნაწილი, რომელსაც ჩვენ პირობითად ვუწოდებთ „მახვილიანი და მოკლე ხმოვნები“) ცალკე ფურცელზეა დაწერილი და არა ჩანს, მოხსენების ორგანული ნაწილია თუ არა (უფრო არ უნდა იყოს). მაგრამ მის შემოკლებულ დაბეჭდვასაც კი გარკვეული ინტერესი ახლავს. ი. ყიფშიძეს ისეთი ფორმები შეურჩევია, რომლებშიც ხუთივე ხმოვანი პოზიციურად მოკლდება წინა მახვილიანი ხმოვნების გვერდით (გარდა ნასესხები სიტყვებისა). აქედან ცნაურდება, რომ ეს მასალა იმდენად ორთოგრაფიის მიზნით კი არ არის შერჩეული და

⁵⁸ რადგან ძველებური ინფიქსი „ნ“ და ეს ახალი „ნ“ ერთი და იგივე არ არის [ავტორის შენიშვნაა – ვ. დ.]

მოხმობილი, არამედ უფრო ფონეტიკური, ე. ი. ხმოვანთა პოზიციური დახასიათების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერის არქივში დაცულია ფურცლის პატარა ნაჭერიც, რომელსაც ზევით ხაზგასმით აწერია „რეზიუმე“ აქ მოყვანილია ორთოგრაფიულად გამართული ორი ფრაზის ნიმუში, რომლებშიც გატარებულია მართლწერის რამდენიმე პრინციპი ერთობლივ (თანაც სადაო ფორმების მერყევ ნაწილზე ხაზია გასმული). ი. ყიფშიძე წერს: „ავიღოთ ორი ფრაზა: 1. აუცილებლად საჭიროა – ენის ევოლუციას მივსდით. 2. მამა შვილსა სწვრთნის: ყველაფერში სიმართლე უნდა აღვიაროთ.

ამ ფრაზებში სავსებით დაცულია ყველა ზემოჩამოთვლილი პრინციპი: გრაფიკულ-ფონეტიკური, ეროვნული, ევოლუციონური, გენეტიკურ-კულტურული, მორფოლოგიური, ისტორიული.... სინტაქსურ-ლოდიკური, საერთაშორისო და საპუნქტუაციო“.

#86#

მართალია, ი. ყიფშიძის მიერ ორთოგრაფიულად გამართული ფრაზების ზოგიერთი სიტყვა და თვით „ქართული მართლწერის“ პროექტში მართებულად მიჩნეული ორიოდე ფორმა ახლა კანონიკურად არ მიიჩნევა, მაგრამ დღეს, ექვსი ათეული წლის შემდეგ, ეს სავსებით კანონზომიერია: ენის ცვალებადობასთან ერთად იცვლება ორთოგრაფიაც. ამიტომაც, რომ თვით სასწავლო კომიტეტის მიერ 1921 წელს მიღებული ოფიციალური პროექტი „სალიტერატურო ქართულისათვის“ დასაშვებად თვლიდა ისეთ ფორმებს, რომლებიც კარგა ხანია მიუღებლად მიჩნეული: ტფილისი, აღვიარებ, გთხოვსთ (ის თქვენ), თამაშობდენ, მოვიდენ და სხვ.⁵⁹

არსებითი მაინც ისაა, რომ ზემომოყვანილი მასალებით საცნაური გახდა ი. ყიფშიძის მოღვაწეობის დღემდე თითქმის უცნობი მხარე – ქართული მართლწერის უბანი. გადაუჭარბებელი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ი. ყიფშიძემ ერთ-ერთმა პირველმა სცადა ქართული მართლწერის სადავო საკითხების გადაწყვეტა კომპლექსური განხილვითა და მტკიცე მეცნიერულ პრინციპებზე დაყრდნობით.

ჩვენ თითქმის ი. ყიფშიძის ყველა შრომას შევხებით. ცხადია, მეცნიერის ნაშრომთა ასე ცალ-ცალკე განხილვა კონკრეტულ ანოტირებულ ბიბლიოგრაფიულ ცნობარს უფრო შეეფერება, ვიდრე მეცნიერული მემკვიდრეობის ზოგადად შეფასებას, მაგრამ თუ მაინც ეს გზა ვარჩიეთ, ეს იმიტომ, რომ ი. ყიფშიძის მეცნიერული ნაღვაწი, რომელიც სულ 30-მდე დიდ და მცირე ნაბეჭდ თუ ხელნაწერ შრომას ითვლის, ასე სრული სახით წარმოგვეჩინა და ამით ისიც საცნაურ-გვეყო, რომ მის სადღეისო მნიშვნელობას მარტო ფასუცვლელი „მეგრულის გრამატიკა“ და „ჭანური ტექსტები“ კი არ ქმნის, როგორც საერთოდ არის

⁵⁹ სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ, ტფ., 1921, გვ 10; 25; 32-33

მიჩნეული ხოლმე, არამედ ღირებული, მაგრამ უცნობი ან მივიწყებული სპეციალური შრომები, რეცენზიები, პუბლიცისტური თუ კერძო წერილები. სწორედ ასეთი შრომების #87#

ძნელად მისაწვდომობისა და მივიწყებულობის გამო არ მოვერიდეთ, შეკუმშულად მაინც წარმოგვედგინა მათი პოზიტიური შინაარსი, რათა მკითხველს მიეღო ახალი ინფორმაცია არა მარტო ი. ყიფშიძის მეცნიერული კვლევის მრავალმხრივობაზე, არამედ თვით საკვლევ ობიექტებზე: მეგრულისა და ჭანურის გრამატიკულ სტრუქტურაზე, ძველი და ახალი ქართულის გრამატიკის, ლექსიკის, ეტიმოლოგიის თუ ორთოგრაფიის საკითხებზე. მართალია, დიდად დაწინაურებულ ქართველოლოგიას დღეს მოეპოვება ნათელი აზრი ბევრ იმ საკითხზე, რომელთა გადაწყვეტა ი. ყიფშიძეს შეეძლო და არ დასცალდა, მაგრამ მაინც დარჩა მაწვალებელი კითხვები, ბედისწერისგან სამუდამოდ უპასუხოდ დატოვებული: რა გაკეთდა და როგორ იმათგან, რაც ი. ყიფშიძეს უნდა გაეკეთებინა? თუ მისი გამოსაღები მეცნიერული ნაყოფი საერთოდ მოუწვეველი დარჩა? ასეთი მაწუხებელი ფიქრი მით უფრო მტკივნეულია, რაც უფრო საცნაურია ი. ყიფშიძის ტალანტი და შესაძლებლობათა მასშტაბურობა: იოსებ ყიფშიძემ თავიდან არ იცოდა მეგრული. იგი მას დაეუფლა მხოლოდ სამეგრელოში საზაფხულო მივლინებების დროს, რაც ექვს თვეს არ აღემატებოდა. ასეთ მცირე დროში მან შეძლო ღრმად ჩასწვდომოდა მეგრულის გრამატიკულ სტრუქტურასა და ლექსიკის ისეთ სემანტიკურ ნიუანსებს, რაზეც მანამდე მეცნიერებამ თითქმის არაფერი იცოდა, და 29 წლის ასაკში დაბეჭდა ჭეშმარიტად კლასიკური შრომა „მეგრულის გრამატიკა“; ეს უკვე მიანიშნებდა არა მარტო ახალგაზრდა ავტორის დიდ მეცნიერულ გამარჯვებას, არამედ ქართულ ენათმეცნიერებაში მკაცრი აკადემიზმის დამკვიდრებას. ამდენად, ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ქართული ენის პირველ გამგესა და ქართული ენის სასწავლო კურსის პირველ წამკითხველ იოსებ ყიფშიძეს ჰმართებდა და შეეძლო კიდევაც მისთვის მეგრულზე უფრო ახლობელი მშობლიური ქართული ენის რთულ სტრუქტურაში ძალიან ბევრის დანახვა და ამოცნობა. მაგრამ ჭირვეულმა განგებამ არ ინება ეს, რაც გაუქარვებელ წუხილად დარჩა. ერთი რამ მაინც არის ცხადი: აქტიური, თავდაუზოგავი საზოგადოებრივი მუშაობისა და რაოდენობრივად მცირე, მაგრამ ხარისხობრივად დიდად ღირებული მეცნიერული ნაღვაწის ერთობლივი #88#

წარმოდგენა პროფ. იოსებ ყიფშიძეს დიდი პოტენციის სამაგალითო პიროვნებად წარმოაჩენს, რომელმაც მომავალ თაობებში უნდა აღძრას არა მარტო მისადმი მოწიწებითი თაყვანება, არამედ საქვეყნო საქმის უანგაროდ კეთების ძლიერი ჟინიც. იოსებ ყიფშიძისებრ პიროვნებათა არდავიწყება მარტო საზოგადოების ზნეობრივი მოვალეობა როდია, ის ერის სამერმისო არსებობის უცილობელი პირობაცაა.

ლიტერატურა

1. ბერიძე შ., პროფესორ იოსებ ყიფშიძე, ტფ., 1920 (გვ. 1-10).
2. გაგუა კ., პროფ. იოსებ ყიფშიძის ხსოვნას: გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 28 თებ.
3. გეგეჭკორი ლ., სამაგალითო ადამიანი: გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 26 თებ.

4. გეგეჭკორი ლ., მოგონებათა წიგნიდან: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1968, 29 აგვ.
5. გორგაძე ს., პროფესორი იოსებ ყიფშიძე „მომომხილველი“, საქ. საისტ. და საარქეოლოგიო საზოგადოებისა, ტფ., 1926 (გვ. 334-354).
6. ერემიშვილი ი., ქართული სამეცნიერო წრეები პეტერბურგში; გაზ. „განთიადი“ (ვანის რაიონ. გაზეთი), 1983, 13 სექტ.
7. იმნაიშვილი ი., იოსებ ყიფშიძე - ლექსიკოლოგი: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 4 ოქტ.
8. Меликсет-бек, Памяти проф. И. А. Кипшидзе, Тифлисский листок, 1919, 1 марта.
9. Март. Н. (რეცენზია ი ყიფშიძის „მეგრულის გრამატიკაზე“) Записки восточн. Отделения императорского русского археологического общества, т. XXIII, С.Пб., 1915, 202-216 стр).
10. ყაუხჩიშვილი ს., იაფეტოლოგიის გლოვა: გაზ. „სახალხო საქმე“. 1919, 25 თებ.
11. შანიძე ა., პროფესორი იოსებ ყიფშიძე, გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 23 თებ. აგრეთვე: ჟურნ. „ექიმი“, № 1-2, 1919 (გვ. 24-25).
12. შანიძე ა., პროფ. ი. ყიფშიძე: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1968, 11 ოქტომბერი
13. შანიძე ა., პროფესორი იოსებ ყიფშიძე, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1984, 8 მარტი.
14. ჩიქობავა არნ., პროფესორი იოსებ ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფ., 1939 (გვ. XI-XII)
15. ჩიქობავა არნ., პროფესორი იოსებ ყიფშიძე და თბილისის უნივერსიტეტი, „მნათობი“, N 7, 1984 (გვ. 131-133).
16. ძიძიგური ვ ა რ., უღვთო არის შენი სიკვდილი: გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 26 თებ.
17. ჭუმბურიძე ზ., იოსებ ყიფშიძე: ქართული წიგნის მოამაგენი, თბ. , 1981 (გვ. 101-105)
18. ჯორბენაძე ს., პროფესორი ი. ყიფშიძის მოხსენება, წაკითხული ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 4 სექტ.
19. ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1981 (გვ. 126-127; 147-149; 162-165; 185-189; 218-222 და სხვ.)
20. ჯორბენაძე ს., თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება: თბილისის უნივერსიტეტი (კრებული), თბ., 1968.

შინაარსი

ცხოვრების ბზა

მეცნიერული მემკვიდრეობა

I. ქართული ენა	18
1. ქართული ენის გრამატიკა	18
2. ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში	21
3. ცხოვრება და წამებად წმიდისა ანტონი-რავახისი	24

4. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია	25
5 ს.-ს. ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“	28
II. მეგრულ-ჭანური ენა	29
6. დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ	29
7. რეცენზია თ. კლუგეს შრომისა „მასალები მეგრული გრამატიკისათვის“	31
8. მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა	32
9. მეგრულიზმები ქართულ წარწერებში სამეგრელოდ	39
10. ისევ მეგრულიზმების შესახებ ქართულ წარწერებში სამეგრელოდან.....	40
11. ჭანური ტექსტები	41
12. საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს.....	44
III. კრიტიკა და პუბლიცისტიკა	48
ა) კრიტიკა	49
1. ნ. მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ცხრილები“.....	49
2. პროფესორი ნ. მარი უვიცობის სამსჯავროს წინაშე	51
3. ნ. მარის ახალი წიგნი	52
ბ) პუბლიცისტური წერილები.....	54
4. ანისის ნანგრევებზე	54
5. ოდიშსა და სამურზაყანოში	54
6. მცირე შენიშვნა	56
7. ჭანეთი და ჭანები	57
8. ცოტა რამ ჩვენი თანამომემე ჭანების შესახებ	58
9. დღევანდელი საეთნოგრაფიო სადამო-კონცერტის გამო	59
10. ნიკო ჯანაშიას ხსოვნას	60
11. თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი	60
IV. მეცნიერის არქივიდან. გამოუქვეყნებელი შრომები	64
1. ერეკლე მეორის შინაური პოლიტიკა	64
2. მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია	66
3. შესავალი სიტყვა (წაკითხული პეტერბურგის უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვისას 1914 23 ნოემბერს)	69
4. მეგრელთა რელიგიური რწმენები	71
5. შესავალი ლექცია	72
6. ქართული მართლწერა	76